

# ახეული

ლიტერატურული ჟურნალი  
№2, 2016



**კრებული**

**ქარნავალური  
გამოსხივებით!**



**„ცინა და  
მიწის  
ღურჯ  
სიცივაში“...**



**სამხატვრომეცნიერ სკოლაში „ახეულის“ დასასხივებლად**

## რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი



\* \* \*

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს, ჯეჯილიც, შგლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

რევაზ ინანიშვილი




მარინე თარიშვილი. „სიღნაღი“.

ესმა ონიანის ნამუშევრები:



დავით ჯავახიშვილის  
პორტრეტი



ლატაურა ფონიანის  
პორტრეტი



ოთარ იოსელიანის  
პორტრეტი



„ყვავილები“




„ლედა ცხვირსახოცით“

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

ლუარა ჭანტურია, თამარ შაიშმელაშვილი, ივანე ჯაფარიძე,  
ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი, თამილა ჯაფარიძე

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:  
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;  
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



# ანალიტიკური

№ 2. მაისი. 2016 წელი

## ლიტერატურული

### ფუნქციონირება

კლასიკა	
ბადახიონი ტაბიძე	შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად ..... 3
პეტრე	ლანა თომთაძე დაუქვრივებელი ..... 4
სიკეთის შაბათი	..... 7
პეტრე	
ნანა ლვინაძე	..... 8
ვანო ბოსხაშვილი	..... 11
პეტრე	
თამარ ბახიშვილი	ს უ ლ თ ა ო ბ ა ..... 12
მინა თვინაძე	„მსურდა შენი ხელებით დამხუჭოდა თვალები“ ..... 14
ლიტერატურული კრიტიკა	
ბადახიონი ტაბიძე	„პოეტი ტიცინი“ ..... 15
მისიველი	იღუმელაძე
მოსე ხაჩიძე	მოგონებები ნინო თარიშვილზე ..... 18
პეტრე	
ნინო სვანიძე	..... 21
მოსხარბიანი	..... 23
თაფლი	..... 24
კარნავალის სხივები	..... 26
ინტერვიუ	ქეთევან შენგელიას ესაუბრა თამარ შაიშვილას
ნინო ხაჩიძე	მოგონების ერთი ფურცელი ..... 31
პეტრე	
ზაინაბ სახინა	..... 35
ბუჩუმ ვახიშვილი	..... 38
ბიძაჩემი	ზურაბ ანჯაფარიძე ..... 39
პეტრე	ლევან სალუქვაძე ..... 40
თაბატაძე	
ხაჩიძე	პოეზია თარგმნა ნინო დარბაისელმა ..... 41
სახიძე	პოეზია თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა ..... 43
სახიძე	პოეზია თარგმნა თამარ თევდორაძემ ..... 45
პეტრე	
ნანა ქაჩიანი	უმუშევრის სიზმარი ..... 46
ნინო მინოსვალიძე	პატარა აიშე ..... 48
მინა	მამიაშვილი R. RATHKE ; უცნაური შეგრძობა ..... 51
პეტრე	
ლევან ქაჩიანი	..... 53
თამარ	ქიქოძე ..... 54
ვახ	ქაჩიანი ..... 55
ერთი ლექსი	თამარ მამიაშვილი ..... 57
ლიცინა	ბერიანი კიდევ ერთი შთამბეჭდავი პოეზიის საღამო ..... 58
ბელო	ქაჩიანი ქიქოძე
ქაჩიანი	ქიქოძე ..... 59
ნანა მინოსვალიძე	მწერლის სიცოცხლე ..... 60
ერთი ლექსი	მინა ბერიანი მიხეილ ჯავახიშვილის მონოლოგი ..... 61
ქალთა	სამხარაძე იქმელი „ანეულის“ სტუმარია ქეთევან გაბრუაშვილი ..... 62
ნინო	ქაჩიანი ესმა ონიანის დაბრუნება ..... 66
ხაჩიანი	ბადახიონი ტაბიძე დაუვიწყარი ესმა ონიანი ..... 67
ლანი	ქაჩიანი ორი წერილი ..... 70
ნანი	სარჯველაძე „ანეულის“ დასახმარებლად ..... 72

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

---

---

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი  
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე  
ლელია ქიტოშვილი –  
სასლტის უცხოელი  
თემურ ჩალაბაშვილი  
მანანა ჩიტიშვილი  
ნინო ჩხიკვიშვილი  
თამაზ სვამბაძე  
ივანე ჯაფარიძე  
ჯუბა ღებელი  
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული რედაქტორი

კომპიუტერული რედაქციონი


გორა სოფიაშვილი

გაზეთი: „ანელი“ მონიანი რედაქციის დასახლება

ჩელაქის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტ-ფოსტა: [aneuli@mail.ru](mailto:aneuli@mail.ru)

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი



## შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად

ნაპირს, რასაც საოცარი  
 სილაჟვარდით ავსებს წყალი,  
 სადაც დაფნის ტყეებია  
 და მზიური ფორთოხალი,  
 ნაპირს, რის მსგავსს ზღვით მაგალი  
 ვერსად ნახავს კაცის თვალი –  
 გადმოვიდა მოყმე ვინმე,  
 ამაყი და სახე მკრთალი.

პირველ მუხლი მოიყარა,  
 მოწიწებით გადგა შორა,  
 თაყვანი სცა მშობელ მიწას,  
 რამდენჯერმე ეამბორა,  
 კვლავ დაემხო, კვლავ ცრემლები  
 სისხლის რუებრ მოატბორა,  
 მელირსაო შენი ნახვა,  
 აწც ვინ დაგვაშორიშორა?

ამბობს: ჩემო სამშობლოო,  
 ღვიძლო დედავ, ჩემო კარგო,  
 დაგებრუნდი შენი შვილი,  
 ვეჭვ, რაიმე დიდი გარგო,  
 გარნა ერთი სიცოცხლე მაქვს,  
 მინდა შენთვის გარდავაგო,  
 სიბრძნეს – ვეყმო, მოძმეს – ვეძმო,  
 საკადრისი მტერს მივაგო.

მე შენ შემეჭერ სხვა ცხოვრების,  
 სხვა გარემოთ უცნობ ზეგაში,  
 როსმე წყნარი და უღრუბლო,  
 ზამბახივით ნაზი ბავშვი...  
 ვნახე უცხო მხარეები,  
 გადავეშვი სიბრძნეთ ზღვაში,  
 ხან სიცხეში, ხან ავღარში,  
 ხან გრივალში, ხან ნიაგში.

მერამდენედ უნდა გითხრა,  
 მშობლიურო, კვლავ, მადლობა  
 ცისკრისათვის, რასაც დილის  
 ჰქვია მიმოსინათლობა.  
 იარისთვის, ჩემს დასისხლულ  
 ფეხს რომ აჩნის – ვითარ გზობა,  
 ყველაფრისთვის, რაც არა მაქვს  
 და ანუ მაქვს: გრძნობა, ცნობა.

აი დიდი, დაბურული  
 და ზვიადი სჩანს ტყეები,  
 ზევით, ქვევით ცის ლაჟვარდი,  
 გადაშლილი სივრცეები.  
 ცად აწვდილი სდგას ხეები,  
 კვლავ კლდეები, სახეები,  
 ახლო მესმის: ჩონგურები  
 ამრიალდნენ, ვით ღლეები.

რალაც უცხო სიმსუბუქით  
 მივეყვარ სიმთ ოქროს ნავებს,  
 ნაყოფიერ მინდორთ ნუგეშს,  
 მზეთა ნუგეშს, ოქროს ხეავებს.  
 გმადლობ ზღვისთვის, არემარე!  
 ამგვარად რომ აყვავებს  
 აღმომხდარ მზით, ჩამავალ მზით,  
 იმ მთვარესა და ვარსკვლავებს.

მე რუსთველი ამა ზღვიდან  
 შემოვდივარ ჩემს ქვეყანას.  
 მოიარო სხვა ქვეყანა –  
 ვერ მოისმენ ამგვარ ნანას.  
 ხამს შესწირო კაცმა თავი  
 მხარეს – ედემს ამისთანას...  
 მის ვეფხობას, მის სიუხვეს,  
 სიყვარულს და ოქროს ხანას!

### ლაუქვრივებელი



რატომღაც დავიყინე, სანამ აქეთ ვართ, ჩვენი სოფელი მოვინახულოთ-მეთქი. მანქანა მოშორებით გავაჩერეთ და გზას სოფლამდე ფეხით მივუყვებით. მათე ქოშინებს, ხროტინებს, ბორგავს. იმ ბავშვს საერთოდ აღარა ჰგავს, შურდულივით რომ დაჰქროდა განუწყვეტლივ. ორმოცდ- აორი წელი დიდი დროა.

ნანული ბებოს ბაღის უკან ბაბუას სახლი დგას. ჯერ კიდევ მრთელია და სიკონტავეც შეუნარჩუნებია. ბევრი რამე შეუცვლიათ: აივნებიდან ხის სკამები აულიათ, მუხა მოუჭრიათ, ნარცისები დაურგავთ.

– რა კარგი იქნებოდა, ეს სახლი რომ ჩვენი ყოფილიყო, ა? – დანანებით მეუბნება მათე, – შევიდოდით, დავისვენებდით, სულს მოვითქვამდით... აღარც მასსოვს, რატომ გაყიდეს ჩვენებმა.

– მოვლა უძნელდებოდათ, ალბათ მატერიალურადაც გაუჭირდათ და... – ვეუბნები, მაგრამ საკუთარ პასუხში ეჭვი მეპარება.

– განა ამისი ფასი არსებობს? თუმცა, შენ უკეთ იცი, უფრო ახლოს იყავი ბაბუასთან.

მისი სიტყვები მაკვირებს.

თუმც სულ ერთად დავდიოდით, მე და ბაბუა მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. ზაფხულობით სოფელში რომ ჩავდიოდით, ჩემი მოსვენება აღარ იყო: სანამ მათეს უდარდელად ეძინა, შემომატარებდა ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებს, დამატკეპნიებდა სოფლის ჯახა-ჯუხა გზებს. ჯერ ხატისთავზე ამიყვანდა და კარგა ხნის ყურყურტის შემდეგ ჩამომავრინინებდა, მერე სხვა მთის შვერილს აირჩევდა, და ახლა იქიდან გადმოვხედოთ სოფელსო. თვითონ დაღარული ხელები დაემუშტა და მიდიოდა დაუღლეად, ჰარი-ჰარალოდ. მე მის უკან მივბობლავდი და ქანცგაწყვეტით მივათრევდი ფეხებს. ხანდახან გამომხედავდა, და ჩემს საცოდაობას რომ დაინახავდა, შემომძახებდა, სანდრო, ბიჭო, სულ დაკუტებულხარ ქალაქშიო. აბა, ერთი თვით აქ დარჩი და კი არ ივლი, იფრენო. არ მომწონდა, ასე რომ ამიგდებდა. იმის ჯინაზე ფეხს ავუჩქარებდი, მაგრამ მალევე ჩამოვრჩებოდი ხოლმე.

კილომეტრების მოშორებით წერტილად რომ გამოკრთებოდა ვიღაც, მარტო მაშინ შეჩერდებოდა, სალამს გასძახებდა. ხან მთელი სახლეულობით მიიკითხავდა. არადა, ჩვევად ჰქონდა ჩივილი, ცალი თვალით საერთოდ ვერა ვხედავო.

ბოლოს, შინ რომ დავბრუნდებოდით, ჩაის აათუხ-თუხებდა, სახლს აავსებდა.

თუ სეტყვა და თქეში ატიალებდა სოფელს, მაშინ

ჩემი და მათეს დღე მეზობლის გაწუწულ, გაფხავებულ ძაღლთან – ცქვიტასთან თამაშით, კაკაოს სმით, ახლად-მოხალული მარილიანი მზესუმზირის კნატა-კნუტით და ერთმანეთთან ძიძგილაობით შემოიფარგლებოდა. ხანდახან ფანჯრის მინას ცხვირებს მივაჭყეკყავდით და აგრიალეულ ქარბუქში გამვლელ-გამომვლელს ვე-ჯღანებოდით. მაგრამ ბაბუა არასოდეს გვსაყვედურობდა.

– უცნაური კაცი კი იყო, – ღიმილით ვეუბნები მათეს.

ზამთრობით სოფელში ყველა ბუხარი აგიზგიზ-დებოდა, ყველა ფანჯარა იხურებოდა და ყველა კარი იკეტებოდა. უსახლკაროდ დარჩენილი, უმისამართოდ მოხეტიალე ქარისთვის მხოლოდ ბაბუის სახლის კარი იყო ღია. სტაფილოსფერი ნოხის ქვეშ შემალული გასაღების გარეშეც ადვილად აღწევდა სიცივე მი-ტოვებულ ოთახებში. ბაბუა მთელ ზამთარს ჩვენთან, ქალაქში ატარებდა.

...საახალწლოდ პოლონური, სქელყდიანი რვეული და ორი ნაქსოვი, ფიფქებიანი წინდა მიყიდეს. ჩემს ძმას ტყავის საფულე ერგო და თავი მოჰქონდა: ჩემს დასანახად ხელში ათამაშებდა, გასწნიდა, შეკრავდა, გასწ-ნიდა, მერე ისევ შეკრავდა გულისგამაწვრილებელხმინი ელვაშესაკრავით.

მანამ არ გაჩერდა, სანამ არ ვეხუმრე, შენ ფულის შოვნა იკითხე თორემ, შენახვით, ჩემს წინდებშიც მშ-ვენვირად შეინახება-მეთქი.

სულელური ნათქვამი კი იყო, მაგრამ ჩემი ძმა მაინც დააფიქრა და იმის მერე ხმაც აღარ ამოუღია.

ან შეიძლება, სულაც მამას სიტყვებმა იმოქმედა მასზე. ბაბუათქვენის რიდი მაინც გქონდეთ, ასე რომ ბავშვობთ ამხელა ბიჭებიო.

მამას მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, სულ რომ ყუ-რადლებას ვიქცევდით აყალ-მაყალით, და გვეჩხუბებოდა. აქამდე მის ხმამაღალ სიტყვას შეუჩვევლნი ხელად გავისუსებოდით. მე უფროსი ვიყავი, უკვე ცამეტი წლისა და მეტიც მომეთხოვებოდა.

იმ ზამთარს მამა გაავკაცებული გვეჩვენებოდა, ბა-ბუაც მუდამ გაგულისებული დადიოდა, ხელები ზურგ-სუკან გადაეჭლო და ბოლთას სცემდა.

მე და მათეს დედამ გვთხოვა, ბაბუას ნუ აწყენინებთ და მამასაც ფეხებში ნუ გაებლანდებით, ბოლო დროს ისედაც გაღიზიანებულები არიანო. ჩვენ მიზეზიც არ გვიკითხავს, ისე დავთანხმდით. კითხვების დასმა არასოდეს გვყვარებია, და იქნებ ამიტომაც, მუდამ უპასუხოდ ვრჩებოდით.

არდადეგები რომ იღეოდა, მათემ აიტეხა, გინდა თუ არა, ერთი მაღალი გორა ვიცი, შორს კია, მაგრამ ბაბუასთან და მამასთან ერთად ავიდეთ და მერე მე და შენ ცივებით ჩამოვსრიალდეთო.

ჩვენები მათეს „კვაჭს“ ეძახდნენ. ჩემზე ორი წლით პატარა იყო, მაგრამ მთელი ქალაქი მოვლილი ჰქონდა. არ ვიცი, ამას როდის ასწრებდა, მაგრამ თავგადასავლების სიყვარული ხშირად შარშიც აყოფინებდა თავს.

არ მინდოდა, წავსულიყავით, რადგან ერთადერთი ცივა გვქონდა, და ვიცოდი, მათე ერთხელაც არ დამსვამდა. მაგრამ მერე დავთანხმდი. სულ არაფერს, ცოტას მაინც გავივლიდი ჰაერზე.

მათეს ბაბუასაგან ერგო თავგადასავლების სიყვარულიც, შარიანობაც და დაუღლელად მოსიარულე ფეხებიც. წინ მიჰქროდა და წამდაუწუმ გამომხედავდა, როგორ ჩამორჩენილხარო. მე მამასთან ერთად მოვიდიოდი, ბაბუა მხოლოდ ორი ნაბიჯით გვისწრებდა.

– ზომ იცი, რომ არ გაძალებთ, – უთხრა უეცრად მამაჩემმა, – როგორც შენ გინდა, ისე იქნება.

– ბაბუა, თუ თავს კარგად ვერა გრძნობ, დაბრუნდი, მეც წამოგყვები, – ვუთხარი, დარწმუნებულმა, რომ საუბარი გორაზე ასვლას შეეხებოდა.

ბაბუა გაჩერდა და ფეხით დატკეპნილი თოვლი აყარა. გამოჩნდა ჩაშავებული მიწა.

– აქეთ – შენ, იქით – ნანო და ლუიზა, ჩამჩინებთ, ჩამჩინებთ, რად გინდა ის სახლიო. მოვხუცდი, დავიღალე. ისე დავიფინებიათ, აბა, რაღა ვქნა?

ბაბუამ ორივე ხელი მოწვევებით დაუშვა.

მამაჩემმა თავი ჩაქინდრა, როგორც მე და ჩემი ძმა ვიქცეოდით ზოლმე, როცა რამეს დავაშავებდით. გული დამწყდა, არ მეგონა, ასეთი სუსტი კაცი თუ იყო.

შინ რომ დავბრუნდით, კარგა ხანს მიტრიალებდა თავში ეს სურათი. მათემ იფიქრა, უხასიათოდ იმითომ ზომ არ არის, რომ ცივაზე არ დავსვიო, და მთელი დღე ჩემთან გამოლაპარაკებას ცდილობდა.

ღამით, როცა ოთახში მარტოები დავრჩით, მთხოვა, მაპატიე, ზომ იცი, არ მინდოდა, რომ გამენაწყენებინეო.

– მათე, ბაბუას სახლს ყიდიან, – ვუთხარი.

– მართლა? – წამოხტა, – მერე ბაბუა?

– ჩვენთან იცხოვრებს.

– მაგარია! შემიძირდა, ხის თლას გასწავლიო, მაგრამ ვერაფრით მოიცალა. ახლა სულ ჩვენთან იქნება და თლასაც მასწავლის, კვეთასაც, თინით ძერწვასაც და...

– სულელო, – შევაწვევებინე, ერთი მხრივ გულდაწყვეტილმა იმით, რომ ბაბუა მე არასოდეს არაფერს შემიძირებია, მეორე მხრივ, გაღიზიანებულმა

ჩემი ძმის ცუნდრუკა ხასიათითა და დაუფიქრებლობით, – ვერა ხედავ, ბაბუას სულაც არა აქვს ახლა რამის სწავლების თავი.

მათე გაჩუმდა. მეც აღარაფერი მითქვამს. მამას ამბავი აღარ გამიმხელია.

სახლი გაყიდეს. არ მასსოვს, რამდენად. არც ის, როგორ. უბრალოდ მასსოვს, რომ მერე ბალ-ბოსტანიც უნდა გაგვეყიდა და მამაჩემის მანქანით სოფელში ჩავედით მე, მამა, მათე და ბაბუა.

ბაბუა უგუნებოდ იყო და ხის სკამზე ჩამოჯდა, სიარულით დავიღლები და ბაღში ვერ წამოგვევითო. მათეს ხეტიალი ეხალისებოდა და მამას გაჰყვა. მე ბაბუასთან დავრჩი. ფეხებთან გია პაპას შავკოპლება ცქვებთა მოგვიწვა. ბაბუამ დაცქვეტილ ყურებზე ხელი გადაუსვა. ძაღლმა მადლიერებით ახედა, მერე თავი ჩარგო და თვალები ნებიერად დახუჭა.

უცებ ვხედავთ, ჩვენი სახლის აივანზე გამოდის უცხო კაცი. განიერი მხები აქვს, და შავი, შავი თვალები, თოვლგადაქეჩილი მიწისფერი.

– მძულს ეს ხალხი, – მეუბნება ბაბუა, – მაგრამ კიდევ უფრო მეტად ჩემი თავი მძულს, ეს სახლი რომ გავასხვიესებინე.

– ზედმეტი დარდი იყო, ბაბუა, – ვეუბნები მამიდა ნანოს სიტყვებს, მაგრამ არ მისმენს და თავისას აგრძელებს:

– როგორია, სახლი რომ სამშობლოსავით გიყვარს, ან ცოლისავით? მერე ცოლი? ერთია, რომ დაქვრივდები და ის მაინც იცი, რომ სიკვდილამდე შენთან იყო. მეორეა, რომ ცოცხალი გყავს და უყურებ შენთვის ასე საყვარელს, სულ სხვა კაცთან და სხვის შვილებთან. აი, ასეთ დაუქვრივებლობას შეუძლია შიგნიდან ამოჭამოს კაცი, მით უმეტეს, ისეთი კაცი, სულ რომ წარსულში უყვარს ჩაყვინთვა და ჩაძიება.

– სად ცოლი, ბაბუა და სად – სახლი?

ბაბუამ ამოიოხრა და ამ ერთ ამოიხრებას მთელი გული ამოატანა. მერე მომიტრიალდა და მკითხა, სანდრო, ბიჭო, იცი შენ, ამ სახლში რომ შეიხედავ, რას დაინახავო?

– რას, ბაბუა?

– შენს ბავშვობას. გგონია, სახლი გაყვიდეთ მხოლოდ?

და მეც ცხოვრებაში პირველად, ამაზე დავფიქრდი. ეს მარტო ბაბუას სახლი კი არა, ჩვენი ბავშვობის მოგონებების თავშესაფარიც იყო. ახლა ამ კაცის შვილი რომ მუხას ქერქს უჩორკნის, იმისთვის რამდენჯერ ჩავკითქვამს მე და მათეს სურვილი. ან რამდენჯერ გავკითხვებოდა ღამე ამ აივანზე ჩვენს მომავალზე საუბარში. რამდენჯერ ჩამომესხდარვართ ამ კიბის საფეხურებზე, ნედლი თხილი გვიმტვრევია და მუცელი ამოგვიფორებია. ეზოში საათობით გვიძებნია შემოდგომის ქარისაგან ჩამოგლეჯილი ქუდიანი რკოები, მერე იმ



რკობისთვის თვალები მიგვიხატავს და ჩვენი სახელები დაგვირქმევია.

იმ სახლის კედლები ჩვენს ამბებს ინახავდნენ, ჩვენს ყოველ გადაჭრულ გადაწყვეტას, ყოველ თვალის ჩაკვრას. ჩვენი მესაიდუმლეები გამხდარიყვნენ. ისიც იცოდნენ, გააპაპას რომ ჩუმად გავეყვიოთ ტყეში სანადიროდ. ისიც, გურამ ძიამ არაფერი რომ დაგვალეგინა ერთხელ. ისიც, ვისი ბალიდან ვიპარავდით ვაშლს, მსხალს ან ვისი ტყეშალი გვიყვარდა ყველაზე მეტად. არც ის გამოპარვიათ, ხატისთავზე რომ ავიპარეთ შუალამისას და რომ გავათენეთ.

ბევრი რამე იცოდნენ კედლებმა.

თვალები ამიწყლიანდა, რომ მოულოდნელად ბაბუამ ბეჭებზე ხელი დამკრა, წელში გაიმართე, ბიჭო, რაც არ უნდა იყოს, არ უნდა მოიხარო, არ უნდა დაჩივდეო. მეც გავიმართე, გავიშალე. ბაბუამ მომიწონა, ასე, უნდა გამარგდე, აბა, თავის ჩაქინდვრა, ხელის ჩაქნევა და დაბეჩავება, რა კაცის საკადრისიაო.

– გახსოვს, ქვაბლიანში რომ ვიჭერდით თევზებს?

– მახსოვს, ბაბუა.

– გახსოვს, რამდენი კალმახი გაგაშვებინე?

– ბევრი.

– ის თუ იცი, რატომ.

– ის თევზები სიცოცხლეს იმსახურებენო, მითხარი.

გხსომებიო, გაელიმა ბაბუას.

– ცხოვრება იმ ადამიანებს გადაეშლებათ ხოლმე, რომლებიც კალმახებით ებრძვიან ჩვეულ დინებას, არ ღრკებიან, არ ყოვნიდებიან, არ იმალებიან, არ ფორხილობენ. ასეთები უნდა ვიყოთ ამ მიწის შვილები. განა, ეს სოფელი დავკარგეთ? არა, სანდრო. ეს სოფელიც, ეს მიწაც ჩვენს მარღვებშია და რომც გვინდოდეს, მაინც ვერასოდეს მოვწყვდებით.

ეს თქვა და, ჩვენგან ძალიან შორს გამოჩნდნენ მოძრავი წერტილები. ბაბუამაც, როგორც ყოველთვის, იმ წამსვე იცნო მომავლები:

– აი, ბატონებიც გამოჩნდნენ.

ცქვიტას დავემშვიდობე, ჩემი წასვლის დროამეთქი.

– შე ოხერო, ძაღლებს ემშვიდობები და ჩვენ რა დავაშავეთ? – გავიგონე ზურგს უკან გურამ ძიას ხმა.

– ჩვენი ოხუნჯები მიდიან ნანული! არ უნდა ჩამოხვიდე ქალო, არ უნდა დაემშვიდობო? – საიდანღაც დაიძახა ჟუჟუნამ.

იმ წამს მთელი სოფელი ჩვენს მანქანასთან მოგროვდა. მე და ჩემს ძმას ყურებს გვიწვედნენ, გვემასხარავებოდნენ და გვეჯღანებოდნენ, თან გვთხოვდნენ, გამოგვიარეთო. მერე გვეხვეოდნენ.

აივნიდან ჩვენი სახლის ასალი ბინადარი ინ-

ტერესით მოგვჩერებოდა. მე ნიშნისმოგებით ავხედე, მინდოდა, ჩვენი არსებობა ეგრძნო.

მანქანა დაიდრა. ჩემ თვალწინ გაიელვა მთელმა სოფელმა და გაქრა, მაგრამ მთელ გზაზე მომყვებოდა ცქვიტას ყეფა, ჩვენი ეზოს მუხის ფოთლები, ცხელი მზესუმზირების სუნი, სოფელელების გაოცებული მზერა, რომლებსაც სეტყვის დროს ფანჯრებს მიწებებულები ვეჭყანებოდათ, სამზარეულოს ფანჯრიდან დანახული აწოწილი კლდეების სურათები, მამლების ყვილი, ბაბუაჩემის შემახილი, სულ დაკუტებულხარ ქალაქშიო, მოგონებები, მოგონებები...

და დაუქვრივებლობის უცნაური სევდა.

– მაინც რატომ გავყვიდეთ ეს სახლი? – კითხულობს მათე.

იქნებ სულაც იმიტომ, რომ ორმოცდაორი წელი დაგვჭირდა, კითხვების დასმა რომ გვესწავლა.

იმიტომ, რომ ჩვენ კალმახებით არ შეგებდოდებივართ მდინარეს. რომ მამა ოფიცერი იყო და მისი სიტყვა ჩვენთვის უპირობო კანონი იყო, მის გადაწყვეტილებას უთქმელად ვენდობოდათ.

შეიძლება, არც არაფერი მომხდარიყო, ხმა რომ ამოგვეღო. მაგრამ ახლა სათქმელი მაინც გვექნებოდა. მათეს ბავშვობის საიდუმლოს ვუმხულ:

– მაშინ, გორაზე რომ ციგაობდი, ბაბუამ რაღაც უთხრა მამას, და მამამაც სირცხვილით თავი ჩაღუნა.

ჩემი ძმა დაჟინებით მიყურებს და უსიტყვოდ ვთანხმდებით, რომ ეს ყველაზე ვაჟკაცური საქციელი იყო იმ კაცის მხრიდან, რომელმაც მამამისს, საკუთარ თავსა და შვილებს სამშობლო გაუყიდა. გულდამძიმებულები ვათვალიერებთ ყველაფერს. თვალები თითქოს დახარბებულან ამდენი ხნის უნახავ სახლებსა და ეზოებს, მათ მიღმა ამოზიდულ მთის კალთებს. სოფლის სიჩუმე აუტანელ ტვირთად მეჩვენება. აღარც ძველი მხიარულება, ხმაური და ჟივილ-ხივილი, აღარც ძველი სახეები, მოცინარი, ნაპერწკლიანი.

ის არის, უნდა მოვტრიალდეთ, რომ ნაცნობი ხმა გვესმის:

– ოხ, თქვე ყაჩაღანებო, ისე მიიპარებით, გგონიათ, ვერ შეგამჩნევთ? სადა გაქვთ სინდის-ნამუსი, ჰა, სადა? ასე უნდა ჩვენი დავიწყება? თქვე, შობელ-ძაღლებო, პირველად მე არ დაგალევივინეთ არაფერი? მე არ გასროლივინეთ თოფი? მე არ დამყავდით ჭალიბაღჩაში? მე არ გაქეიფეთ ქვედა ნაქონრებში? უყურე შენ! ასე როგორ დავიწყებიათ ყველაფერი?! მოდიეთ ერთი, შეგხედოთ, შეგხედოთ, ვახ, რამხელები დაზრდილხართ, კაცო!

...ხმას ხრინწი შეპარვია და ტონი დადაბლებია, მაგრამ მაინც ნაცნობია და შეუფასებელი.

# სიკეთის შაბათი

სიკეთის შაბათი – ასე უწოდა საქველმოქმედო პოეზიის საღამოს მისმა მონაწილემ თიკო კოლოტაშვილმა და, მართლაც, სიკეთის შაბათად იქცა ეს დღე იქ მყოფი ადამიანებისთვის... ჩვენი კეთილი სურვილი ასრულდა: ზემო ალვანელ პოეტს, გიორგი რამაზაშვილს 703 ლარი შეუგროვდა. ეს კი იმ საოცარი ადამიანების წყლობით მოხდა, ვინც მონაწილეობდა საღამოში, ვინც ესწრებოდა, ვინც შეიძინა ნახატები, წიგნები და ხელნაკეთი ნივთები...



ეს, მართლაც, სიკეთისა და ურთიერთთანადგომის ზეიმი იყო, დიდი მადლობა ყველას, თითოეულ ადამიანს, ვინც იქ მობრძანდა და შეეწია ამ კეთილ და დალოცვილ საქმეს!

საღამო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში პოეტ გიორგი რამაზაშვილის დასახმარებლად გაიმართა, ვისაც ერთადერთი სახლი ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში ენგრევას!

პოეტებმა ნინო მოდრეკილაძემ, მაია მიქაიამ, თამარ ლომიძემ, თიკო კოლოტაშვილმა, თამარ შაიშველაშვილმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

ამ საღამოს გამოეხმაურნენ მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები, ჩვენი მეგობრები, ლიტერატურის ქომაგნი.

საკუთარი ნახატები შემოსწირეს: ნინო სალუქვაძემ, ნატო სირბილაძემ, ლუარა ჭანტურიამ, დავით ბაძაღუამ, თამარ ლომიძემ, ლევან ცალუღელაშვილმა, ლიზი ბუდალაშვილმა, ანა ჯალაღონიამ, ვასილ ბოსტაშვილმა, რეზო (ემელიანე) ადამიამ, იზო სამუშიამ, თაფლო

ზარიძემ. ხელნაკეთი ნივთები – ნატალია გოგალაძემ, გვანცა წივილაშვილმა.

საკუთარი წიგნები: ზურაბ ჯოხარიძემ, ზაირა კელოშვილმა, მარიკა ორჯონიკიძემ, ეკა ქურხულმა, დავით არახშიამ, გიორგი მელუამ, საღამოს მონაწილე ხუთივე პოეტმა...

მინდა განსაკუთრებულად გამოვყო ჩვენი მეგობარი პოეტისა და მხატვრის თაფლო ზარიძის, ასევე კომპოზიტორ ნიკოლოზ ადამიას გამორჩეული თანადგომა. ნიკოლოზ ადამიამ როიალზე საკუთარი კომპოზიციები შეასრულა. ასევე დიდი მადლობა – ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ ნანა ელიზბარაშვილს.

სიტყვით გამოვიდნენ: ვასილ ბოსტაშვილი, გაგა გომართელი, ელუარდ უგულავა, ეკა ქურხული, ვეზუბა ლებელი, ზურაბ ჯოხარიძე, რეზო (ემელიანე) ადამია, ნატო სირბილაძე, ციური მესხიშვილი, გვანცა წივილაშვილი, თაფლო ზარიძე, ლელა ცაძიკიძე... სიმღერა შეასრულა ნაზი სარჯველაძემ.





თუ ვარ ცოდვილი!  
ანუ გზა სინანულისა!..\*

თუ უცოდველი  
არავინ არის,  
– გამკითხავი ვარ,  
უფალო, ამის, –  
სიმარტოვეა  
ჩემი ცოდვა?!  
მაშ, მეპატიოს,  
მეპატიოს  
თუ თავიდანვე  
არ მქონია  
ამისი რწმენა, –  
ამისი ცოდნა...  
სიმარტოვეა  
ჩემი ხვედრი  
და ჩემი ცოდვა!  
ასე მგონია,  
ხელმეორედ  
რომ დავიბადო, –  
კვლავ სიმარტოვე  
დამებუდება!  
რა მეშველება,  
რა მეშველება!  
არავინ იცის,  
რა ცოდლა  
მარტოდ მავალი...  
და ვინანიებ,  
ვინანიებ  
ჩემს სიმარტოვეს!

\* 28 აპრილი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სინანულის დღედ გამოაცხადა!

ვეღრება

– გაზაფხულო!  
მომეშველე  
ზამთარში თუ  
ჩავრჩები!  
ერთხელ კიდევ  
გაღამავლე  
იისფერი ჩანჩქერი!  
ბუღბუღების ჭალიდან  
გალობა რომ  
ისმოდა!  
ერთხელ კიდევ გამახსენე  
ჩემი გულმაისობა!  
.....  
მეშინია ზამთარში  
მარტოდმარტო  
ჩავრჩები!  
– ერთხელ კიდევ,  
ერთხელ კიდევ  
იისფერი ჩანჩქერი...  
დრო, როდესაც საჩვენო  
გალობანი ისმოდა, –  
ერთხელ მასაც გაახსენე  
ჩვენი გულმაისობა!..

მერცხლების დაბრუნება

...ფრინველებს ადამიანებზე  
საუკეთესო მეხსიერება ჰქონიათ!  
– დროა დავბრუნდეთ!  
თქვა წინამძღოლმა, –  
...დაღვა წუთები  
ნეტარი!  
წამოიშალა ფრინველთა გუნდი,  
– საით მივფრინავთ,  
ნეტავი?!  
– საქართველოსკენ,  
საქართველოსკენ,  
სადაც შეგვისვამს  
ნექტარი!  
საქართველოა  
ის მხარე!

ცა – ანუ სამყაროში არაფერი  
იცვლება!

„...ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, –  
პირველად ქმნილსა ფერს,  
სიყრმიდან ვეტრფოდი“!..  
ნიკოლოზ ბარათაშვილი

*კუძღვნი ჩემი თაობის ბრწყინვალე შემოქმედო –  
რეზო თაბუკაშვილსა და თამაზ ჩხენკელს! –  
XX საუკუნის რომანტიკოსებს!..*

იქნებ ტატოს  
სიკვდილის წინ  
დაესიზმრა ფერია...  
პოეტები კვდებიან,  
ცა ისევ ცისფერია!..  
იქნებ სხვასაც

შორეთში  
ესიზმრება ფერია!..  
პოეტები კვდებიან,  
ცა – ისევ ცისფერია!..  
მომკვდარაო, იტყვიან, –  
ვითომც არაფერია...  
პოეტები კვდებიან, –  
ცა – ისევ ცისფერია!..

.....  
ცაში ქუხს და ციდან წვიმს, –  
მბრძანებელი ღმერთია!..  
პოეტები კვდებიან,  
პოეტები კვდებიან!..  
...მაგრამ მომაკვდავივით  
ცამაც იცის ტირილი!  
ისარივით მოხვდება  
მიწიერი ტკივილი!..

.....  
ვისი გული იბზარება, –  
ვისი ჯერაც მთელია!..  
იქნებ ტატოს

სიკვდილის წინ  
დაესიზმრა კატინა, –  
მისმა ლექსმაც  
რომელიც  
ჩუმი ცრემლით ატირა!..

.....  
მერე ისევ იდარებას, –  
ყველას გული მთელია!..  
პოეტი კი მკვდარია, –  
თითქოს არაფერია!..  
სიკვდილშიაც, ვინ იცის,  
ესიზმრებათ ფერია!..  
ცა ისევ მაღალია, –

ცა – ისევ ცისფერია!..  
.....  
შენც მოკვდები,

ქალაუ! –  
შენი ბოლო რთველია...  
...იმას მაინც იტყვიან,  
ნამდვილი ქართველია!

.....  
ზღვას და მიწას  
ზეციური  
შუქ-ნათელი

ჰფენია! –  
პოეტები კვდებიან,  
ცა ისევ ცისფერია!..

### საუკუნე გავლიე!

*...მსცოვან ქართველ ემიგრანტს, – უკვე ლონდონელ  
„ლორდს“ – ალექსანდრე ბესტაგაშვილს 2012 წლის  
ვიორგობის თვეში 105 წელი შეუსრულდა!*

*საუკუნეს გადაბიჯებული, სამშობლოს მონატრული  
ალექსანდრე ოჯახის წევრებთან ერთად ეწვია საქართველოს და განსაკუთრებით მშობლიური ადგილებს მოესი-  
ყვარულა! მისი მაშინდელი შეძახილი ახლაც მახსოვს!..*

### გვიანი სტუმარი

საუკუნე გავლიე,  
მოვიხილე ყოველი!..  
დაკარგულო მამულო,  
საპოვნელად მოველი!..  
ჩაკეტილო სახლ-კარო! –  
საშიკო ვარ –  
გორელი!

*P.S. ჩემი მეგობარი თანამოკალმის, აწ ლონდონშიც  
ცნობილი არტჟურნალისტის ვიორგი ლალიშვილის  
მეოხებით, რომელიც საერთაშორისო ჟურნალისტთა  
ფონდმა „ოქროს ფრთით“ დააჯილდოვა (2012წ.)  
და ეს მეც მომილოცა, ნიშნად წლების მანძილზე  
ერთობლივი მუშაობისა გაზეთ „საქართველოს რე-  
სპუბლიკაში“ და ამავე პრემიის თავდაპირველი ნომ-  
ინაციის ლაურეატს, ეს ლექსი მივაგებე! განარებულ  
მსცოვან ქართველს იუბილეზე მიუწვევია ახალგაზ-  
რდა მეგობარი და მალე ელექტროფოსტით სურათიც  
მივიღეთ – ფრესკული იერი დაჰკრავდა 105 წლის  
პაპა ალექსანდრეს!..*

იოცნებეთ!..

სითბო

„...იოცნებეთ, ამაზე უკეთესი არაფერია“  
რიჰარდ ვაგნერი

ნიკა ავიაშვილს

ვუძღვნი უმცროს დას, რუსუდანს –  
ვაგნერის ნაზრევის ჩინებულ გადმომქართულებელს

...ადრე ისიც კი გვეგონა,  
თითქოს, –  
ცისარტყელების თაღქვეშაც  
გავალთ!..  
– შენ ჩემი და ხარ,  
და ჩვენ ერთმანეთს  
სწორედ იოცნებით,  
იოცნებით ვგავართ!..  
იოცნების ბაღე  
პირბადეს მოჰგავს, –  
ავ თვალს გაშორებს, –  
როს გული ბორგავს!..  
არადა, ზოგჯერ  
გზასაც ავირევს, –  
ზოგჯერ სამოთხის  
ბაღშიაც დაგვვამს!..  
– შენ, ჩემი და ხარ  
და ჩვენ ერთმანეთს  
სწორედ იოცნებით,  
იოცნებით ვგავართ!..  
იოცნება ხელის გულზე  
გვატარებს, –  
გვეთამაშება, როგორც  
პატარებს, –  
მერე კი შუა გზაში  
გვიგანებს  
და შეგვატოვებს  
დროის გრიგალებს!..  
.....  
ადრე ისიც კი გვეგონა,  
თითქოს  
ცისარტყელების  
თაღქვეშაც გავალთ!..  
შენ ხარ ჩემი და –  
და ჩვენ ხომ  
ერთურთს  
სწორედ იოცნებით  
იოცნებით ვგავართ!..

...უბრწყინვალესი  
წლები გაფრინდა!..  
წიგნი, რომელსაც  
დიდხანს ვეძებდი, –  
ამოტივტივდა  
ხსოვნის ქაფიდან!  
– ბატონო ნიკა,  
რამხელა სითბო  
ვიგრძენი შორი  
ავტოგრაფიდან! –  
ჭაბუკებად რომ  
დარჩნენო მარად!..  
ვისი სიცოცხლეც  
ცაში გაფრინდა!..  
.....  
რა გულითადი სითბო  
ვიგრძენი  
თქვენი სხარტულა  
ავტოგრაფიდან!..

ძალღური ყეფა,  
ანუ „მატილური“ შიქასტა!\*

...ღამით ძაღლები შეიყრებიან, –  
რა დღეში ვართო და რა ყოფაში!..  
იმდენს ჩივიან, – იმდენს ყმუიან,  
თავი მგონია მგლების ხროვაში!..  
გამთენიისას წავლენ-წამოვლენ, –  
იქნება სადმე წააწყდნენ რამეს...  
გაწბილებული, გალახულები  
თავს აფარებენ მთვარიან ღამეს!..  
მთვარესაც მეტი რა შეუძლია, –  
გულჩათხრობილი კაცივით უსმენს...  
რიბი-რაბოზე მიყუჩდებიან,  
როცა ბუღბული შიქასტას უსტვენს...  
– ნეტავი შენო, – შენატრეს ერთხმად, –  
შენღა შეგრჩაო რწმენა და სული!..  
ჩვენთვის კი ქვეყნად  
აღარაფერი!..  
– არც სიყვარული,  
არც გაზაფხული!..

\* შიქასტა – დავრდომილის სიმღერა  
ქალთა საგალობელი (ძველად) – ი. გრიშაშვილი

# ვანი ბოსტაშვილი



## ცისა და მიწის ლურჯ სიცივეში

შემასვი წყალი მძიმე ხელადით,  
თუ უკვდავების ცისფერი სითხე.  
ვით ქარდაკრული წყარო, ვლელავდი,  
შენ, ქალღმერთივით იდექი უკვე.

ირეკლებოდი სულის სიღრმეში  
და უნაპირო ნაპირს სტოვებდი.  
ცისა და მიწის ლურჯ სიცივეში  
მე ვივსებოდი სიმარტოვეთი.

## გულს მონატრების ამძიმებს ტყვია

ხესავით მომჭრეს შუაგულ ტყეში,  
მაშინ, როდესაც ოცის ვიყავი.  
ძმა დამეკარგა ნოემბრის თვეში,  
მძლავრობდა ჟამი განუკითხავი.  
მთვარე ღრუბლებმა დაფარეს ჯვართან,  
როგორც ფოთლებმა მიწის იარა.  
რისხვას მოჰკავდა ლანდები ჯართა,  
სიკვდილივით რომ გადამიარა.  
იყო სიცივე,  
შიმშილი, ძრწოლა,  
კვნესა, გოდება,  
ცრემლი,  
ღრიალი.  
არსობისათვის მხეცური ბრძოლა,  
მოყვასის სისხლის შესმა ფიალით.  
მას შემდეგ ვეძებ მუხთალ ავღარში,  
ჟამს უჟამური სიჩუმე მიაქვს.  
ტყვია მაწვიმდა და ძლივს გადავრჩი,  
გულს მონატრების ამძიმებს ტყვია...

## ჭიანჭაში მთვარე

ღრუბელი თუთუნს ეწევა,  
საოცრად ცივა გარეთ.  
სამთავროს შემოეწება  
ჭიანჭაში მთვარე.  
ბერძუნა ფიქრებს ეძლევა,  
ძილქუშს მოუცავს არე.  
სოფელს უჩუმრად ეცლება,  
ჭიანჭაში მთვარე.  
პაპა დაკოჟრილხელება,  
გაიჭრიალებს კარებს.  
ლანდებს წაიყვანს მძევლებად,  
ჭიანჭაში მთვარე.

## მოხუცი ღმერთი

წელში მოხრილი ვიხლე ღმერთი,  
ქუჩაში ლამაზ ყვავილებს ყიდდა.  
ამოგუდექი მაშინვე გვერდით,  
შემომხედა და მომიგო მშვიდად.  
ყმაწვილო – ახლა მითხარი ერთი,  
იების კონა ლარად თუ გინდა?!  
წაილე, შვილო,  
ცრემლია დედის,  
დედის გულია ყველაზე წმინდა.  
მივდიოდი და მიმქონდა სუნთქვა,  
რომ დამენახა თვალები დედის.  
გალიმბებული დავტოვე უკან,  
წელში მოხრილი მოხუცი ღმერთი.



„ფიქრის მუსიკა“  
მხატვარი: ვასილ ბოსტაშვილი

ს უ ლ თ ა ო ბ ა

თამაზ ბაბიოშვილი

გზაჯვარედინი – ჯვარზე ვლა

ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში რამდენ გზაჯვარედინზე გაგვივლია; ბავშვობის – ზღაპრულ ცხოვრებაშიც, ზღაპრის გმირებთან ერთად ვმდგარვართ გზაჯვარედინზე, ყოველ მხარეს ლოდი რომ დევს წარწერით – აქეთ თუ წახვალ – ასე იქნება, იქით – ისე და ა.შ.

მაგრამ არ გვიფიქრია იმაზე, რომ ყოველ გზაჯვარედინთან შეხვედრისას, ჩვენ ჯვარს ვხვდებით – ჯვარზე გვიწევს სიარული.

ასევე, ყოველი ფიქრისას, როდესაც ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ვღებულობთ, ჯვარზე ვიმყოფებით.

ყოველი აზრი და ქმედება, რომელიც დამანგრეველი, მცდარი, მავნებელია სრულიად სამყაროსთვის, მიწისქვეშეთისკენ, უფსკრულისკენ მიექანება, მიწდება! ისეთი – რომელნიც არც გაენებს და არც გარგებს, სულერთია რომ ჰქვია და მოიცავს ღორბუცელობას, სულ ფულის გარშემო ტრიალოს, ცხოველური ინსტიქტების ქვეშ ყოფნას და ა.შ., ჩვენს გაყინულ მდგომარეობას ეთანადება.

სიკეთისა და უანგარო სიყვარულის ძალით აღძრული ქმედებანი ჩვენს პიროვნულ აღმავლობას, ამადლეებს შეესაბამება.

ჩვენი ხერხემალი, კულუსუნიდან რომ იწყება და თავამდე აღის, გადაკვეთილი ნეკნების რკალებით, გზაჯვარედინებს შობენ ჩვენში. ჩვენსავე ხერხემლის ძალებზე, როგორც კიბეებზე, ხან დაბლა ჩამოვდივართ, ხან კი ზევით მივეშურებით... ჩვენ ვწმენდთ და ვალამაზებთ, ვტვიფრავთ ამ კიბეებს, ან ვშლით და ვანაგვიანებთ... არჩევანის უფლებას ნეკნებით დაფარული გული ითხოვს, გული, რომელიც თავად ჯვარზეა ასხმული და ოთხ საკანს ატარებს; მაგრამ მას თუ გონებისკენ მიმართული ზესწრაფვის კოეფიციენტი აქვს დაქვეითებული, თუ ძალა-ძალა მალამალ ფრენის სურვილი არ გააჩნია, გასკდება და ეგ არის...

P.S. დღეს თბილისში ძალიან ცხელია. ნაგავი მქონდა გადასაყრელი და ვიფიქრე, თხელი კაბა, რომელიც სახლში მეცვა, იქნებ არ გამომეცვალა და ისე ჩავსულიყავი დაბლა მაინც კი გამოვიცვალე, მაგრამ ჩემს წინ მიმავალ მოხუცს, თუმცა მხნე კაცს, გაებედა და ტანზევით შიშველი გამოსულიყო გარეთ. ორთავეს ნაგვით სავსე პარკები გვეკავა. ის, არ ვიცი, რაზე ფიქრობდა, მე კი მის შიშველ, გამხდარ ზურგზე ეს ჩანაწერი ამოვიკითხე – ხერხემლითა და ნეკნებით შექმნილი ჯვრის მატარებლობაზე... მსუქანი რომ ყოფილიყო, ან სამოსელიანი, რა თქმა უნდა, ამას ვერ დავინახავდი და გზაჯვარედინზე ანთებულ წითელ შუქნიშანზეც არ შევჩერდებოდი.

ორივემ გადავყარეთ ნაგავი; გავმსუბუქდით. ერთხანს კიდეც გავაყოლე მზერა ჯვრებიან ზურგს და ზღაპარში შევბრუნდი:



ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

და ბოლოს, და უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ადამიანი შეჯვარების შედეგად იქმნება (იქმს ნებას, დაიბადოს ადამიანად). შეჯვარება კი ორი ჯვარის შერწყმას და ერთი ახალი ჯვარის მიღებას ნიშნავს.

საცეცხლური

უფალი ახორციელებს ნათლობას ცეცხლით. ასოები, სიტყვები ცეცხლის ყვავილები და ნაყოფები არიან; ამიტომაც, სანამ თათრული სიტყვა „ოჯახი“ დამკვიდრდებოდა საქართველოში, ოჯახს კერა, ცეცხლაპირი, საცეცხლური ერქვა (შემდგომ – სახლი ან სახლობა, ვითარ კომლი, კომლეული), რაც, უდავოდ, ამტკიცებს, რომ ოჯახი, სადაც ნათესაური კავშირით შეერთებული ადამიანები, მემკვიდრეობითი ნაკადი ცხოვრობდა, წარმოდგენდა ცეცხლის ჩამოსასვლელს, ცეცხლით ნათლობის განსახორციელებელ წმინდა ადგილს – საცეცხლურს.

როგორც აღდგომისას, ღვთის დიდების მაცნედ და მარად არსობის დასტურად, გადმოდის ღვთაებრივი ცეცხლი ზეციდან, აი, ასეთი – სულიერი ცეცხლი ფიზიკურ ღონემდე განსხეულებული – ალმოსილი და ძალმოსილი – სინათლის და სითბოს მატარებელი ცეცხლი ჩამოდიოდა საცეცხლურში.

დღეს კი ადამიანები ხშირად ამ ცეცხლის ჩაქრობას ცდილობენ და ნაცარს ქექავენ, რათა თვალები დაიბრმავონ და ვეღარ შეძლონ, აღარ სურდეთ ცეცხლაპირას ყოფნა. ყველა გასულია სახლიდან; დედას და მამას დიდიდან საღამომდე სამსახურში – ალთას და ბალთას უწევთ ყოფნა და, უკეთეს შემთხვევაში, ბუნრისპირას ძიძა უკითხავს პატარას ნაცარქექიას ზღაპარს.

სულის შაბათი,  
ვარდის შაბათი,  
სულთაობა

მი – ლოცვა  
(ადამიანის ლოცვა)

ჩემს სოფელში, ფხვენისში (გორის რაიონი) ჩავედი. ეზოში, აივანზე, ბაღში თითქოს ვარდის სურნელი იდგა - ღიადი, უწყვეტი, საამური, ტკბილი. რაკი ვარდის შაბათი იყო, ერთხანს ვიფიქრე, სწორედ ამიტომ აფრქვევს-მეთქი ბუნება სიხარულს... მერე მივხვდი, ღობის ჩასწვრივ ერთიანად აფეთქებული აკაციებიდან მოაქროლებდა ნიავე ამ მიმზიდველ სურნელს.

ცაზე ქულა ღრუბლები იცინოდნენ, პირები უკრი-ალელებათ... ღრუბელთა შორის თეთრი, ზუსტად ღრუბლისფერი მთვარე, ოდნავ დაბრეცილი, ორ დღეში რომ აივსება – ისეთი, ვითომც არაფერი, რომ არ გცოდნოდა, რომ მთვარე შეიძლება ასეთი ყოფილიყო, ღრუბელი გეგონებოდა. დავაკვირდი... სახე მასაც გაცისკროვნებოდა, თვალებიც ჰქონდა და პირიც... ცოტა ხანში ალაპარაკდა: ღრუბლები გამუქდნენ, მთვარე კი მოოქროვდა და გამოეყო ღრუბელთა დასებს... სახლის უკან ერთად თავმოყრილ უამრავ ბაბუაწვერას დახედა, წვიმებისა და მზის მცხუნვარებისაგან წელამდე ამოზრდილ ყვავილნარს, გახარებულთ და კამკამა ფერებით მორთულთ... – დილაადრიან სულთმოფენობის დღესასწაულს შეგაგებებთო – შეპირდა და, წამიერად, წვიმის ბრიალიანტა ნამები ჩამოურიგა სამკაულებად.

რა ლამაზი იყო გარემო... ჩიტების ჭიკჭიკ-გალობით კიდევ სხვა რიგად დამშვენებული.

შორიანლოს თეთრი ცუგა გამიწვა; მარჯვენა წინა და უკანა ფეხი მაღლა ასწია, კუდი მიწაზე ააფათქუნა, თან აწკმუტუნდა – მომხედე და მომეფერეო...

ადამიანებს, როგორც ყოველთვის, ძალიან ბევრი საქმე ჰქონდათ, არც დაბლა და არც მაღლა იყურებოდნენ, თითქმის დარბოდნენ და ვერ ამჩნევდნენ ირგვლივ რა ხდებოდა....

დიდ დედა ბუერებს გაეშალათ ლურჯი ქოლგები:

ო, ჭიანჭველავ,  
დაქანცულო ხეტიალისგან,  
სხვა თუ არავინ,  
სხვა თუ არავინ,  
წვიმისაგან საცეცხბდაცლილს,  
შეგიფარებს ერთგული ქოლგა –  
ღობეს აკრული  
დედა  
ბუერა.

შორი ციდან ჩამომავალ წვიმის წვეთებთან შეგებებისას შორი ქვეშეთიდან ამოწიალებულ ბუერას ფოთლებს განუმეორებელი, ბუბუნა ექოები დასცდა...

ელვის ჭრილებში ბუნებამ დიდრონი თვალები დაახმხამა.

ოთახში სამნი ვართ: ბუჟანი, ქეთევანი და მე. ქეთევანის დაბადების დღე საცაა დაიწყება.

ბუჟანი: – აბა, ქალო, არ მომილოცავ, ქეთევანი რომ შეეკმენი?

მე: – მე კი არა, შენ უნდა მომილოცო, რომ დავიბადე, მე გავაჩინე...

ბუჟანი: – აბა, მე არა გყოლოდი და ერთი ენახავდი, როგორ გააჩინდი ქეთევანს...

ქეთის გული უფანცქალებს და იმის მოლოდინშია, რომ საცაა 12 საათი შესრულდება და 16 მაისი დაიწყება; ყველანი მივულოცავთ. შემოგვყურებს ორივეს და გაკვირვებული ხელებს იქნევს:

– ერიჰაა, მგონი, თქვენ კი არა, მე უნდა მოგილოცოთ ჩემი დაბადების დღე... – იცინის და გადის ოთახიდან.

ის იზრდება, ჩვენ კი ვპატარავდებით.

შვილები – ცის (და კა-ცის)  
შემოქმედება ჩვენში

წელს, მარტის პირველი კვირის დასასრულს, ფოსტალიონმა მოულოდნელი გზავნილი მომიტანა. ბარბარესგან იყო, რომელიც ამჯერად ესტონეთში სწავლობდა. გავხსენი, წავიკითხე... თვალები ერთდროულად სიხარულისა და სინანულის ცრემლებით ამეკსო...


მწერდა:

„დედა, გილოცავ ჩვენს დღეს!  
მაღლობა, რომ გამაჩინე  
და ჩემი დედიკო ხარ“.  
ბოლოში გული ჰქონდა მიხატული.

ასე შორს მყოფი, იმის გამო, რომ გავაჩინე, მაღლიერებას გამოხატავდა და ქალთა, დედათა საერთაშორისო დღეს მილოცავდა. შემებრაღნენ ბავშვები, რომელთაც დედამდე მოაღწიეს და დაბადება არ ეღირსათ.

სამწუხაროა, რომ არსად! არავინ! არასოდეს! აფრთხილებს მომავალ დედას, რომ გათხოვების, შეუღლების ერთადერთი და ძირითადი მიზანი არის შვილი შობოს; რომ ცოდვას მოვლენილი არსების სიცოცხლის ხელყოფა; რომ ქალს – დედას, ასევე მამას და ამ გადაწყვეტილებაში მონაწილე პირებს, არა აქვთ უფლება, არ მიიღონ შვილი, რომელიც თითქმის მოვიდა, სულ ცოტადა დარჩა სიცოცხლისთან ზიარებამდე... მეანიც დაგეგმილი ქმედების ბოლომდე მიყვანაში ეხმარება და გასამრჯელოს იღებს, ამშვიდებს ქალს, რომ ეს არაფერია, ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც ხვალ აღარ ემახსოვრება; არც ისე მტკივნეულია; მალე გათავისუფლდება; რომ რაღაც არ მოუვიდა თვალში ექოსკოპიის გაკეთებისას და მომავალ ტკივილებს გადაარჩინა ყველა და, მათ შორის, ბავშვიც და ა.შ.





ისე გამოდის, რომ ჩვენ, ყველანი, ვინც მოვევლინეთ ამ ქვეყანას, მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოვევლინეთ... შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანიც აღმოჩენილიყო აბორტის მახეში...

გული შექუქუნა...

აბა, რომელი მეან-გინეკოლოგი გააკრავს კედელზე წარწერას: „აბორტი ბოროტებაა!“, რომ ამ ცოდვის ჩამდენი ყველა პირი სათანადო სასჯელს მიიღებს ცხოვრების გზაზე... (რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავთ, რომ იშვიათ შემთხვევაში, აუცილებელი იყოს ასეთი ოპერაციის ჩატარება).

გამოფხიზლდით, ძვირფასო დედებო! დაიცავით თქვენთან მოვლენილი შვილები! აქედან, უსუსური ბავშვის დაცვიდან იწყება ადამიანის უფლებების დაცვა – ქალის, დედის ღვთაებრივი მოვალეობის აღსრულება...

ერთად ყოფნა

1 – ერთი, ერთიანი – ერთად მყოფი, ერთად შეკრულ-შეკონილი, ერთის, ერთობის, ერთიანობის – პირველობის მატარებელი არის უფალი.

როცა ჩვენ მოყვასს, ან ჩვენს თავს, ვუსურვებთ სხვებთან ერთად კარგად ყოფნას, ამ სურვილის სიღრმეში ჩაბეჭდილია სურვილი – ჩვენ მივბაძოთ ღმერთს „ერთად“ ყოფნაში; შევძლოთ ჩვენ სხვასთან, ან სხვებთან ერთად,

გა-ერთი-ანება, ერთი ნების, ღვთის ნების მატარებლობა.

„ერთად“ სადაც მოიხსენიება, იქ, სინამდვილეში, ღმერთთან ყოფნა იგულისხმება.

თუმცა ადამიანები დღეს ბოლომდე ვერ ვხვდებით, რომ „ერთად ყოფნა“ ჩვენს პირად სურვილებს სცილდება და ღმერთისკენ საგალ გზას გულისხმობს.

ანუ, სხვანაირადაც შეიძლება გვეთქვა: ადამიანები მხოლოდ მაშინ არიან ერთად, როცა ისინი ღმერთთან არიან.

უფრო შორს და სხვაგან თუ არ წავალთ, მთავარი პრობლემა დღეს ისიცაა, რომ თავად ადამიანია დანაწევრებული, უჭირს, სწორედაც, ერთად შეეკრა, ერთიანობა, ღმერთთან ყოფნა და დაშლილ-დამცრობილ, ხანაც გადაგვარებულ, მაგნე ნაწილებს – ბოროტების ათასგვარ ხლართებს მისდევს და შიგ ებმის. შესაბამისად კი – გახვეულია გაჭირვების, ავადმყოფობის და ცოდვების საბურველში. აქ, ამ ტკივილში სძინავს ადამიანს და ჯანსაღი გამოღვიძება, ზე აღმართვა არ სურს... თუმცა... კეთილ ნებას კი გამოხატავს საღმრთაობით - ერთად ყოფნას გაუმარჯოს! ერთად ტკივილად შეაბერდით! და ა.შ. ხშირად კი ზუსტადაც ასე იტყვის: - ღმერთმა ერთად გამყოფოთ! – ღმერთმა ერთად შეგაბეროთ!

მართლაც! დე, ასე იყოს, ოღონდ, მართლა ასე...

„მსურდა შენი ხელებით დამხუჭოდა თვალები“

- არა კტება?
- კვდება და არ კვდება!
- ვისლა ელის?
- რავი, აბა?! ყველა აქა ვართ.
- ???
- „თეკლა მამიყვითო“. ჰოდა, შევუთვალეთ.

ამ დროს ორლობეში თეკლაც გამოჩნდა. მტკივან ფეხს საცოდავად მოათრევდა.

მიეგებნენ, კიბეზე აიყვანეს და ავადმყოფთან შეაყვინტა.

- მარტო დაგვტოვეთო. - ანიშნათ მომაკვდავმა.

დიდხანს იჩურჩულეს. დასევდიანებული გამოვიდა თეკლა და სახლისკენ წაყოჭლავდა.

მეორე დღესვე მობრუნდა, თან მოხუცი მოიყვანა, მინდვრის ყვავილებს რომ მორცხვად მალავდა ზურგს უკან.

თავი დაუკრეს დამხვდურებს, ხმა არ ამოუღიათ. მოხუცი ოთახში შევიდა, თეკლამ კი კარი მიხურა და იქვე ჩამოჯდა.

კაცმა მწოლიარეს პაწია თაიგული გაუწოდა. ხელზე შეეხო.

ქალმა სინარულით გამოართვა, ხარბად შეისუნთქა მინდვრის სურნელი და ყვავილები გულზე დაიწყო.

- არ გამამყევი, არა? - უსაყველურა კაცმა.
- გამათხუეს.
- არც ეგვი იყო. იპრანჭებოი.
- გიყვარ... ვარ?
- მა არადა?
- მაკოცვი.

კაცი დაიხარა და აკოცა.

- სულზე მამისწარ, - თქვა ქალმა, თვითონაც აკოცა, შვებით ამოისუნთქა და სულიც ამოაყოლა. ობოლი ცრემლი აუკიაფდა თვალის უბეში.

კაცმა კურცხალი მოიწმინდა, მიეფერა, ცრემლი შეუმშრალა, აკოცა და თვალები დაუხუჭა...

# ლიცენზირებული კრიტიკა

## ბენია ბენია

### „პოეტი ტიციანი“



კაცობრიული განცდაა წარსულის მიმართ ქვეცნობიერი დამოკიდებულება. იგი არასოდეს განებებს თავს. წარსული ფესვებია ცხოვრებისა და, რა თქმა უნდა, გრძნობ და გტკივა ის, რაც ოდესმე სტკენიათ წინაპრებს. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ალბათ გააჩნია, ვისთვის. ჭეშმარიტი მამულიშვილების დრო წარსული, აწმყო და მომავალია ერთად დატრიალებული. მათი მგრძობელობის ხარისხი აწმყოს არ ემორჩილება და მოგზაურობს ყველა დროში, რათა ჭეშმარიტად თანაუგრძნოს, როგორც წინაპარ, ასევე მომავალ თაობას. ჭეშმარიტი მამულიშვილის სახილველი მომავალსა და წარსულს იმ სიბრტყეზე უმზერს, რომელშიც ყველას ვერ ძალუძს ჭვრეტა. იდუმალი სამყაროს ცნობიერ-შემეცნებითი აღქმა უდიდესი განძია. მისი მფლობელები კი ღვთისგან კურთხეულები არიან გარკვეული მისიით და, სულის კარნახით, უფლის ნებას ემსახურებიან.

უზენაესით შთაგონებული პოეტის შემოქმედება პროგრამაა მოკვდავთათვის უკვდავებასთან საზიარებლად. ენა შემოქმედისა საერთოა ცისა და მიწისათვის. პოეტის სიტყვა ღრმა და უნივერსალურია. განმარტება ლექსისა ყოფიერიდან უყოფიერში ხიდის გადაბაა, პირველ სიტყვის განახლებაა, მკითხველის შემეცნებითი ცნობიერების განათლებაა.

ღეღამიწის ზურგზე არავის ისე არ ეწევა თავისკენ პირველამძრავი ბიძგის ნეტარი შეგრძნება, როგორც პოეტს. ნატიფი მგრძობელობა მას თაურმდგენის მონატრებას უღვივებს და სრულყოფილები-საკენ უბიძგებს. ძიებ-ძიებით მიკვლევა საიდუმლო ინფორმაციებისა უხსნის ტროპული მეტყველების საღაროს და შთაგონება კოსმიური რითმითა და სამყაროული რიტმით კრავს უნივერსალური მნიშვნელობის სიტყვათა კონას, ქმნის ლექსს და გუგუნებს პოეზია.

ასე და ამგვარად იბადება პოეტი და ლექსი. ასე და ასეთი მოევლინა ტიციან ტაბიძე პოეტურ სამყაროს. მისი სრულყოფილი გენია იძლევა ჭეშმარიტი პოეტის ისეთ მახასიათებლებს, რომელმაც მოგახსენეთ.

ტროპული მეტყველების მიზნობრივი დატვირთვა, სიტყვის საიდუმლოს შინაგანი წვდომის უნარი, ტიციანის გამოხატვის ხელოვნებაა. მოსალოდნელი უბედურების სიმწვავის ქვეცნობიერი შეგრძნება მძაფრი მუხტია მისი მხატვრული აზროვნებისათვის. სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი ცხოვრების მარადიული მოთხოვნილებაა: „ვარ გარჩენილი ქვაზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები, შემართულია

ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადაურჩები“, განწირულის ბოლო სიტყვაა. სიტყვა, რომელშიც ტიციანის ჩავლილი ცხოვრების დიდებულება ერთ სიმბოლოშია არეკლილი: კალმახი ის არსებაა, რომელშიც წინააღმდეგობის გაწევის შეუპოვარი უნარი ბუნებრივი მონაცემია. შთამომავლობის გადასარჩენად იგი ქვირითობის პერიოდში დინების საწინააღმდეგოდ მიემართება სათავისაკენ, სადაც მდინარეს ვერაფერი ამღვრევს და პირველნაბადი სიწმინდის ფსკერზე დებს ქვირითს. კალმახის შეუპოვარი ჭიდილი სტიქიასთან მომავლისათვის თავგანწირვის კანონიკური აქტია. გენეტიკური კოდი ბუნებაში შეუცნობელი მოქმედების კანონია. მას ვერა და ვერაფერი ვერ შეცვლის. სათავისაკენ სვლა სასრულობისათვის გამიზნული ქმედების ბუნებრივი მიმართულებაა. მიუხედავად ამისა, სიცოცხლისათვის შეუთავსებელი გარემო ამ არსებასაც სასიკვდილოდ იმეტებს.

კალმახის სიკვდილისწინა სურათის შთამბეჭდავი კადრი მკითხველში ღრმად ჩამარხული ცივი და უგრძობი ნერვის შეტოკებით აღვიძებს მეხსიერების იმ უჯრედებს, რომლებიც პირველქმნილი სიწმინდისა და თაურმდგენი სიცოცხლის მისტიკური შეგრძნებით უკვე გარდავლილ ცხოვრებაში ჩაგახედებს.

მარადისობის შეცნობა ახელებს პოეტს და მისი შემოქმედებითი წვის ტემპიც უჩვეულოდ მატულობს. გამარჯვებული გადალახავს ფინიშის ზღვარს და წმინდა კალაპოტიდან აგრძელებს მარადისობაში სვლას. ტიციანის სულიერ-გენეტიკური კოდი მისივე ორიგინალობის განმსაზღვრელია.

ეს სტრიქონი ტიციანის ლექსისა „ანანურთან“, ბიბლიური იგავების ტოლოფასია, რამეთუ წინასწარმეტყველების რეალობაც ასპროცენტიანია. პოეტის ყოფა აუტანელი გარემოა მართალი შემოქმედებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ტიციანის პოეზია სათავისაკენ სვლისა და სასრულობისაკენ სწრაფვის შეუპოვრობით გამოირჩევა, ამქვეყნიური დაბინძურებული აზროვნება ზღუდავს შემოქმედებით სიცოცხლეს და სიკვდილიც გარდუვალია.

იშვიათია ღრმა სიტყვების მიზნობრივი დალაგების ასეთი ტექნიკა და უნივერსალურ-საზრისიანი სტროფებით სტრიქონის ასე შეკვრა. მდიდრდება მკითხველის გონების საწიერი. არაჩვეულებრივი პოეტური ტილოსა და უნიკალური სინემატოგრაფიული კადრების ხიბლი კი ესთეტიკურ გემოვნებას სრულფასოვნად ალავსებს.



იმდენად დიდია ამ სტრიქონის („გარჩენილი ვარ ქვაზე კალმახი“) მხატვრული ღირებულება, რომ ქართველმა ერმა მას სამარადაჟამო ადგილი უნდა დაუძკვიდროს ტროპული მეტყველების საგანძურში.

„შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“, ერთი შეხედვით ძალიან უბრალო და უმნიშვნელო სტრიქონები, ლექსის თემატური გააზრებისას, უნივერსალურ მნიშვნელობას იძენს. არაგვი რომ თეთრიცაა და შავიც, ეს ბუნებრივი რეალობაცაა და არა მხოლოდ მხატვრული სახე. ცალ-ცალკე მოედინება საქართველოს ტერიტორიაზე ორივე და ანანურთან ერთმანეთს ერთვიან. ამ ფაქტის მიზნობრივი გამოყენება ავტორის არა მხოლოდ ოსტატობაა, არამედ ადამიანისა და მისი გარემომცველი ბუნების მისტიკური საზრისებისათვის საიდუმლო ფარდის ჩამოხსნის მცდელობა და უტყვი ბუნების მეტყველი თვისებების შემეცნებითი განზოგადება პოეტურ სტილში. ამ სტროფებით ტიცციანმა გამოიხმო მხოლოდშობილი, პირველქმნილი ბუნების წმინდა-თაწმიდა სულის კანონიკური სრბოლის (თეთრი და შავი არაგვის მდინარება) კანონზომიერი აქტი (მათი შეერთება ანანურთან), რითაც საზოგადოება დაანამუთა: თუკი ბუნებაში შესაძლებელია თეთრი და შავი ერთსხეულ იქმნას ჰარმონიული მდინარებით და გზადაგზა დაიწმინდოს, რატომაა შეუძლებელი, რომ ადამიანებმა თავიანთი ალვირასხნილი შავბნელი აზრები სიყვარულის კალაპოტში გაატარონ და ნება-ნება, მანძილ-მანძილის დაწმენდას დაელოდონ. შავბნელი აზრების გაბატონება ცხოვრების ბუნებით მოვლენაზე, არა მხოლოდ ქართული, არამედ კა-

ცობრიული ტკივილია. ამ მსოფლიური განცდის დაძლევაში ღირსეული წვლილი შეიტანა ტიცციანმა სხვა გამოჩენილ პოეტებთან ერთად.

ლექსში „ევქსინის პონტი“ ტიცციანი ამოუცნობი სათქმელის განცდაშია. რაღაც შორეული ვერ ასვენებს, ამჯერად მისი მეხსიერება მითოლოგიური ჩარჩოებიდან გამოკვეთილად ვერ ახმოვანებს იმას, რაც იყო და რამაც უნდა უკარნახოს შემდეგი სვლა ავტორს. ის ბეცად არ უყურებს პოეტურ ნიჭს, კარგად უწყის მისი ზებუნებრიობა. ძლიერია მისი ქვეცნობიერი, მიუხედავად ამისა, სურს მეტი გამოსტყუოს მეტააზროვნებას და იგრძნობა უშურველი სურვილი უხილავის ძალმოსილებაში გარკვევისა: „ძველი მითოსის ტალღები მირტყამს“, – აცხადებს პოეტი და მის თანადროულ ყოფაში შორეული წარსულის ნიშნებს პოულობს.

ტიციანის ლექსების სიღრმეში დევს რაღაც ისეთი, რომელიც აიძულებს მკითხველს, მიდრეკილი იყოს მისი პოეზიის მიმართ. ხშირ შემთხვევაში უხილავი ენერგეტიკული მუხტის გადმოსვლა სტრიქონებიდან აშკარაა. შემოდის შენში სიტყვით გამოუთქმელი გრძნობა და ისე გეუფლება, რომ არც გაინტერესებს, რისგან ხდება ეს. რასაც მე ახლა ვამბობ, არ არის პათეტიკა. სრული ჭეშმარიტებაა.

დღეს, ახალი განწყობები რომ ეუფლებათ პოეტებსაც და მკითხველებსაც, ძალიან თვალში საცემია. მე-20 საუკუნე იყო თვისობრივად ახალი საუკუნე. 21-ე კი უფრო ღრმაა, ალგორითულია, იგაუურია და განმარტებას მოითხოვს. ტიცციანი ის პოეტი, რომელიც ერთი საუკუნით უსწრებდა დროს. თუ მაშინ მისი შემოქმედების ანალიზი საკმარისი იყო დასკვნისათვის, რომ ის კარგი პოეტი, დღეს ეს არ გვაკმაყოფილებს და, სიკარგის მიზეზებისა და საბაბის ძიებაში, ვრწმუნდებით, რომ მშრალი ლიტერატურული გარჩევებით შეუძლებელია იმ გზაწილების ამოცნობა, რაც უხენაესის ნებით ხორციელდება შემოქმედთა შემოქმედებაში. არა მხოლოდ განხილვა და ანალიზი, არამედ, აუცილებელია კომპლექსური მიდგომა და განმარტება მათი ფარული აზროვნებისა.

„ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელი და გამურული მიძრება ყრონტი“ ამოუთქმელის ამოთქმის დიდი სურვილია. მას შეუძლია ბუნებრივი მოვლენების კანონზომიერი ასპექტები ცხოვრების წესად გაიხადოს და იგივე დაუსახოს მკითხველს მიზნად. თან აშკარა მოთხოვნაც იგრძნობა მის პოეზიაში ჭეშმარიტი, მართალი შემეცნებისა და მიანია, რომ ის, რაც უკუდმართად ვითარდება, უგუნურებისა და სიბეცის შედეგია.

პოეტის მეტად მგრძნობიარე სული მისივე შინაგანი განცდების ნიჭიერი აღმქმელია და არ უშვებს არცერთ შემთხვევას გამოხატვის გარეშე. შინაგანი კმაყოფილება შიგადაშიგ დამშვიდების საბაბსაც აძლევს: „ზღვა და ხმელეთი ისევე გამთელდა“ მინიშნებაა პოეტისათვის მიწიერისა და ზეციერის საიდუმლო სიბრტყის თანაბარ მისაწვდომობაზე.

ტიციანის სილიადე იმაშია, რომ ის დგას არა ზღვარზე ხილულ-უხილავი სამყაროსი, არამედ გაერთმობიანებულ სიბრტყეზე და წრიული დინამიკის შეცნობადი მოვლენების მხილველი და გადმომთარგმნელია: „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიძღვის ბრალი“, ზუსტადაც რომ უუშორეს წარსულში მომხდარი ფაქტია. ამ სტრიქონების ხილვითი საზრისი ადასტურებს მეცნიერული რელიგიის ფუძემდებლურ დოგმას, რომ სამყაროული არსებობის წრებრუნვის კანონი განმეორებადობის გარანტია. ეს ბუნების კანონია, ანუ ბედისწერა გარდაუვალი მოვლენაა, რაც ათავისუფლებს, ტიციანის თქმით, სამშობლოს ბრალეულობისაგან. ცოდვა-ბრალის ამ ფორმით გამოხატვა გვაფიქრებინებს პოეტის მრწამსზე, მას სჯეროდა: ყველაფერი, რაც ხდება, უკვე იყო, ე.ი. ისევ განმეორდება.

წარსულში ხედვის სულიერი უნარი გახდა სწორედ პოეტის წინათგონობისა და წინასწარმეტყველების შეუცდომლობის გარანტი. მის გონებაში ხსნილია ორთა სამყაროს კარები და ტიციანი პოეტურად აშუქებს უკვე ნანახსა და განცდილს აწმყოს კარიბჭიდან მომავლის სარკმელში: „მინდა მოვირთხნა ამ შარაგზაზე, მინდა გავიხსნა გული ალალი“ პოეტის სულსწრაფობის ნიშანია, რა აზრი აქვს მოცდას, რამეთუ იცის, ის მაინც მოხდება, რადგანაც ის უკვე მოხდა.

კაცობრიული აზროვნების განვითარების ისტორიაში ნათელმხილველობისა და წინასწარმეტყველების ეტაპებმა გიგანტური როლი ითამაშეს ახალი გონის – დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია შემოქმედთა შემოქმედებაში. უზენაესი პოეტი კი, ყოველი ლექსის შექმნისას ამ სიბრტყიდან იღებს ინფორმაციას და თავდაჯერებით აკეთებს პოეტურ განაცხადებს. ნახეთ, როგორ ესადაგება ეს ყოველივე ტიციანის ერთი შეხედვით უცნაურ სტრიქონს: „მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს, / ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. / ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწვერს, / რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარნავს. / „ინტონაცია იმდენად რწმუნებითია, რომ ავტორი თითქოს ცხადად ხედავდეს ლექსის მიერ პოეტის ჩამოქნას. არადა, ეს, მართლაც, ასეა. გენიალური რუსთაველისა არ იყოს, „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გარდმოსდინდების“. ტიციანის თავმდაბლობა გამომდინარეობს არა მხოლოდ მისი ადამიანური ეთიკური თვისებებიდან, არამედ, მისტიკური განზომილებიდან გონებაში არეკლილი გზავნილების მხატვრული ოსტატობით, უდანაკარგოდ გადმოცემის ღვთიურ მისიაში.

მართალია ტიციანი მაშინაც, როცა ამბობს: „ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“ (ო). უზენაესით შთაგონებული ლექსების უკვდავება უზრუნველყოფს მის სიცოცხლესაც. სიცხადე პოეტისათ-

ვის მეტაფორული აზროვნების ხელოვნებაა. ისეთი უარყოფითი შინაარსის მატარებელი სიტყვაც კი, როგორცაა „მეწვერი“, სწორედაც დიდოსტატის კალმით გამოყვანილი, იძენს სრულიად დადებით საზრისს: ლექსი წმინდა საბურველი იყოს თითქოს, და აბა, მასში დამარხვა, არათუ სიკვდილს მოასწავებს, არამედ, „ცოცხლად დამარხვას“, სიცოცხლე არ წყდება, ის ლექსშია. ლექსი კი უფლისგანაა, ე.ი. სიცოცხლე უფალშია.

ამ გენიალური „ლექსი მეწვერის“ მეცნიერულ-რელიგიური ჩაღრმავება ნამდვილად ღირდა. პოეტი პოეზიაა ფიზიკურ ასპექტში გასხეულებული, ამიტომაცაა, რომ მისგან მკითხველის საწყაული ლექსებით ივსება. ასეთი ლექსები ნატურალურია, ეკოლოგიურად სუფთა და სულისათვის სასარგებლო. სულიერი საწიერის გაწმენდა დღევანდელი საზოგადოებისათვის არ იქნება ურიგო. ტიციანის ლექსები კი ჯანსაღი პროდუქტია მოწამლული შინაგანი მრწამსის განსაკურნებლად.

მხატვრული და მისტიკური აზროვნების საუკეთესო ნაჯვარია – „მე დავიბადე აპრილის თვეში, / ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან.“ გაზაფხულზე აყვავებული და ჯერაც ნაყოფიერებისმედი ვაშლის ხე სიმბოლური, ამასთანავე, წინასწარმეტყველური სახეა ტიციანის ჩვეულებრივი თუ შემოქმედებითი ცხოვრებისა. ის იმ ვაშლიდან დაიბადა, რომელმაც ეს-ესაა დაიწყო აპრილის ფუნჯით აყვავილება და პირდაპირ ამ ყვავილიდან დაიბადა პოეტი. ასეთი შთამბეჭდავი სიმბოლური განმარტება ქვეყნად ნაადრევად მოვლინებისა, იშვიათია. ჩემი გადასახედიდან, არც არსებობს.

„მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში, / მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან“. ნაადრევად დაბერების მწუხარე რიტორიკაა. „მაწვიმს სითეთრე“ ისევ ვაშლის თეთრი ყვავილების დაუმთავრებელი მოუძწიფებლობის სიმბოლოა და მთელი უბედობა ტიციანისათვის უდროოდ მოვლინებაშია. ზე იდეალების მატარებელი პოეტი საზოგადოებაში თავს მშვიდად ვერ გრძნობს და, ამდენად, მისი სიმბოლური აზროვნება მეტაფორის ჭრილშიც უნდა გავატაროთ. შედეგად პოეტი ჩივის არა მხოლოდ სხეულებრივად მის ადრე მოვლინებაზე, არამედ, მისი შეხედულებების ნაადრევობაზე, რის გამოც „და აწვალდება მას სიკვდილამდე / ქართული მზე და ქართული მიწა, / ბედნიერებას მას უმაღლავდნენ, / ბედნიერება მან ლექსებს მისცა.“

სამშობლოთა ავსებული მისი გული. მისი ლექსები კი ის ღვარცოფია, რომელმაც წარღვნა ჩვეულებრივი ადამიანური აზროვნება მასში და პოეტის გონით დაანახვა მეტად არასახარბიელო მდგომარეობა.

„ვარ ავსებული შენით გულამდე/და მოვარდნილი ლექსების წარღვნა“ პოეტური სამადლობელია თავისივე ლექსების მიმართ, რომელმაც ტიციანი გახადა „მწირი გულადი“.

# შეხვედრის იდეალთა...

## ნონო ხაჯაშვილი

### მოგონებები ნინო თარიშვილზე

ცნობილი საბავშვო პოეტი მაყვალა მრეველიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: „თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა ეკატერინე გაბაშვილმა კვალის ქუჩაზე, მწერალ ქალთა აღმანახის რედაქციაში მიმიყვანა. ამდენი მწერალი ერთად არც მენახა. აქ იყვნენ: საფო მგელაძე, ლილია მეგრელიძე, ნინო ყიფიანი, დარია ახვლედიანი, დიდ შეზლონგზე მარტო იჯდა მარიჯანი, აქვე იყო მაყვლისთვალება, დარბაისელი მირზაანელი ქალი ნინო თარიშვილი, „ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს,“ – აი, ამ ლექსის ავტორი... და საერთოდ, ჩემზე კი არა, ჯობდა ქალბატონ ნინოზე დაგეწერთ, აქვე, სევასტოპოლის ქუჩაზე ცხოვრობს...“

ნინო თარიშვილის ლექსები პირველად ქართული პოეზიის თხუთმეტომეულში ვნახე. განსაკუთრებით „ჩემს ტოლებს“ მომწონდა – თავისი განსაკუთრებული ექსპრესიულობით, შედარებებით, ასოციაციებით. ერთხელ ქალბატონმა ზინა კვერენჩილაძემ მითხრა, ნინო თარიშვილი კახელი ყოფილა, მირზაანელი, შენ თუ იცოდი? ვერაფერი ვუპასუხე, ან რა უნდა მეთქვა, როცა იმ დროს აქა-იქ თუ იცოდა ვინმემ, ცოცხალი თუ იყო. მერე ქალბატონმა მედგა ჯაფარიძემ წაიკითხა ეს ლექსი მხატვრული კითხვის ერთ-ერთ სადამოზე. სურვილი გამიჩნდა პოეტის ნახვისა. შინაგანად ვემზადებოდი, ვგრძნობდი, რომ ძველთან, ხელშეუხებელთან, რაღაც იდუმალთან მიმიწევდა შეხვედრა. ან შემხვდებოდა კი, საზოგადოებას, ცხოვრებას უკვე დიდი ხნით ჩამოშორებული დიდებული ლექსების ავტორი?

როგორც იქნა, გავბედე და მივედი. კარს მიღებს წელში მოხრილი მოხუცი ქალბატონი, დიდი შავი თვალებით და დიდხანს მათვალიერებს. მერე ხელს მკიდებს და ოთახში მიმიძღვის. მაგიდაზე სეზანის დიდი ალბომი დევს, ძველი ცისფერი მინის საწერი მოწყობილობა და გაზეთები. კედელთან მიჯრით მიწყობილი ნახატებია, მათ ზემოთ – ბეთჰოვენის თაბაშირის ნიღაბი. ჩემს შესახებ მეკითხება. მეკითხება კახეთის, სიღნაღის, მირზაანის შესახებ, რომელიც მრავალი წელია, აღარ უნახავს.

ეს უჩინარი, საზოგადოებისა და ცხოვრებისგან განზე მდგომი პოეტი როგორ და რითი ცხოვრობდა მაშინ, პენსიაც რომ არ ჰქონდა? მწერალთა კავშირის მდივანს, ლადო სულაბერიძეს ვთხოვეთ, დაეჩქარებინა პენსიის დანიშვნის პროცესი...



ნინო კონსტანტინეს ასული თარიშვილი 1904 წლის 28 აგვისტოს დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანში. შემდეგ ოჯახი თბილისში გადასულა, მთაწმინდის უბანში. ჰყავდა და-ძმა, ძმა ადრე გარდაცვლილა, ხოლო და, ცნობილი მხატვარი მარინე თარიშვილი გახლდათ. მისი იმპრესიონისტული ნახატების ძირითადი ნაწილი პოეტის ანდერძის თანახმად გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მირზაანისა და სიღნაღის მუზეუმებს გადაეცა. საწყენია, რომ ამ უნიჭიერესი მხატვრის ნამუშევრები სიღნაღის რეაბილიტაციის გამო გურჯაანში გადაიტანეს შესანახად. ოჯახური ტრაგედიის შემდეგ მარინე ნინო თარიშვილმა გაზარდა და, ბოლოს, ისიც გამოეცალა ხელიდან. წუხდა მისი ნახატების ალბომის გამოუცემლობაზეც... პოეტი მეოცე საუკუნის ოციან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მისი ლექსები იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში, ხოლო ლექსების პირველი კრებული 1926 წელს გამოვიდა და იშვიათობად იქცა. ნინო თარიშვილი მეგობრობდა „ცისფერყანწვლებთან“ და მაშინდელ პოეტებთან, განსაკუთრებით – იოსებ გრიშაშვილს მოსწონდა თურმე. **პოეტმა ქალმა 1922 წელს ლექსი მიუძღვნა გრიშაშვილს:**

„შენ ყველა გეტრფის და გულშივე მაღავენ თითქოს, არა ხარ ფლიდი, მატყუარა და არც თილისმა, თვით მტკვარსაც უნდა შენის ეშხით ცა შეიხვითქოს და შეგიყვაროს დაღონებულ ძველმა ტფილისმა.“

## გრიმაშვილს ლექსითვე უპასუხია:

„შენ კი მეტრფი, პატარავ, მაგრამ აბა, რაღა დროს, ლამის სევდამ ეს გული ამოსწვას და დაღადროს, ლამის კუბოდ გადმეცქეს ზეციური თავანი. ლამის მზეც კი დავწყველო მთვარის ავან-ჩავანი.“

1922 წელს ტფილისში ლიტერატურული საღამო გამართულა და „ცისფერყანწილები“ ეტლით აპირებდნენ მისვლას. „წინადადება შემომაქვს, კოფოზე ჩვენი ახალგაზრდა პოეტი ნინო თარიშვილი დავსვით, დაე, მან გაგვიანათოს გზა, როგორც წმინდანმაო“, – უთქვამს ტიციან ტაბიძეს და ეს ლამაზი მოგონებაც ისევ და ისევ მისი ნიჭისადმი, მისი პიროვნებისადმი პატივისცემასა და სიყვარულზე მეტყველებს.

პირველი ლექსი ძალზე პატარამ დაეწერეო, იგონებდა. ლექსს ასე დავარქვი – „ჩემი თანგირა ქვაბი.“ ქვაბზე ლექსი გაგიგონიაო? – ღიმილით კითხულობდა. შემდეგი სტუმრობისას უკვე, როგორც ახლობელს, ისე მეფერებოდა. წერილებით მეხმიანებოდა და მეკითხებოდა, როდის ვნახავდი. ვგრძნობდი დიდ სითბოს და რაღაც მორიდებულ სიყვარულს მისგან. დიდხანს მარცვლიდა მოგონებათა კრიალოსანს. დინჯად, აუჩქარებლად ყვებოდა ოციანი წლების ტფილისის ბოჰემური ლიტერატურული ცხოვრების ამბებს. მკაფიო, მჟღერი, სიმძიმეშეპარული ხმის ტემბრი ჰქონდა. ვისმენდი მის მიერ წაკითხულ ლექსებს და ვერ ვამჩნევდი, როგორ ბინდებოდა, როგორ ეპარებოდა მწუხრი მის ოთახს. მერე თვითონვე მაცილებდა ქუჩამდე. დიდხანს იდგა ხოლმე ასე – დარბაისლური სიღინჯითა და სიმშვიდით. შეტრიალდებოდა და მძიმე, ნელი ნაბიჯებით შეუყვებოდა კაბეს.

„სკოლაში მარგარიტა ბარნაველთან, ვასილ ბარნოვის ქალიშვილთან ერთად ვსწავლობდი. მათ ოჯახთან ახლოს ვიყავი და ცნობილი მწერალი ჩემს ახალ ლექსებს თითქმის პირველი კითხულობდა. ერთხელ თბილისში ალექსანდრე იუჟინ-სუმბათაშვილი ჩამოვიდა. იმ საღამოზე გრიმაშვილიც გამოვიდა, დიდ თეატრალურ მოღვაწეს ლექსით მიესალმა. საღამოს დამთავრების შემდეგ გრიმაშვილი დააპატიმრეს. მიზეზი ვერავინ გაიგო. მე და მარგო ბარნოვმა გაგებდეთ და მეორე დღეს სუმბათაშვილთან მივედი (მაშინ სტუდენტები ვიყავით). ასე გავათავისუფლებინეთ მას იოსებ გრიმაშვილი. თბილისში მაშინ ბევრი საინტერესო ადამიანი ცხოვრობდა. ფუტურისტები ხან უკუდამ პიჯაკჩაცმულები დადიოდნენ ქუჩაში... ახალგაზრდები ვანო სარაჯიშვილს ვეთაყვანებოდით. მისი ფირფიტებიც შემომრჩა, პატეფონიც, მაგრამ წესრიგში არ არის. კარგი იქნებოდა, მოგვესმინა“...

სიყვარულით იხსენებდა მირზაანში გატარებული ბავშვობის წლებს. იგონებდა შალვა დადიანს, თავისი მოგზაურ მსახიობთა დასით რომ მართავდა სპექტაკლებს სხვადასხვა სოფელში. „ზმანებად მექცა

მირზაანის, მისი ორლობების, ძველი ეკლესიის, ფიროსმანისეული ადგილების ნახვა“. მირზაანისადმი მიძღვნილ ლექსებს მიკითხავდა, რომლებშიც ბუნების მიუწევდომელ მშვენიერებას, მის პირველქმნილ ილუზიას პოეტის დიდი, უზომო სიყვარული და ალერსი სწვდებოდა.

„ეს ლექსი – „არავინ მოდის“ რომ დაეწერე, უნივერსიტეტიდან გამრიცხეს. ლექსი პოლიტიკურად მიიხინეს. პაოლო იაშვილმა მიხსნა და აღადგინა ჩემი თავი. უნივერსიტეტში არტურ ლაისტი მასწავლიდა, მანვე მისახსოვრა იტალიაში გამოცემული „ღვთაებრივი კომედიის“ მინიატურული, სასაჩუქრო გამოცემა, რომელიც ისევე დაიკარგა, როგორც მარინა ცვეტაევის ლექსების კრებული ავტორისეული წარწერით: „ახა ახმატოვას“. ავტოგრაფს ვოვლამ მიაწერა: „და ნინო თარიშვილს“... არ ვიცი, რა იქნა“.

როცა ყოველივე ქართულს და ეროვნულს ბრძოლა გამოუცხადეს და მათ შორის „ვეფხისტყაოსანსაც“, პოეტის უმშვენიერესი ლექსიც მოხვდა „შავ სიაში“. მაშინ ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი ნინო თარიშვილის პოეზიის წინააღმდეგ გამოვიდა, ლექსი „ჩემს ტოლებს“ მიწასთან გაასწორა და ასე დაამთავრა გამოსვლა: „პოეტი ქალი მისტირის ობობას ქსელში გამოხვეულ „ვეფხისტყაოსანსო“.

ქალბატონი მაყვალა მრეკლიშვილის წერილიდან: „ბატონო ნოდარ! როდესაც „ვეფხისტყაოსანზე“ ქართველ მწერალთა კრებული დაგეგმეს, მეც სხვებთან ერთად დამდეს პატივი და პოეტმა ლადო სულაბერიძემ მომაკითხა. მას ეხსომება, რომ მე უპასუხე – ჩვენს ქალებში ყველაზე უკეთესი ლექსი აქვს ნინო თარიშვილს-მეთქი და ის უკვდავი სტრიქონი ვუთხარ, რაც გადასწონის მთელ ეპოქას: „ვიცი, რომ მშითვად არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“. რამდენჯერაც მომძებნიდნენ, ვარწმუნებდი, დაჟინებით შევასხენებდი, მოეძებნათ ეს ქალი და გამოერთმიათ ლექსი, მართლაც, დამიჯერეს და მადლობა მათ. ასე მგონია, მკვდრით ადადინეს მაშინ – მთელი ჩვენი უმწიკვლო ქალური პოეზიის სიღრმე და მშვენიერება. ამაზე უკეთ მეოცე საუკუნე ვერავინ გამოხატა, ამაზე წმინდად და პოეტური გულწრფელობით.“

შემდეგ კი მოგვიანებით მწერდა: „ნოდარ, იქნება ხმა მოგაწვდინეს? გისურვებთ წარმატებებს. ვისურვებთ, დაგბრუნებოდეთ თქვენი უბაღლო პიროვნება, დიდი ნიჭისა და სულგრძელობის მაგალითი, განუმეორებელი ნინო თარიშვილი!“

ერთხელ, 1980 წელს გამოცემული მისი კრებული „გვირილა“ მივუტანე ავტოგრაფისათვის. მე აღარ მაქვსო, შემომჩივლა. ფურცლავდა და დაბალი ხმით კითხულობდა სტრიქონებს:

„შენი წამწამები კიდევ მაკოცებენ, დარდებს გააცილებს ვნების ქარავანი, დამფრთხალ სონეტებად ფარდა იკეცება და ხარ პოეტებში ლექსის ფალავანი“, – ეს პაოლო იაშვილს მივუძღვენი. ეს კი სოსოს: „შენს წიგნზე ასხმულს გადაკინძულს ჯაგანს“...

ლექსი „არავინ მოდის“ ვის ეძღვნებოდა, ჟორდანია-მეთქი? არაფერი თქვა. დიდი პაუზის მერე ლექსის ბოლო სტროფი წაიკითხა:

„მზეს დავაწყვეტავ სამეფო ქამრებს,  
არ მეშინია ქარის და შფოთის.  
მხოლოდ ღიმილი ატმების ამრევს,  
არავინ მოდის! არავინ მოდის!“

და უფრო ხმადაბლა გაიმეორა: „მზეს დავაწყვეტავ სამეფო ქამრებს“...

– „გონდოლები ცაში“ მარგო ბარნაველისათვის დავწერე, „ლორნეტი“ – ღიმიტრი უზნაძეს მიუძღვნე.

„ყოველთვის ვკოცნი შენს ქართულ სახელს,  
უდარდელ ხელებს ვსინჯავ ლორნეტი.  
დღეს სულ სხვა ხმებმა დამატუსაღეს  
და აღარ მახსოვს რიცხვი თორმეტი“...

ამ ლექსში... „პორტრეტები“ გრიგოლ რობაქიძე, ტიცანო ტაბიძე, გოგლა ლეონიძე და პაოლო იაშვილი ვიგულისხმე... აი, „მწვანე შაირი“ კი ისევ მარგო ბარნაველს ეძღვნება: „ცა შემოირტყამს ძველ ქამარ-ხანჯალს, მთვარეს გაიყრის ვერცხლის საყურედ“. სახელმწიფო უნივერსიტეტის, უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული სექტორისა და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თელავის და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, 1942-1986 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში.

1980 წელს, ლექსების კრებულის გამოსვლის შემდეგ, **სოლომონ ხუციშვილი** წერდა: „*ნინო თარიშვილმა, მაშინ სულ ახალგაზრდა ქალიშვილმა დაიპყრო პოლიფონიური ქართული პოეზიის სიმაღლეები. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ გამოჩნდა თავისი ლექსებით. „გვირილამ ნინო თარიშვილი დაგვიბრუნა.“*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ცისფერყანწელებთან“. დღეს, როცა ამდენი კითხვის ნიშანია პაოლო იაშვილის, ელენე დარიანის, ელენე ბაქრაძის და მათი ლექსების გარშემო, ქალბატონ ნინოს ნათქვამს გავისხენებ: „ერთხელ პაოლომ მითხრა, ახლა, როდესაც თქვენ გამოჩნდით პოეზიის არენაზე, ქალის სახელით ლექსების წერას ვწყვეტო“.

„ნოდარიკო!

როგორ მინდა შენი ნახვა, მკვრამ, აბა, როგორ?! ძლივს დავლანდალებ, ისიც ბინაში. თბილისის ფარგლებშიც ძლივს დავდივარ, თამილა მეხმარება (მეზობელი – ნ.პ.). ახლა მინდა გამომცემლობა „ხელოვნებაში“ წავიდე მარინეს ალბომის გამო... წერილი ხშირად მომწერე. დიდი მოკითხვა შენს მშობლებს. შენ კი ვივ ზავნი უამრავ კოცნას.

შენი მირზანელი ბებო, ნინო.“

არაერთი წერილია ჩემთან, მისგან გამოვზავნილი... და მოხდა ის, რაც ხდება ხოლმე ქართულ სინამდვილეში. მისმა შორეულმა ნათესავებმა, რომლებიც მაშინ ჩნდებოდნენ იქ, როცა მე ვიყავი ქალბატონ ნინოსთან, მკაცრად მაგრიზებდნენ, რომ მასთან არაფერი მესაქმებოდა... მერე უკვე წერილებით და ტელეფონით ვუთიერთობდი მასთან. მერე ეს ურთიერთობაც გაწყდა ჩემის გამოისობით... მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი! „არ ვიცი, რა ვქნა! წლები მიდის, ძალ-ღონე მეკარგება და მოვესწრები კი ალბომის დაბეჭდვას და მისი სურათების დაბინავებას?!“ საერთოდ, შევძლებ თუ არა ყველაფრის მოწესრიგებას მე, მარტოხელა, უკუღმართი ბედის ადამიანი?? ჩემო ნოდარ, ძალიან მინდა დაგინახო, მოხვიდე ჩემთან...“

მაპატიოს მისმა სულმა...

ნინო თარიშვილის პოეზია მუსიკალური ექსპრესიულობით, იშვიათი შედარებებით, დიდი მუხტითა და ძლიერი ვნებით გამოირჩევა, ღრმა ფსიქოლოგიური წვდომა თითოეულ სიტყვაში, ფრაზაში, სტრიქონში. მისი სტუდენტები მიყვებოდნენ მერე მისი პიროვნების მომხიბვლელობისა და საოცარი ტაქტის, განსწავლულობის შესახებ. მისმა თანამოკალმემ კი პოეტი-სადმი მიძღვნილ ლექსში ხატოვნად თქვა ის, რაც ასე განუმეორებელს ხდიდა მშენიერი, უფაქიხესი და ამასთან დრამატიზმით აღსავსე ლექსების ავტორსა და „ცისფერყანწელთა“ დას – ნინო თარიშვილს:

**„პოეტ ნინო თარიშვილს ფრთა ჰქონია ქარიშხლის, მისი ლექსის გარეშე ქვეყნად როგორ გაბიშვით?!“**

## „ჩემს ტოლებს“

ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“, არც წასალება დაჰკეცავენ ქირმანის შალებს, არც ქართულ კაბას ჩამაცმევენ ჯვარის საწერად, არც ვერცხლის ქამარს მომავლებენ დარდიან წელზე. ცაში ოთახი განათდება იაპონურად, ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კილოზე, მრავალ წერილებს გამაყოლებთ გზის საპოვნელად, მრავალ მოკითხვას დავუხვდები, ვით მკვდარ მიმოზებს. დავიმალები სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში დიდი იქნება აღტაცება სხივ გამართული... უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის მარნები და სადღეგრძელოს მოიტაცებს სიტყვა ქართული. ნამჯისფერ სხივებს დაამძიმებს მთვრალი ჰაერი, გულის პასუხი ყარამფილებს ველარ დაყნოსავს და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი, რადგან მზითევში არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“.

\* \* \*

ფარული ეჭვი სულში სახლდება  
და ჭირვეული რაშვიით მხედნის.  
ფაფარაშლილი ურჩი ფიქრები,  
შენს მოსაძებნად ქუჩისკენ მდევნის.  
ოცნების ცაზე სასოწარკვეთით  
შენი თვალების დახატვას ვბედავ,  
ყოველ შემხვედრში შენს სულს დავეძებ,  
ყოველ გამვლელში შენს სახეს ვბედავ.  
თუმცა იმედი გულს აღარ მითბობს,  
შენს გამოჩენას მე მაინც ველი.  
ნუთუ, ლოდინში დამასწრო ვინმემ,  
გამოგიწოდა ჩემს ნაცვლად ხელი?!

### მზის მისტერია

რიტუალის დროს ტენორტიტლანში  
მსხვერპლი სიცოცხლეს ეთხოვებოდა.  
კერპებისათვის ძღვენის გარეშე  
აცტეკებს სწამდათ, მზე მოკვდებოდა.  
მათი მიბაძვით გული და სისხლი  
მეც უშურველად გავილე მსხვერპლად,  
კრძალვით ვცდილობდი მზის გადარჩენას,  
შევეწირე და ვიქეცი ფერფლად.  
ტროფობის ტადარი მწველი სხივებით  
მწამდა, საოცრად გაბრწყინდებოდა,  
ვერ დაანგრევდა მას დრო და ჟამი,  
ვით ციხე-კოშკი ცას მისწვდებოდა.  
ამაოდ ვცადე ახალი რწმენით  
ძველ საძირკველზე ტადრის აგება,  
ძველ ტკივილებთან შეჯახება და  
ცისკენ სავალი გზების დაგება.  
დაემხო ვითარც აცტეკთა ტომის  
ძირძველი მითი და იმპერია.  
არარეალურ დრო და სივრცეში  
გაღმერთებული მზის მისტერია.



\* \* \*

გადაღლილ შუბლზე ნუ დამითვლი  
იეროგლიფებს,  
ცხოვრების წლებით ამოტვიფრულ  
დარდსა და სევდას.  
ბედის გრიგალი შეეხიზნა  
წამწამთა ჩეროს,  
უხვად შემატა შემოდგომის  
ფერები მზერას.

უამინდობა გაემიჯნა უიღბლო  
დღეებს,  
შენი თვალების ათინათით  
ენტება გული.  
გვერდზე გადავდე სიბერეც და  
გარდაცვალებაც,  
რომ უსასრულოდ დაგაწვიმო  
კვლავ სიყვარული.

შენზე ფიქრისას მაგიწყდება  
ბუნების წესი,  
რომ შორიასხლოს მითვალთვალებს  
მკაცრი ზამთარი.  
შენ მერგე უფლის წყალობად და  
წარსულის ჯილდოდ,  
ვით შემოდგომას ფოთოლცვენის  
ჭრელი ზღაპარი.



## დამნაშავე ვარ

დამნაშავე ვარ, რომ ვსუნთქავ შენით,  
შენკენ ვისწრაფი ქვეცნობიერად.  
შეპყრობილი ვარ უკურნელ სენით  
და უმწეობა მტანჯავს ძლიერად.  
ვერაფერს ვხდები, გონების მიღმა  
შენი ხელების სინაზე მახლავს.  
არაფრად ვაგდებ ჩვენს შორის მანძილს,  
თვალდახუჭული ვშლი ყველა საზღვარს.  
თავზე დამტყდარი სტიქიის გამო,  
ახალ შეხვედრებს დავძებ წამლად.  
ველური ჟინი ჟრუანტლად მივლის,  
კწყველი სიყვარულს, მივიჩნევ კარმად.  
უწინდებურად გულს ვაიძებ,  
ღვთის განრისხებას იქნებ გადავრჩე.  
სუნთქვაშეკრული ზეცას შევყურებ  
და მოთმინებით ველი განაჩენს.

\* \* \*

*კუძღვნი აფხაზეთიდან ლტოლვილ  
თანამემამულეს*

ჩვენ საქართველო გვერგო სამშობლოდ  
და გულით დაგვაქვს ქართული ჯვარი.  
შენ გენატრება შავი ზღვისპირი,  
მე კი კახეთის საღამო წყნარი.  
აფხაზეთიდან გიხმობს სიზმრებში,  
დატოვებული სახლი და კარი,  
მე მელანდება ალაზნის ველი,  
ქარვაშესხმული ვაზი და ზვარი.  
ჩვენ ქართველებად დავბადებულვართ,  
ძარღვებში გვიჩქეფს ქართული სისხლი.  
თუმცა სხვა მხარეც ვცანით სამშობლოდ,  
უცხო მიწა-წყალს ვუთხარით ფიცი.  
სამშობლოსაგან დაშორებულნი  
სხვაგვარად ვხედავთ აწმყოს და წარსულს,  
მაგრამ ქართულად აღვაკვლენთ ლოცვას  
და სიყვარულსაც დავძებთ ქართულს.

## მეფობენ ღრონი

სცენაზე ღგომა თავბრუს ახვევს ათი ათასებს,  
თაყვანისცემის გვირგვინს ირგებს უღრეკი ხელი,  
კვარცხლბეკზე ასულს ავიწყება ჭეშმარიტება –  
ზემავალს ხშირად ძირს დაცემის სიმწარე ელის.  
ბრბოთა რჩეული წუთისოფლის

მუდმივ სპექტაკლში  
ახალ როლს ირგებს და მზადაა უარყოს ძველი,  
მაგრამ მეფობენ მხოლოდ ღრონი, არა მეფენი,  
საპნის ბუმბუს მოჰგავს ჩაქროლილი

ცხოვრება მთელი.  
აღზევებული თუ უჩინო ღროს ემონება,  
ყველას უღმობლად აცამტკვერებს

სიკვდილის ცელი.  
მხოლოდ სიყვარულს შესწევს ძალა,  
აქციოს მეფედ,

ვისაც გვირგვინის ღირსად გახდის  
განგების ხელი.

## ღრომ აღმაფრენა ფერფლად აქცია

შენ გაურბოდი ჩემთან საუბარს,  
მე კი შენ გამო ვთმობდი ყველაფერს,  
მართავდი ჩემი ფიქრების საჭეს,  
ვერ ვუხერხებდი ჩემს თავს ვერაფერს.  
უკვე შეცნობილ, ნაგრძნობ სამყაროს,  
შენით ვხედავდი და აღვიქვამდი.  
უწონასწორო წუთების მიღმა  
თეთრტაიჭოსან უფლისწულს ჰგავდი.  
შემოდოდი მზის სხივთან ერთად,  
სულში იღუმლის საცნაურყოფად  
გთვლიდი „სურვილთა სიღაღედ“ და  
სხვა დანარჩენის სრულ უარყოფად.  
დაკანონებულ საზღვრებს ვიცავდი,  
თუმცა ჩემს გულს რაც ეფიქრებოდა,  
პაუზა ნთქავდა ყველაფერს ხარბად,  
მიღებულ ღოგმებს ეწირებოდა.  
ნელ-ნელა უკან ვდგამდი ნაბიჯებს,  
ღრომ აღმაფრენა ფერფლად აქცია.  
პროტესტის ნიშნად გაღმერთებული  
მიწიერ ხსოვნად გადააქცია.



პოეზიის ზღვა

მე პოეზიის ზღვაში წვეთი ვარ,  
ლექსით სწეული მარად ვიქნები.  
მღელვარე სულთან განა ერთი ვარ,  
სტრიქონთა წვიმად მოდის ფიქრები.  
მე პოეზიის ზღვაში წვეთი ვარ,  
ლურჯ ღამეებად მოდის რითმები.  
ვარდის სურნელით მთვრალი რატომ ვარ,  
გაზაფხულს აღარ დავეკითხები.  
მე პოეზიის ზღვაში წვეთი ვარ,  
ლექსის წვიმაში ცრემლად ვიქცევი.  
სევდის მორევში ჩაძირული ვარ  
და მალე ტალღად გადავიქცევი.

მელანქოლია

დღეები დაჟინებით დროს მიჰქონდა,  
ჩვენი ცხოვრებაც ხომ სულ ჟინია...  
აქამდე სიკვდილის მეშინოდა,  
ახლა სიცოცხლის მეშინია!  
გრძნობა უკითხავად სად მიჰქროდა,  
ყველგან ცრემლის დიდი მორევია.  
აღრე სიყვარულის ქარი ჰქროდა,  
ახლა სიძულვილი მორევია.  
ნატვრა ფრთაგაშლილი სეირნობდა,  
სადღაც, თითქოს დასალიერია.  
მაშინ სიხარული ზეიმობდა,  
ეხლა სევდა უფრო ძლიერია.  
დღეები უსასრულოდ დროს მიჰქონდა,  
წარსულს გაჰყვოლია ოცნებები.  
გაზაფხულს ნისლიანი ფერი ჰქონდა,  
სევდამ დააწვიმა ზღვა ცრემლები.  
დღეები ასე სწრაფად სად მიჰქროდა?!  
– ვეღარ დავაწიე ბარათები;  
თითქოს სიყვარულიც ქარს მიჰქონდა,  
გზად ვერ შევაჩერე იმელები.  
დღეები ჰეპლებივით გამიფრინდა,  
ზამთრად გადაიქცა ყველაფერი;  
ცხოვრება ყინულივით გაირინდა,  
ვეღარ მოვასწარი ვერაფერი.

ნოემბრის ღამე

ვერ შევეგუე მარტობას და  
დავუძეგობრდი უძილო ღამეს.  
შენზე ფიქრებით ვიწყებ თრობას და  
გასამხნეველად თუ მეტყვი რამეს –  
მე ამღერდები, გათენებაძღე  
შემოვირიგებ მზესა და მთვარეს,  
ტადართან შევეყრი მტერს და მოყვარეს,  
სანთლების შუქზე ვილოცებ რამდენს.  
მე შეიძლება კიდეც ავტირდე  
წვიმის წვეთების მოწყენილ ხმაზე,  
ვეღარ გავუძლო უამინდობას,  
გადავეყარო ქარიშხალს გზაზე.  
იქნებ ნოემბრის ღამის ფიქრები  
ჭაღარასავით დამეხვეს თმაზე,  
როგორც გაყინულ ფრინველთა გუნდი,  
მოულოდნელად აჭრილი ცაზე.  
მე შეიძლება ლექსიც დავწერო  
უძილობაზე და თეთრ ღამეზე.  
რომ არ ვიფიქრო მარტობაზე,  
შენ მესაუბრე ოღონდ რამეზე.

ფერადი მუზა

იღუმალ ფერში დაცურავს ფუნჯი,  
იღვრება გამად გლამური ლურჯი.  
ხმაურობს ზღვა და ტილოა მუნჯი;  
ტალღებში შფოთავს მხატვარი გურჯი.  
გახედა ნაპირს, რალაც თქვა გულში,  
შეახო მუზამ ხელები ურჩი.  
ფიქრობს და ხატავს, რაც ათრობს სულში,  
მის შთაგონებას ვერ გადავურჩი.  
მე კი ავტირდი, ჩემი ცრემლებით  
ზღვა უფრო მეტად გადაირია,  
შემოიქროლა ტალღამ შხეფებით,  
სილუეტები სულ აირია.  
დასველდა ტილო, წაიშალა  
შტრიხები ლურჯი,  
წყალმა წაიღო შთაგონების ფერადი ფუნ-  
ჯი.  
ისევ ზღვას გაჰყვა სევდიანი  
მხატვარი გურჯი  
და იმ ადგილას ყველაფერი  
გამხდარა მუნჯი.



არდაბრუნების შიში

შემოდგომის სიცივეს

შიშველ ტოტებზე დაძრწის  
 ნარინჯისფერი მიმა  
 და სურნელებას ღამის  
 ქარის წვივებქვეშ სძინავს.  
 მოეზღაპრება დილა  
 შეუბღალავი კვართით,  
 ბუდე დატოვა სხივმა  
 მიწის უპეზე დადის.  
 წვიმას გაუწყდა მძივი,  
 ნაძვმა ჩაიცვა ძაძა.  
 ღრუბლის ნაცარა ზვინში  
 ცეცხლის ასპიტი გაწვა...  
 ზეცას მოედო ცეცხლი,  
 როგორც გადამხმარ ბალახს,  
 ჰაერს ტუჩები ეწვის,  
 ელვის დააჩნდა დამლა...  
 სტვირი დაუკრა ქარმა,  
 ღამემ იბრუნა პირი,  
 ამოეთეთრა არმა  
 სახეკუშტი და ცივი  
 მთვარემ იპკურა ნისლი,  
 თოვლისფერ ქათიბს იცვამს,  
 და იყურება რისხვით  
 სველი სიშიშველის მიღმა...

.....

ღამის თითებზე დაძრწის  
 თვალცრემლიანი მიმა,  
 ღამემ დალია ბანგი,  
 ქარის მუცელზე გმინავს.

მზიან ხეობის ირგვლივ  
 მრუმე ლანდები ქრიან,  
 ყველა თავისი ტვირთით  
 და ნაწილობრივ ფრთიან  
 სველი ოცნების ჯაჭვით,  
 გასხვიოსნებულ ნერვით,  
 სააშკაროდ თუ მალვით,  
 მდუმარებით თუ ღელვით  
 ყველას თავისი მიაქვს  
 ნაწილია თუ წილი,  
 ყველას რალაცა ჰქვია,  
 მდიდარია თუ მწირი  
 და არა ჰქვია განცდას,  
 ადამიანად ნახულს,  
 რომ სინამდვილეს ასცდა  
 და დაემგვანა დახრულს...  
 არა აცვია ტანზე  
 არა რა, გარდა შიშის,  
 გადათეთრებულ წამებს  
 პერანგებივით იცვლის...  
 და მიაქანებს იქით  
 არად ხმობილი ძალა,  
 სადაც ცრემლების კირით  
 ორი მზეთვალა ძალა...  
 სადაც შემლილნი კრთიან  
 ამოუცნობი სახით  
 და საარსებეთს – მთლიანს,  
 საწყის წვერამდე დახრილს  
 ამაოება ხრავდა,  
 ხრავდა და დახრავს მუდამ  
 და არ ჩააგდებს არად,  
 ვისაც ღიმილი უნდა.  
 და დაერქმევა ტყვია  
 სიყვარულისგან შიმშილს,  
 უსახურების ტყვეა  
 და თანაც ნათლად იცის.  
 რადგან თავისი არსი  
 წალმა-უკულმა კერა  
 და დაამგვანა ყამირს  
 ხავერდოვანი მღერა...  
 წამს უმრწამესი მიაქვს  
 და ფარდაგვით იშლის  
 სიტყვას, რომელსაც ჰქვია  
 არდაბრუნების შიში...

\* \* \*

არ მინდა – ნაცრისფერ განსაცდელს უყვარდე,  
იმ ცრემლთა მსმელი ვარ –  
ლაწვებს რომ გილოკავს...  
ნუ ეჭვობ – სიცოცხლე მიგიყვანს უფლამდე,  
თუ ჩემი ძვლებისგან ააგებ კიღობანს...

არ ღირს...

სადღაც ფოთლები აკენკა ქარმა,  
მწვანე ხავერდით ბიბინებს ეზო...  
თუ სიყვარულმა მზე მოაქარვა,  
იქნებ მთვარისთვის დუმილი მეყოს.  
მზისა და მთვარის ვრცელმა ტანდემმა  
ჩამოავერცხლა სამყაროს სივრცე.  
რაც დაიბადა, ისე მთავრდება,  
რომ საკუთარი არსი ვერ იცნო...  
ხმაურობს სისხლი ჟანგიან ხორხით  
და გამყინავი ძვლების ხარხარში  
აღარას ვამბობ ჩუმად თუ მოთქმით  
და სიმუნჯეა ჩემი განგაში.  
ცა ხელებს მიშვერს, რომ ამიტაცოს  
მიწა ილესავს კბილებს ჟანგიანს...  
უნდა იმდენად გარდავისახო,  
(ყოფნა რადგანაც მძიმე ჯვარია)  
ვერ მცნოს სიცოცხლემ არსებულებით  
ვერც სიკვდილმა მცნოს არარსებულად,  
გავთავდებოდი სადმე ქუხილით  
ელვად, რომელიც არ ანთებულა...  
როგორც იწყება – ისე მთავრდება  
და გაუსაძლის ტკივილებს ტოვებს.  
მე რაც დავკარგე, ის მეღარდება,  
ის გულ-სულ-ღვიძლი, რომელიც კორტნეს...  
მოდის აპრილი ღიღინ-ღიღინით  
და აღარ მინდა ვინმეს ვიცნობდე,  
სიცოცხლისათვის არ ღირს სიკვდილი,  
სიკვდილისათვის არ ღირს სიცოცხლე...

\* \* \*

ამ გაზაფხულის მძინარ მდებლობებს  
სუნი მოედო შენი ლანდივით...  
არ შეიძლება ახლა ვაკვებოდე,  
ანდა ცხოვრებით ვიყო დაღლილი  
მერბილა ცრემლთა თოვება წყნარი,  
უსასრულოა ჩვენში მანძილი,  
და მოქარგული ყვავილთა ცვარით  
მოეზღაპრება ქარის მანდილი.  
რთავენ ცხოვრების ობოლ ღრიჭოებს  
თვალცრემლიანი ბაბაჭოები...  
ო, როგორ მინდა სევდას მიქრობდე  
შენთან საუბრის საღამოებით...  
მე, როგორც ქარმა, კაბა ენძელას,  
წლები მომზია ნასათუთები,  
შენ მარტობა არ გეძნელება,  
მე მარტობით გადავხუნდები...

ჩემს დას

(ჩვენს ბავშვობას)

ღამე გადავსვი უძილო სკამზე,  
დილა დამიხვდა სველი მუჭებით  
და ოცნებების პატარა ნაფხე  
გაფაციცებით მივეშურებით...  
იქაა ჩვენი პატარა ცუგა,  
შრომით დაღლილი, ჭაღარა ბებო,  
მთელი არსება სიკეთეს უგავს,  
და ყვავილებით ავსებულ ეზოს...  
და ვარსკვლავებით სავსე ვედროებს  
ცამდე გვიზიდავს ურემით პაპა...  
მერე აჭედებს ღრუბლის ერდოებს,  
და ათასნაირს გვიყვება ზღაპარს...  
დამაქვს ბლითებით სავსე კალათა  
და მხიარულად ვაპურებ ჩიტებს,  
შენ კი ნათლიამ მზე დაგანათლა,  
და იმზისფერებ თმებსა და წვივებს...  
ჭია-მაია ლოყებს გიქარგავს  
ციცინათელა – თვალებს ციმციმით..  
და მოკისკისე მთვარის ნიაღვარს  
მიაგავს შენი ხმა და სიცილი...

\* \* \*

რაც კი ვიცინეთ, წვიმა ჟღარუნამ  
თავზე გვაყარა სველი ხურდებით..  
არცერთ ჩვენთაგანს თუმცა არ უნდა  
და ბავშვობიდან მაინც ვბრუნდებით...

# კარნავალის სხივები

გამოვიდა ფილოლოგიის დოქტორისა და ფოლკლორისტიის, სოფიო ჯაფარიძის წიგნი „სულის პური“ (ლიტერატურულ-ფოლკლორული წერილები), რომლის რედაქტორია მწერალი და მეცნიერი, როსტომ ჩხეიძე.

სოფიო ჯაფარიძე – ფილოლოგიის დოქტორი, ფოლკლორისტი; მუშაობს „მედიკალიზაცია პალიტრაში“; დამთავრებული აქვს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატი (ქართული ენა და ლიტერატურა), მაგისტრატურა (ფოლკლორისტიკის მიმართულებით), ასპირანტურა (ფოლკლორისტიკის სპეციალობით);

2006 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „გროტესკი ქართულ ფოლკლორში“;

არის 30-მდე სამეცნიერო და ფოლკლორულ-ლიტერატურული პუბლიკაციის ავტორი, ეს წერილები სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალებში: „ჩვენი მწერლობა“, „ხელეუბნი“, „ანეული“, „ქართული მწერლობა“, „ART ხომლი“, „ინტელექტი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „კარიბჭე“, გაზეთებში: „ქობაძე“ (გაზეთ „ახალი ეპოქის“ ლიტ. დამატება), „ლიტერატურული გაზეთი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალი წყალტუბო“, „ალმანახში“, „ქართული ფოლკლორი“, კრებულში „ხვარამზე“;

მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში; არის ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ პასუხისმგებელი რედაქტორი; მისი საკვლევი სფეროა გროტესკული ასპექტები ლიტერატურულ თუ ფოლკლორულ ნარატივში.

აქვე გთავაზობთ წიგნის სარჩევსა და რედაქტორის შესავალ წერილს – „კარნავალის სხივები“.

სოფიო ჯაფარიძის „სულის პური“ ძალიან წააგავს პოეტურ კრებულს: სტილური დახვეწილობით.

შინაგანი ტევალობით.

ლირიკული ნაკადით.


ეს ნაკადია, მთელ კრებულს რომ განმსჭვალავს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მეცნიერული ნარკვევიც, სილუეტიც, პუბლიცისტური სტატიაც პოეტურობით უნდა სუნთქავდეს, რათა შემეცნებით მხარესთან ერთად ძალუმად გავრძნობინოს ის ემოცია, ურომლისოდაც შესაფერისი შთაბეჭდილება ვერ მოჰყვება ზნეობრივ მაგალითთა წარმონაქმნს, ისე რიგად ვერ აგვიყოლებს პერსონაჟთა არაორდინარული ცხოვრების წესით თუ სულისათვის დიდად მარგი ეპიზოდებით.

გენეტიკური ხაზი, რომელსაც სოფიო ჯაფარიძე აგრძელებს, თავისთავად მოითხოვდა იმ ზნეობისა და სიმართლისმადიებლობის შენარჩუნებას, რაც ასე აუცილებელია ჩვენს ბევრწილად მორღვეულ საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობაში, აღიარებას იმ ორიენტირებისა, რომელთაც უნდა გაგვიშუქონ ნაცრისფერი გარემო და გადაგვიყვანონ ახალ სივრცეში.

საამისოდ კი ძალიან გვესაჭიროება სანდო, გულმართალი წიგნები, დიდტანიანი თუ მცირე აღნაგობისა, ოღონდ ერთნაირად აღვსილნი სულიერებითა და ეროვნული ტრადიციების მოვლამენარჩუნების წყურვილით, თუნდ მიხა ხელაშვილის, ლევან გოთუას, ლევან ზურაბიშვილისა და პეტრე ხვედელიძის მოლანდებამაც რომ უნდა გაგვიკვლიოს გზა იმ ახალი სივრცისაკენ.

ეს აჩრდილები ტრიალებენ ამ კრებულშიც და კიდევ სხვა აჩრდილებიც.

მათი შემოყვანა დიდი პასუხისმგებლობაა ყოველი ავტორისათვის. და, სოფიო ჯაფარიძე რომ გრძნობს ამ პასუხისმგებლობას, ამის დასტურია ამ მცირე კრებულის მომხიბლავი შინაარსი, კარნავალურობის გამოსხივებითაც დასამახსოვრებელი.



დაიხ, სწორედ გამოსხივებითაც.

აბა, კარნავალური თემატიკა კრებულის მართოდენ ერთი ნაწილი კი არ არის!..

იმ ნაწილში მეცნიერული შესწავლა ხდება ამ პროცესისა, მიხაილ ბახტინის მონოგრაფიის „ფრანსუა რაბლე და მისი სამყარო“ კვალზე, ქართული მასალითა და ორიგინალური დაკვირვებებით შევსება ზოგად-კაცობრიული მოვლენისა.

მაგრამ შინაგან პათოსს სხვა ნიმუშებშიც უნდა გადმონაცვლა.

ეს გადმონაცვლებაა, სტილურ დახვეწილობაშიც რომ იჩენს თავს, შინაგან ტევალობაშიც, ლირიკულ პასაჟებსა და სულაც ამ ნაკადის გამკვეთებაშიც...

თუ სულის პურს დაეძებ, ბარემ შენი მხრივაც შეკმატე მომხიბლავი სხივი თუ შტრიხი ამ ძიებას, სხვათა დამაძიებელიც და ამყოლებელიც.

\* \* \*

და აღარ გიკვირს, რატომ შეიძლება წააგავდეს მეცნიერული ნარკვევების, სილუეტებისა და პუბლიცისტური სტატიების ნაკრები პოეტურ კრებულს.

როსტომ ჩხეიძე

## საზოგადოებრივი პროექტი „სამი სავარძელი“ ხელოვანთათვის და იდეის ავტორი – პოეტი ქეთევან შენგელია

*„ქართული უნივერსიტეტი დღეს ჩემთვის იგივე ოჯახია“  
– ქეთევან შენგელიას ესაუბრა თამარ შაიშხელაშვილი*

– ქეთევან, თქვენს მშვენიერ შემოქმედებას დიდი ხანია იცნობს საზოგადოება; ბევრი ღირსეული შემფასებელი გყავთ. თქვენს პოეზიას შესანიშნავი ლიტერატურული წერილები მიუძღვნეს მნიშვნელოვანმა მწერლებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა: თამაზ ჭილაძემ, ინგა მილორაგამ, მათა ჯალიაშვილმა, დალილა ბუდიანიძემ, მაკა ჯონხაძემ, ივანე ამირხანაშვილმა, ზაზა გოგიამ...

მინდა მოგილოცოთ ახლახან მიღებული აკაკი წერეთლის პრემია, რომელიც მოგენიჭათ შემოქმედებასა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის. მინდა აღვნიშნო აგრეთვე, გასულ წელს თქვენთვის მონიჭებული ანა კალანდაძის პრემია ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლექსებისთვის და ქრისტინული პოეზიის ფესტივალზე მიღებული წმ. ნინოს ჯვრის მედალიონი. რამდენი რამ მქონია მოსალოცი...

ახლა დავუბრუნდეთ საზოგადოებრივ პროექტს „სამი სავარძელი“, რომელიც თქვენი იდეით შეიქმნა. 11 მარტს ვესწრებოდი პროექტის წარდგენას ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში. ძალიან სასიამოვნო და საინტერესო იდეაა. ამის შესახებ გვითხარით რამე.

– უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისთვის. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩათვალა, რომ ამგვარი დაფასების და პრემიების ღირსია ჩემი შემოქმედება, ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ყველა მწერალს და მეცნიერს, ვინც ჩემს პოეზიაზე გამოაქვეყნა წერილები. მათი შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა რაც შეეხება პროექტს: დავარქვით „სამი სავარძელი“, რადგან ეს პროექტი გულისხმობს სამივე ხელოვნების სფეროს: მუსიკის, მწერლობის და მხატვრობის წარმომადგენელთა შემოქმედების



წარდგენას თვეში ერთხელ თითოეულ დათქმულ საღამოზე. თითო შეხვედრაზე მოვისმენთ ერთი მწერლის შემოქმედებას, დავათვალიერებთ ერთი მხატვრის გამოფენას და დავტკბებით ერთი მუსიკოსის მიერ შესრულებული კლასიკური და პოპულარული მუსიკით. ასე რომ, სამივე შემოქმედი ერთ საღამოზე წარდგება მსმენელის წინაშე; ამგვარად სამ-სამ ადამიანს წარმოვადგენთ ყოველ შეხვედრაზე. რაღა თქმა უნდა, ეს სამეული მუდმივად შეიცვლება. გარდა ამისა, აქ გაერთიანებულნი არიან სამივე თაობის წარმომადგენლები. საღამოები ჩატარდება სხვადასხვა დარბაზში.

პირველი შეხვედრა ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში შედგა. მინდა მადლობა მოგახსენო მუზეუმის

დირექტორს, ქალბატონ მზია ნადირაძეს, უფროს მეცნიერ-თანამშრომელს ნანა სახვაძეს და მუზეუმის მთელ კოლექტივს საუკეთესო და გულთბილი მასპინძლობისთვის. ახლა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დავეგემეთ მეორე საღამო და შემდეგ გვინდა, უნივერსიტეტშიც ჩატარდეს ერთი შეხვედრა. დანარჩენ საღამოებზე წინასწარ არ ვისაუბრებ, რადგან ხელოვანთა შემდეგი სამეული შესათანხმებელი გვაქვს.

**– პირველ „სამეულზე“ რას იტყვით?**

– მოვიგონეთ გარდაცვლილი პოეტი თეიმურაზ ფირცხალაიშვილი, ის ჩემი თაობიდან ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედი გახლდათ, მხატვართაგან წარმოვადგინეთ ნუგზარ მგალობლიშვილი და მისი არაჩვეულებრივი ნახატები დავათვალიერებინეთ დამსწრე საზოგადოებას, როიალზე კლასიკურ ნაწარმოებებს ასრულებდა შესანიშნავი პიანისტი ქეთევან ნაფეტვარიძე.

**– რადგან სიტყვა უნივერსიტეტზე ჩამოვარდა, ალბათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გულისხმობთ, იქ კითხულობდით ლექციებს და თსუ-ში ყველას ახსოვს თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა და ჩატარებული ღონისძიებები... „ლიტერატურული სახელოსნოს“ მუშაობა და ახალგაზრდა მწერლებთან დახარჯული შვიდი წელი.**

– მეც ამ ახალგაზრდა მწერალთა წრეზე გავიზარდე, როცა თსუ-ს სტუდენტი ვიყავი, მაშინ ამ წრეს (რომელსაც დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა), ხელმძღვანელობდა მწერალი რევაზ მიშველაძე. ვალს დაბრუნება უნდა. ამიტომ, როცა მე ჩამაბარეს ეს საქმე, დიდი მონდომებით შევუდექი შემოქმედებით სტუდენტებთან მუშაობას. არ მგონია, რომ დრო დავხარჯე... დრო გავიდა, მათგან რამდენიმე შესანიშნავი პოეტი და ლიტერატორი გამოვიდა. ერთი მათგანი (ზაალ ჩხეიძე) წლების მანძილზე ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრას“ ხელმძღვანელობდა, კარგი მთარგმნელია, კითხულობს ლექციებს თავისუფალ უნივერსიტეტში და ახლა ჩვენს საინიციატივო ჯგუფშიც გახლავთ. მეორე (გიორგი კეკელიძე) საინტერესო პოეტია, ეროვნულ ბიბლიოთეკას უდგას სათავეში, არიან სხვებიც... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდხანს ვმუშაობდი. იმდროინდელ უნივერსიტეტს ჩემი ქება რაში სჭირდება, ყველამ იცის, რომ უპირველესი სასწავლებელი იყო. ძალიან საქმიანი და

სასიამოვნო გარემო იყო, როცა აკადემიკოსი როინ მეტრეველი გახლდათ რექტორი. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვასხენებ მას „ძველი უნივერსიტეტელების“ სახელით თითოეული ჩვენგანის გვერდზე დგომისთვის. მოგეხსენებათ, რა რთული წლები იყო საქართველოში 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, როცა საზოგადოების ნაწილს ამ ავბედითი მოვლენის გამო სულიერი ტკივილები გვტანჯავდა, ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველო თითქმის ელექტროგანათების გარეშე იყო და ხალხს, ბევრი რამ უჭირდა; აი, ამ პერიოდშიც კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწავლის და სამეცნიერო მუშაობის პროცესს არ წყვეტდა. ტარდებოდა უამრავი კულტურული ღონისძიება. ეს იყო ქვეყანაში ერთი განსხვავებული პატარა, ოღონდ უკეთესი ქვეყანა. მოგეხსენებათ, ხელმძღვანელი ბევრ რამეს განსაზღვრავს. ყველა თავის საქმეს აკეთებდა მშვიდად და ერთგულად. მერე, ლომიას განათლების მინისტრობის პერიოდში უნივერსიტეტის გადაკეთება დაიწყო, როგორც კი შეიცვალა ხელმძღვანელობა, „შეცვალეს“ თანამშრომელთა დიდი ნაწილიც. თავადაც იცით, დანგრევა ადვილია, აშენება ძნელი. პოლიტიკა ჩემი საქმე არ გახლავთ; ჩავთვალე, რომ „გადაკეთებულ“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნა გაძნელებოდა, რადგან საინტერესო და საქმიანი ატმოსფერო უკვე ნაკლებად იყო. მომეჩვენა, რომ თანამშრომლები გლადიატორებს დაამსგავსეს. საკუთარი სურვილით წამოვედი, იქ დარჩენა მაშინ ჩემთვის შეუძლებელი იყო; ამიტომ, როცა ჩვენი პროექტის – „სამი სავარძლის“ ერთ-ერთი საღამოს ჩატარებაზე ვსაუბრობდი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი მქონდა მხედველობაში.

**– ახლა იქ კითხულობთ ლექციებს?**

– დიან, უახლესი ქართული ლიტერატურის და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსს. აქ ვმუშაობ და ვთვლი, რომ ქართული უნივერსიტეტი დღეს ჩემთვის იგივე ოჯახია; რადგან თანამშრომლებს ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს მთავარი და მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, როგორც არის სამშობლო, მომავალზე ზრუნვა, განათლების საკითხის მნიშვნელობა და რწმენა. აქ არაჩვეულებრივი კოლექტივია თავმოყრილი, მაღალი

დონის პროფესიონალები კითხულობენ ლექციებს, ქართული უნივერსიტეტის რექტორი ბატონი სერგო ვარდოსანიძე თავადაც ამის უპირველესი მაგალითი გახლავთ. ძალიან კარგი სტუდენტები გვყავს. თუმცა, ახალგაზრდები ყველგან კარგები არიან, სადაც უფროსები ვარგანან. სტუდენტებისთვის შექმნილია მშვიდი და სასიამოვნო გარემო, უპირველეს ყოვლისა, სწავლისთვის და მერე შემოქმედებისთვის. ქართული უნივერსიტეტი ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. დიდი მადლობა მის უწმინდესობას და უნეტარესობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს ამ სიკეთისთვის. ქართულ უნივერსიტეტში მოწყობილია არაჩვეულებრივი დარბაზები, ბიბლიოთეკა. ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები და შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან; ტარდება სამეცნიერო კონფერენციები და კულტურული ღონისძიებები; დავაარსეთ „ლიტერატურული და ხელოვნების სახელოსნოც“ ახალგაზრდებისთვის. განვიხილავთ ხოლმე სტუდენტების შემოქმედებას და მათ სამეცნიერო კვლევებს. ერთხელ პოეზიის ფესტივალზე ჩავატარეთ; პერსონალურადაც მოვიწვიეთ რამდენიმე პოეტი. რექტორისგან და ხელმძღვანელობისგან ყველანაირ მხარდაჭერას გრძნობენ სტუდენტები, მათი სურვილები და წამოწყებები სერიოზულ საკითხებთან დაკავშირებით ყოველთვის გათვალისწინებულია. ამის გამო, საოცრად ცოცხალი გარემოა, მე ვიტყვოდი, სტუდენტთა აღზრდის და განათლების მხრივ, ქართული უნივერსიტეტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია დღეს საქართველოში.

– **თქვენ თქვით, რომ სამივე თაობა თქვენს გვერდით. თუ შეუერთდებიან პროექტს ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები.**

– ვინც ხელოვნების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს გამოიჩენს, რაღა თქმა უნდა, მათაც ჩავრთავთ პერიოდულად ამ ღონისძიებებში. რა აზრი აქვს შრომას ჩვენი მომავალი თაობის გარეშე?!

– **ვისი ხელოვნება იქნება წარმოდგენილი შემდეგ შეხვედრაზე?**

– წარმოდგენილი იქნება გოგი წერეთლის მხატვრობა, ახალგაზრდა, ნიჭიერი მომღერლის ჯაბა გეგშიძის კამერული ვოკალური მუსიკის კონცერტი და ზაურ კალანდიას მინიატიურები.

– **ქეთევან, მწერლებიდან თქვენ ხართ ამ იღვის**

**ავტორი, ამჟამად თქვენ გარდა ვინ მონაწილეობს ამ პროექტში?**

– ამ პროექტში უამრავი ადამიანი მონაწილეობს, მაგრამ გვყავს შემოქმედებითი ორიენტირების განმსაზღვრელი ძალიან საინტერესო და საპატივცემულო ხელოვანთა ჯგუფი – მხატვრები: ნუგზარ მაგლობლიშვილი, კარლო ფაჩულია, გოგი წერეთელი, გია ცინცაძე, ვაჟა ქურხული... მწერლები: ემზარ კვიციანიშვილი, ზაალ ბოტკოველი, ზაალ ჩხეიძე, თემურ ჩალაბაშვილი, თემურ შავლაძე, გვანცა ჯობავა... მუსიკოსები: ოთარ ყუფუნია, ქეთევან ნაფეტვარიძე, ნინო ბერიძე და სხვები; სრულებით ახალგაზრდებიც შემოვიერთეთ – რუსუდან კვალაიაშვილი და გაბრიელ თაგაური. ხელოვანთაგან ჩვენი საპატიო წევრები არიან: ბატონი თამაზ ჭილაძე და ბატონი ზურაბ ნიჟარაძე. შემოგვიერთდებიან სხვებიც.

გარდა ამისა, გვყავს „სამი სავარძლის“ მეგობარ ხელოვანთა ჯგუფი, იქ ბევრი ჩემი თაობის პოეტი გაერთიანებული. დიდი სურვილი მაქვს, დავაფასოთ ის ღირსეული ადამიანები, რომლებიც დღეს კულტურულ ამინდს ქმნიან. ამჯერად მთელი ძალისხმევა აქეთ მაქვს მიმართული...

– **ამგვარი საქმიანობა ადვილად გამოვლით, მასხოვს, უძღვებოდით ქართული უნივერსიტეტის ინტერნეტტელევიზიისთვის ტელე-ესეისტიკის რუბრიკას – „საუბრები ხელოვანთა შესახებ“. რა ნიშნით არჩევდით საუბრის საგანს?**

– რაც მეგონა, რომ საინტერესო იყო და რაზეც შემდეგ საუბარი, ალბათ ამის მიხედვით. ყველაფერს ხომ ვერ გასწვდება ადამიანი? მაშინ მსოფლიო კლასიკოსებზე ვსაუბრობდი. მოვამზადე მასალა რაფაელზე, ვან გოგზე, ფიროსმანზე, პიკასოზე, ვაჟა-ფშაველაზე, ჩარლი ჩაპლინზე, გაბრიელა მისტრალზე, ემილი დიკინსონზე, ანტონიო გაუდიზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, ჰემინგუეიზე, ედიტ პიაფზე... ყველას ვერ ჩამოვთვლი. საინტერესო რუბრიკა იყო. ამ სამუშაოს დასრულებიდან კარგა ხნის მერე შემომეხმინა ტელევიზია „ხარისხის არხი“, ასე ერქვა მაშინ ამ ტელევიზიას. ახალი დაარსებული იყო... იქ მოხოვეს, რომ ეს ჩანაწერები გაეშვათ და მერე ხშირად იყენებდნენ ჩემს საუბრებს ხელოვანთა შესახებ...

– **თქვენ ეხმარებოდით საპატრიარქოს რადიოს და, ერთი წელზე მეტხანს, კვირაში ერთხელ, ანაზ-**



**ლაურების გარეშე უძღვებოდით რადიორუბრიკას: „მშენიერების სამყაროში“. დიდი შრომა გასწიეთ. რას ემსახურებოდა ეს?**

– მაშინაც ხელოვნებაზე ვსაუბრობდით. ოღონდ ახლა რადიოში. იქ მარტო აღარ ვიყავი. ვიწვევდი ხოლმე სტუმარს და თუ რამე მნიშვნელოვანი იწერებოდა მიმდინარე ლიტერატურაში, ან სამეცნიერო (ჰუმანიტარულ) სფეროში, ვსაუბრობდი მოწვეულ სტუმართან და, შეძლებისდაგვარად, განვიხილავდით, რასაც ვასწრებდით. მიხარია, რომ შევძელი და გამოვადექი მათ.

**– არ დაიღალეთ?**

– წუწუნი როგორ შეიძლება, როცა საქმე ხელოვნებას და საკუთარ სამშობლოს ეხება.

**– თქვენ ადრეულ ასაკში, სტუდენტობიდან შემოდგით ფეხი მწერლობაში. მაშინ, 30 წლის წინ, ასე ადვილი არ იყო სტუდენტისთვის მნიშვნელოვან ლიტერატურულ ჟურნალში ლექსების ბეჭდვა?**

დღემდე აქტიური ხართ, როგორც პოეტი. გამოცემულია თქვენი 9 წიგნი, ხშირად გეპატიჟებათ სხვადასხვა ტელევიზია და რადიო ლიტერატურულ გადაცემებში სასაუბროდ; სისტემატურად იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში თქვენი არა მარტო პოეზია, მოთხრობები, წერილები და ესეები. ამჟამადაც ორი ჟურნალის: „ცისკრისა“ და „რიწის“ ახალ ნომრებშია გამოქვეყნებული თქვენი ლექსები. თითქმის არ გაჩერებულხართ... არ არის ძნელი ასე ცხოვრება?

– ძნელი მარტო მტრობის ატანაა.

**– გყავთ მოშურნეები?**

– ყურადღებას არ ვაქცევ ასეთ რამეს...

**– როგორ გგონიათ, რა მდგომარეობაა დღეს ქართულ პოეზიაში?**

– ამ საკითხზე მსჯელობა რომ დავიწყოთ, ვერ დავასრულებთ საუბარს, ასე რომ, მოკლედ ვიპასუხებთ: ბევრია მოყვარული და დილეტანტი, ცოტაა პროფესიონალი. ასე რომ, ნორმალური მდგომარეობაა, ისეთი, როგორიც უნდა იყოს. საქართველოში უყვართ პოეზია; აქედან მოდის ალბათ, მოყვარულთა არმია რომ შემოიჭრა მწერლობაში. დღევანდელი ნამდვილი ქართული მწერლობა,

ვფიქრობ, საინტერესოა თავისი მრავალფეროვნებით: ფორმობრივი სტაბილურობითაც და ძიებებითაც, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების განსხვავებულობით, ემოციური მუხტით, თემის და პრობლემის წამოჭრის ორიგინალობით.

**– რას განიცდით ყველაზე მეტად?**

– სამ რამეს. უპირველესად, საქართველოს დაკარგულ (იმედი მაქვს, დროებით) ტერიტორიებს, მერე, ადამიანთა შორის არსებულ გულგრილობას, რომელიც ამ ბოლო დროს მომძლავრდა და მესამე – ტკივილს საიდუმლოდ დავიტოვებ, ნუ მათქმევინებთ...

**– ახლა რა გეგმები გაქვთ? როდის გამოვა თქვენი ახალი პოეტური კრებული?**

– ვფიქრობ, მალე გამოვა, წინასწარ არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი...

**– ორი სიტყვით გვითხარით, თუ შეძლებთ, რა არის თქვენთვის პოეზია?**

– ორი სიტყვით – ცხოვრების წესი და ისე, ეს ჩემთვის ყველაზე რეალური და ლამაზი სამყაროა.

**– თქვენს კრებულებში თქვენს ვაჟს ორი ლექსი ებეჭდება. ერთი სიტყვით დაახასიათეთ, როგორი შვილი გყავთ?**

– წესიერი.

**– დაამთავრეთ სამხატვრო და კინოსასცენარო „მეორადი“ ფაკულტეტებიც. გაქვთ წერილები მხატვრობაზე. ხომ არ ხატავთ ახლაც?**

– არა, მხატვრობა ჩემი ჰობია, ისევე როგორც არქიტექტურა და ცხენოსნობა.


**– საუბრის დასასრულს, რას უსურვებთ თქვენს მკითხველს და თქვენს სტუდენტებს?**

– ბედნიერ და აყვავებულ სამშობლოს, ჯანმრთელობას, შრომის უნარს და დიდ სიყვარულს.

**– წარმატებებს ვუსურვებ საზოგადოებრივ პროექტს – „სამ სვარძელს“. წარმატებას ვუსურვებ თქვენს ახალ წიგნსაც.**

– დიდი მადლობა. ყოველდღიურ სიხარულს გისურვებთ, თუკი ასეთი რამ შესაძლებელია... ახლახან აღდგომა ვიზეიმეთ. აღდგომის მადლი შესწვოდეს სრულიად საქართველოს!

# მოგონების ერთი ფურცელი



ნიკო კეცხოველის პიროვნებასა და მრავალმხრივ მოღვაწეობაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მაგრამ მის ფენომენზე როცა ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სრულიად თავისებური, ყველასაგან განსხვავებული ნიკო კეცხოველისეული სამშობლოს სიყვარული.

შეიძლება ვინმეს ეწყინოს – არც ჩვენ გვიყვარს ნაკლებად ჩვენი სამშობლო, მაგრამ სამშობლოს სიყვარულის ყველაზე დიდი საზომ-სამანი ის უანგაროდ ნაკეთები საქმე და სიკეთის საგზალაა, რომელსაც სამუდამო საკვებად უტოვებ მომავალ თაობებს.

ნიკო კეცხოველი კი თავის ხელში გამოვლილ და გამოჩეკილ „ბარტყებსაც“ საკუთარი ხელით აძლევდა ამ საგზალს, საკენკს უყრიდა, აპურებდა, აარწივებდა და იმ იმედით უშვებდა ცხოვრების უკიდევანო სივრცეში, რომ ისინი, მძლავრად ფრთებგაშლილნი, მუდამ დიდ სიმაღლეებზე იფრენდნენ და არასოდეს დაკარგავდნენ ორიენტაციას.

სიახლე არავისთვის არის და ყველას კარგად მოეხსენება იმ შეუფასებელი ღვაწლისა და ამაღის შესახებ, რაც დედა უნივერსიტეტს მიუძღვის ქართული მეცნიერებისა და კულტურის გამდიდრებაში, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და სულიერების გადარჩენის საქმეში.

დაარსებიდან მოყოლებული, უნივერსიტეტს გამორჩეული მამულიშვილები ედგნენ სათავეში, მაგრამ არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, უნივერსიტეტის ლეგენდარული რექტორი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი იყო,

რომელმაც ამ პოსტზე ყოფნის 7 წლის განმავლობაში, არნახულ სიმაღლემდე აზიდა უნივერსიტეტის სახელი და ავტორიტეტი, უდიდესი განძი დაუტოვა შთამომავლობას იმ ადამიანთა აღზრდით, რომლებიც შემდგომ თვითონ ზრდიდნენ და დღესაც ზრდიან საქართველოს მომავალს. ნიკო კეცხოველის აღზრდილებმა მსოფლიოში გაუთქვეს სახელი ქართულ მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას, სპორტს.

ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული მეორე მსოფლიო ომი, როცა ნიკო კეცხოველი უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა. ჩვენს ქვეყანას სულიერადაც უჭირდა და მატერიალურადაც. ომიდან დაბრუნებული ახალგაზრდების ნაწილი, სამხედრო ფარაჯებში გამოწყობილნი, პირდაპირ უნივერსიტეტს მიაშურებდნენ სწავლის გასაგრძელებლად. მოდიოდნენ ის ახალგაზრდებიც, რომელთა მშობლების უმეტესობა სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე და უმამოდ დარჩენილნი, ადრე დაკაცებულნი, ცოდნის მიღების წყურვილით გულანთებულნი, მონდომებით აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ადგილის დასაკავებლად.

ომის შემდეგ, უნივერსიტეტი გახდა ის ჯადოსნური კერა, სადაც მთელი საქართველოს წიგნიერმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი და დაიწყო სტუდენტთა მჩქეფარე და ბობოქარი შემოქმედებითი ცხოვრება.

ამ თაობას, უნივერსიტეტში რექტორად დახვდა ნიკო კეცხოველი, უდიდესი კაცი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, რომელმაც დაობლებულ სტუდენტობას მამობაც გაუწია და მეგობრობაც.

მერე რა, რომ მეტად მკაცრი და მომთხონი იყო, იგი, ამასთანავე, გულმოწყალე და სამართლიანიც ბრძანდებოდა, რაც სტუდენტებში დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იწვევდა.

ბატონი ნიკოს რექტორობის პერიოდში, უნივერსიტეტში აყვავდა და გაიფურჩქნა ქართული მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება, სპორტი, დაფუძნდა ლიტერატურული წრე და გამოიცა ალმანახი „პირველი სხივი“, სადაც ფეხი აიდგეს ჩვენი დროის გამოჩენილმა ლიტერატორებმა, მწერლებმა, პოეტებმა, მეცნიერებმა. ამ თაობამ განათლების, წიგნიერების ახალი ტალღა შემოიტანა უნივერსიტეტში და სტუდენტის სახელს უდიდესი ღირსება შესძინა.

ბატონი ნიკოს პიროვნების მრავალმხრივობაზე საუბრისას, შეუძლებელია, არ აღინიშნოს უნიკალური ფაქტი, რომელიც, გარდა იმისა, რომ საამაფოა, სამაგალითოა, რადგან იგი ერთადერთია საქართველოში, რომელსაც საქართველოს უმაღლესი ჯილდო – რუსთაველის პრემია მიღებული აქვს არა როგორც აკადემიკოსს, მეცნიერ-ბოტანიკოსს, არამედ როგორც მწერალს, შესანიშნავი წიგნების ავტორს. ამ

წიგნებში, ფართო თვალსაწიერის მქონე ბუნებისმეტყველის მახვილი თვალთ, ბრწყინვალეა დახატული საქართველოს მთა-ბარის სილამაზე, საიდანაც ძალუმაღ შეიგრძნობა ქართული მიწა-წყლის ბარაქა, მადლი და სურნელი.

მეც ბუნებისმეტყველი გახლავართ, არცთუ ცოტა მივლია საქართველოს მთასა თუ ბარში, ამიტომაც ძალიან კარგად მესმის ბატონი ნიკოს დამოკიდებულება მოგზაურობისა და მოგზაურებისადმი, მისი განცდების სიღრმე და მასშტაბურობა. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, იგი ქართული ალპინიზმის სათავეებთან იდგა და შემდგომ, წლების განმავლობაში, ამ გმირულ საქმესაც დაატყო თავისი მადლიანი ხელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1925 წელს, ბატონი ნიკო, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით იაღბუზზე მოწყობილი პირველი საბჭოთა ექსპედიციის მონაწილე იყო. ამ ისტორიულ ასვლას კი წინ უსწრებდა საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობა თავის განუყრელ მეგობრებთან – სიმონ ჯაფარიძესა და დევი მიქელაძესთან ერთად, საიდანაც მან მცენარეთა უმდიდრესი ჰერბარიუმი ჩამოიტანა, რომელმაც შემდგომ უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე არსებულ ჰერბარიუმს დაუდო სათავე, მისმა გეოლოგმა მეგობრებმა კი პალეონტოლოგიური და მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ნიმუშების უმდიდრეს კოლექციას მოუყარეს თავი.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ 1945 წლიდან, ქართული ალპინისტური სკოლის შემქმნელისა და საქართველოს ალპური კლუბის დამაარსებლის, ალიოშა ჯაფარიძის უშაზე დალუპვის შემდეგ, ნიკო კეცხოველი 16 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ალპურ კლუბს, რომელსაც მისი ინიციატივითა და მთავრობის მხარდაჭერით ალიოშა ჯაფარიძის სახელი მიენიჭა.

ბატონი ნიკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მსურს ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ფაქტის შესახებ გიამბოთ, რომელიც, გარკვეულწილად, ჩვენი ოჯახის ისტორიასაც ეხება.

ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში, უნივერსიტეტში სხვა მრავალთან ერთად, ერთ მეტად მნიშვნელოვან ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. თუკი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი მოხდებოდა – გამოვიდოდა ახალი წიგნი, პროზაული ან პოეტური კრებული, გადაიღებდნენ ახალ ფილმს თუ რომელიმე თეატრში დაიდგმებოდა ახალი სპექტაკლი, ბატონი ნიკოს თაოსნობით, სტუდენტები უნივერსიტეტში იწვევდნენ ავტორებს, დამდგმელ ჯგუფებს, შემოქმედებით კოლექტივებს და მათი თანდასწრებით მიმდინარეობდა საჯარო განხილვა-შეფასებები. უნდა ითქვას, რომ ეს სჯა-ბაასი და განხილვა-დისკუსიები სტუდენტების მხრიდან, მუდამ მძაფრად და უკომპრომისოდ მიმდინარეობდა.

ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა თბილისის



### *გიორგი შავგულიძე სიმონ ჯაფარიძის როლში*

უნივერსიტეტში 1952 წელს, როცა ეკრანზე გამოვიდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული ერთ-ერთი პირველი ფერადი მხატვრული ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი“, რომელშიც ქართველ მსახიობთა უბრწყინვალესი თანავარსკვლავედი მონაწილეობდა: ნატო ვაჩნაძე, შალვა ღამბაშიძე, ალექსანდრე აფხაიძე, გიორგი შავგულიძე, მედეა ჯაფარიძე, ლიანა ასათიანი, ვახტანგ ნინუა, ტარიელ საყვარელიძე, გოგი გელოვანი, მხატვარი ზურაბ ლეჟავა, სრულიად ახალგაზრდა ლანა ლოლობერიძე და სხვ. ფილმს ჩვენი ოჯახის ტრაგიკული ისტორიის ეპიზოდები, კერძოდ, დაძმა – ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეების მთამსვლური მოღვაწეობა და მათ მიერ კავკასიონის მწვერვალებზე განხორციელებული ურთულესი ასვლები დაედო საფუძვლად, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დამდგმელი რეჟისორი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება ბრძანდებოდა, ფილმი მეტისმეტად სუსტი გამოვიდა.

ბატონი ნიკოს საფუძველჩაყრილი ტრადიციის მიხედვით, ფილმში მონაწილე მსახიობები, რეჟისორის მეთაურობით, უნივერსიტეტში მოიწვიეს და ახალგაზრდებმა დაიწყეს ფილმის განხილვა-ანალიზი. მტრისას, რაც დარბაზში დაატრიალეს სტუდენტებმა, რომელთა შორის, პირველად გამობრწყინდა ისტორიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი აკაკი ბაქრაძე, რომელმაც ფილმის საფუძვლიანი შეფასება-ანალიზით, გამორჩეული ორატორული ნიჭით, განსწავლულობითა და ანალიტიკური აზროვნებით, მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. იგი დინჯად წარდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, აუღელვებლად და დამაჯერებლად დაიწყო: „მე მაგონდება ერთი

წერილი, რომელიც ილია ერენბურგმა გამოაქვეყნა „ლიტერატურნაია გაზეთაში“. ამ წერილში, სხვათა შორის, მწერალი პასუხს აძლევდა მკითხველებს, თუ რატომ დაწერა მან „ბურია“. მე დარწმუნებული ვარ, — წერდა ილია ერენბურგი, — რომ ყველაზე კარგად დიდი სამამულო ომის შესახებ ისინი იტყვიან, ვინც თავად იყო მონაწილე ამ ომისა, ვინც თავის მხრებზე გადაიტანა ყველა საშინელება ამ შემზარავი ომისა, მაგრამ როცა დაფიქრდი, გამახსენდა, რომ, როცა ყველანი სახლში დაბრუნდებიან და მრგვალ მაგიდას შემოუსხდებიან, ბევრი ადგილი მაგიდის ირგვლივ ცარიელი დარჩება. და, მე მინდოდა მეთქვა იმათ მაგივრად, ვინც ვერასოდეს ვერ დაბრუნდება და ვინც ვერასოდეს ვერ იტყვის თავის სათქმელს.

ქართველი მაყურებელიც ფიქრობდა, რომ ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი“ იტყოდა იმათ მაგივრად, ვინც ველარასოდეს ვერ დაბრუნდებიან და ვერ იტყვიან თავიანთ სათქმელს. იტყოდა ძმები ჯაფარიძეების მაგივრად, რომელნიც შესანიშნავად ამბობდნენ თავიანთ სათქმელს, მაგრამ ისინი დაიღუპნენ ბუნების სტიქიონთან შებრძოლებულნი და ვაი, რომ კვლავ ვერ აცახცახდება კავკასიონი მათ ფეხქვეშ.

ჩვენ ვფიქრობდით, ვნახავდით გმირულ ტრაგედიას, მაგრამ ფილმის შემქმნელებმა ჩვენ არ გვაჩვენეს არაფერი ამის მსგავსი.

გაიხსენეთ კადრი ფილმიდან, სადაც სიმონ ჯაფარიძის (ფილმში სიმონ ლომიძე. ნეტავ, რატომ?) დაღუპვაა ნაჩვენები. განა აქ ლიანა ასათიანი ასრულებს ალექსანდრა ჯაფარიძის როლს? ჩვენ ვეკითხებით მსახიობს, რეჟისორს, ყველას, სად არის დაი შეძრწუნებული ძმის დაღუპვის საშინელებით? სად არის გრძნობა ამ შემადრწუნებელი სურათით გამოწვეული?

გვიპასუხეთ, მსახიობო ასათიანო და დამდგმელო რეჟისორო, რონდელი: ვინ ამოუშრო დას ცრემლები ძმისათვის განკუთვნილი? ვინ აუკრძალა მწუხარება საბჭოთა ადამიანს?

საბჭოთა ადამიანი იმით არის ძლიერი და ამაღლებული, რომ მან იცის მწუხარება, მაგრამ ამ მწუხარების დაძლევა შეუძლია. და რომ ეს ასეა, ამის ცოცხალი მაგალითი ამ დარბაზში ზის. შეხედეთ იმ ჭადარით მოსილ ქალს, რომლის თეთრი თმები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე უშბისა და თეთნულდის თეთრი უფსკრულები.

განა ლიანა ასათიანის თამაშში სადმე იგრძნობა ის ქალი, რომელმაც კავკასიონი ისე გათელა, როგორც ჩვენ რუსთაველის პროსპექტს ვთელავთ ხოლმე! განა ლიანა ასათიანის თამაშში ჩანს სიკვდილზე გამარჯვებული ქალი? არა. მე პირადად, მსოფლიო ხელოვნებაში არ მეგულება არცერთი შემთხვევა, სადაც ადამიანის სიკვდილზე გამარჯვება იყოს დახატული. ჩვენს ხელოვნებას კი ერგო ბედნიერება, ყოველდღე ეცქირა ასეთი ადამიანისათვის და იმდენად უძწეო აღმოჩნდა, რომ მისი სახის

ეკრანზე გადატანა ვერ შეძლო.

სხვათა შორის, უნივერსიტეტის გამოცემულ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა არჩილ სულაკაურის ლექსი „მწვერვალის მწვერვალს ეუბნებოდა“ და ამ პატარა ლექსში გაცილებით მეტი ტრაგიზმია, ვიდრე მთელ ფილმში „მწვერვალთა დამპყრობნი“.

ფილმში უცდიათ, ეჩვენებინათ გიორგი ნიკოლაძის სახეც, მაგრამ რა, იგი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება და მაშინაც ისე უფერულადაა დახატული, რომ მაყურებელი უგულბებელიყოფს გიორგი ნიკოლაძეს, რათა ლევან ჭრელაშვილის ლაზღანდარობას უყუროს. და საერთოდ, ეს კადრი ფილმში იმისთვისაა შეტანილი, რომ ელენე გააცნოს რეჟისორმა ლევან ჭრელაშვილს, მაგრამ რატომ ან რისთვისაა ეს გაცნობა საჭირო, არავინ იცის.

გიორგი ნიკოლაძე, დიდი მეცნიერი, საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი, შესანიშნავი სპორტსმენი, რომელიც ღირსია ერთი (და არა მარტო ერთის, როგორც შენიშნა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა) მხატვრული ნაწარმოებისა, დაიჩრდილა სრულიად არასაჭირო კადრით (ლევანის ელენესთან ოხუნჯობის სცენა).

ფილმში უსუსურადაა ნაჩვენები ალიოშასა და ელენეს სიყვარულიც. ვერ გაივებთ, რა საჭიროა ასეთი არაფრისმთქმელი სიყვარული. ჩვენო, ამბობდა ერთ თავის ლექსში ს. შიპაჩიოვი, მაღალი იდეები გვაქვს, კომუნიზმს ვაშენებთ და განა ჩვენი სიყვარული ამ უმაღლესი იდეების შესაფერისი არ უნდა იყოსო? ჩვენს კინოშუშაკებს შეეძლოთ ამ ფილმში ასეთი სიყვარული დაეხატათ. ალიოშა ჯაფარიძე იყო ასეთი სიყვარულის ღირსი. აი კაცი, რომელიც შეიძლებაოდა გყვარებოდათ მთელი არსებით და თან გცოდნოდა, რატომ, რისთვის გიყვარს იგი თავდავიწყებით. ფილმში კი არაფერი ამის მსგავსი არ უჩვენებიათ.

და თუ ფილმს მაინც უყურებს ქართველი მაყურებელი, ეს იმიტომ, რომ ოპერატორებს შესანიშნავად უშუშავნიათ. ეს იმიტომ, რომ ალექსანდრე აფხაიძე ასე კარგად ასრულებს იაგორ ლუდუშაურის როლს. მე ვფიქრობ, ალექსანდრე აფხაიძე — ლუდუშაური ახორციელებს არა მარტო ერთი კაცის სიყვარულს ძმები ჯაფარიძეებისადმი, არამედ მთელი ქართველი ხალხის სიყვარულს მათადმი. ალბათ ქართველი ხალხი ოდესმე უწოდებს თეთნულდს ჯაფარიძეების მწვერვალს, რადგან ისინი ღირსნი არიან, იყოს თეთნულდი მათი მარადისობის აღმნიშვნელი ძეგლი.

ჩვენ ვერც ფილმის ფინალს მოვიწონებთ.

რეჟისორს რომ ეჩვენებინა ალიოშას დაღუპვა და შემდეგ, თუ როგორ ავიდა უშბაზე შურისმგებელი დაი, რათა კავკასიონს ეგრძნო, რომ ის სიმონისა და ალიოშას სისხლი და ხორცია, რომელიც ნაბადივით თელავს კავკასიონს, რათა უშბასა და თეთნულდს ეგრძნო, რომ მათ შეუძლიათ მოერიონ ერთ რომელიმე ჯაფარიძეთაგანს, მაგრამ ისინი უძღურნი არიან ჯაფარიძეების მოდემის წინაშე.

და როცა კავკასიონზე გადმოდგებოდა ძმებისათვის შურისმაძიებელი დაი, გადმოდგებოდა სიკვდილზე გამარჯვებული ქალი, ეს იქნებოდა ოპტიმისტური დასასრული ფილმისა, ეს იქნებოდა ჰიმნი გამარჯვებული ადამიანისადმი.

შეიძლება ფილმის შემქმნელები ფიქრობდნენ, რომ მაყურებლისათვის მეტად მძიმე იქნებოდა ეჩვენებინათ ალიოშას დაღუპვა. მართალია, ეს მძიმე იქნებოდა, მაგრამ მაყურებელმა ისიც იცის, რომ ასეთი ადამიანებისათვის, როგორც ძმები ჯაფარიძეები იყვნენ, სიკვდილი არყოფნის დასაწყისი როდია, არამედ მარადიული არსებობისა, რადგან ზოგიერთ სიკვდილში არის უკვდავება“ (1952 წლის 22 მარტით დათარიღებული აკაკი ბაქრაძის ამ სიტყვის ხელნაწერი ჩვენი ოჯახის არქივში ინახება – ი.ჯ.).

სტუდენტებმა, მართალია, ტაქტიანად და აკადემიურად, მაგრამ გააცამტვერეს სახელოვანი სტუმრები, რის გამოც, ბუნებრივია, ხოტბას მიჩვეული მსახიობები განაწყენდნენ მათზე. სტუდენტთა კრიტიკამ განსაკუთრებით იმოქმედა ბავშვით სუფთა და უნახესი სულის ადამიანზე, უბრწყინვალეს მსახიობ შალვა ღამბაშიძეზე, რომელიც ამ დროს მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. საღამოს დამთავრების შემდეგ, ბატონ შალვას უთქვამს, რომ მისი ფეხი აღარ იქნებოდა უნივერსიტეტში – „ეს რა დღეში ჩაგვაგდეს ბავშვებმა“.

ამ შეხვედრიდან დიდი დრო არ გასულა და მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა გოგოლის „რევიზორი“, სადაც გოროდნიჩის როლს ბრწყინვალედ ასრულებდა შალვა ღამბაშიძე.

ტრადიციისამებრ, უნივერსიტეტის სტუდენტობამ ამ სპექტაკლის განხილვაც გადაწყვიტა და მსახიობებთან ერთად დამდგმელი ჯგუფიც მოიწვია. მოწვეულთა შორის პირველი, რა თქმა უნდა შალვა ღამბაშიძე ბრძანდებოდა. ნიკო კეცხოველმა მოსაპატიჟებლად სტუდენტთა გამორჩეული ჯგუფი გაგზავნა ბატონ შალვასთან, მაგრამ ცოტა ხანში უკან მობრუნებულმა სტუდენტთა ჯგუფმა მოახსენა რექტორს, რომ შალვა ღამბაშიძემ სასტიკი უარი განაცხადა უნივერსიტეტში მოსვლაზე.

ნიკო კეცხოველს დიდხანს არ უფიქრია და თვითონ ესტუმრა შინ ბატონ შალვას. მან უნივერსიტეტში მისვლაზე დაითანხმა მსახიობი იმ პირობით, რომ შალვა ღამბაშიძე კულისებიდან მიადევნებდა თვალს შეხვედრის მსვლელობას და სცენაზე არ გამოჩნდებოდა. ბატონი ნიკო დაეთანხმა. როგორც ჩანს, მისთვის მთავარი ბატონი შალვას

უნივერსიტეტში მოსვლა იყო.

სპექტაკლის განხილვა-შეფასებისას, სტუდენტებმა შალვა ღამბაშიძე დამსახურებულად ცაში აიყვანეს, ღირსეულად აქეს და ადიდეს. ყველა გამომსვლელი ხაზგასმით აღნიშნავდა ბატონი შალვას უზადო თამაშს და საქებარ სიტყვებს არ იმურებდნენ მის მიმართ. შალვა ღამბაშიძის ხოტბა-დიდებას ბოლო არ უჩანდა რამდენიმე საათის განმავლობაში და... მოხდა სასწაული – კულისებში დამალული ბატონი შალვა, რომელიც კონსპირაციის ყველა ხერხს მიმართავდა, არავის შეემჩნია, მოულოდნელად სცენის შუაგულში აღმოჩნდა. სტუდენტთა სიყვარულით, ერუდიციითა და განხილვა-ანალიზით მოხიბლულმა ბატონმა შალვამ პირველმა ითხოვა სიტყვა.

– უღრმესი მადლობა მსურს გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს იმ დიდი სამსახურისთვის, რაც მან გამიწვია, რომ არ მომეშვა, უნივერსიტეტში წამომიყვანა, რათა ამ საღამოს დავსწრებოდი. ასე რომ არ მოქცეულიყო – მე არასწორი, გამრუდებული აზრი მექნებოდა სტუდენტობაზე და ალბათ, ისე მკაფიოდ და ნათლად ვერასოდეს დავინახავდი და შევაფასებდი ჩვენს უბრწყინვალეს ახალგაზრდობას, როგორც ისინი დავინახე ბოლო ორი შეხვედრის დროს, როცა ერთხელ „მლანძღეს და მაგინეს“ (ახლა მივხვდი, რომ სრულიად სამართლიანად), მეორედ კი ცაში ამიყვანეს და ლამის ფრთები შემასხეს. დღეს ბედნიერი ვარ, რომ ასეთი საღი, ობიექტური, განათლებული და შემოქმედი ახალგაზრდობა გვეზრდება, რომლებიც ჩვენს შემდეგ მოვლენ, ღირსეულად შეგვცვლიან და ჩვენზე მეტს გააკეთებენ ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

მქუხარე ოვაციის თანხლებით, სტუდენტებმა პატივისცემისა და დიდი სიყვარულის ნიშნად, ლამის ხელში აყვანილი გაიყვანეს სცენიდან ბატონი შალვა ღამბაშიძე. ამ ფაქტის შესახებ იმიტომ აღვნიშნავ, რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს ჩვენი ქვეყნის ორი დიდებული მამულიშვილის – ნიკო კეცხოველისა და შალვა ღამბაშიძის ურთიერთობის ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი, რომელშიც შესანიშნავად იკვეთება ქართველი კაცის ღირსება და ურთიერთპატივისცემის გრძნობა, რაც სამწუხაროდ, არცთუ ისე ჭარბად იგრძნობა დღევანდელ საქართველოში.

დიდება ბატონი ნიკოს სახელს, მის ღვაწლსა და ამაგს, რომელსაც არასოდეს დაივიწყებს შთამომავლობა, რადგან უანგაროდ დახარჯული სიცოცხლე არ კვდება.

## ივანე ჯავახიძე,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,  
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე,  
დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი,  
საპატიო პროფესორი

### ახდენა

ახდენა იცის, თურმე, გულით  
 თუ რამ ისურვე.  
 ოდესმე /თუნდაც ბავშვობაში/  
 თუ გინატრია სხვად გადაქცევა  
 /როგორც ზღაპრებში: გოგო – მტრედად,  
 ფერია – გელად,  
 ქალი – ლერწმად და ასე შემდეგ/  
 შეგიძლია დაუკვირდე და შეამჩნიო...  
 შეამჩნიო...  
 შეამჩნიო... რომ გისრულდება!..



\* \* \*

რამდენჯერ ამოვცისკრებულვარ  
 ჩვილის ბაგისფრად,  
 ან კიდევ ღამის ქუთუთობს  
 ლექსშირიალად გამოვქცევივარ,  
 რამდენჯერ ჩამოვუწკეპლივარ  
 ზეცას წვიმებად,  
 ან კიდევ ჩამოვუოცნებებივარ  
 ფრთათეთრ ფიფქებად.

სიჩუმეს ამბობს ყოველი ლოდი,  
 შეჰყავხარ თავის უთქმელში და  
 გეგრძნეულება.

ვყოფილვა ნამი – ცის ნამსხვრევზე  
 სხივის ტრფიალი,  
 ვყოფილვარ ქალი – ქართლის დედა  
 ხმლით და ფიალით,  
 ...და ინანა – შუმერულ მითების,  
 ვილინო – პაგანინის თითებში...  
 ვყოფილვარ მეეზოვე, ბალერინა, ავაზაკი...  
 და ისევ... ნამი, რომელიც მაშინ არსებობს,  
 როცა სხივი ეტრფიალება.  
 თუ სხივი არ არის, ნამიც არ არის,  
 არის სისველე.  
 ... და ნამი!..

პირქვე ლოდი.  
 ჩამზერა.

იმხელა აქვს ამოსათქმელი  
 და მერე ისე შეუძლებელი,  
 ხმას ჰკარგავს სიტყვა,  
 მუნჯდება და საცოდავდება.

### ნამი ბალახზე

ნამი ბალახზე – ეს ისე ჩემია,  
 ან კიდევ – რალაც იმგვარია ჩემში,  
 ან თუ: რალაც იმგვარი ვარ მასში,  
 ისე მიმიზიდა, მიმწია, ჩამისახლა,  
 ეს თითქმის მე ვარ,  
 ან – ზუსტად მე.  
 ის კი შედგა, შეყოვნდა  
 და... დამაცქერდა.  
 შემრცხვა.  
 ღმერთო, ბალახის ნამზე  
 რამდენ ხანს მიყურებდა!..

ყველა ხმა ბოლოს ჩაგროვდება  
 სრულ სიჩუმეში.  
 შენ კი ვინა ხარ? რა ძალა გაქვს  
 და რა მიხვედრა?  
 თუ რამ ძალას ფლობ, ახსენი ჯადო  
 სიტყვებჩაპირქვავებულ ღუმელს  
 და მოდი, ლოდი  
 ამოაჟრიაძულე.

\* \* \*

სამყარომ და მე  
 ერთიმეორეს თვალი შევაგლეთ.  
 ის-ის იყო,  
 შელამებისფრად შეიმღვრა დღე და  
 ფანჯარაში ლექსი გაისუსა.  
 გიტყვიო, მანიშნებდა.  
 ...და შემომესმა,  
 სიტყვა სიტყვას რომ  
 მოაკონწიალებდა  
 სიჩუმეების ჟრიაძულში.

როგორღა?..

ამ ასანთისკოლოფა  
კორპუსების ქალაქში  
უკიდევანოდ  
როგორღა გიყვარვარ?..  
გეომეტრიულ გაზონებად  
ჩაკრეჭილ-ჩაორნამენტებულ  
სალტეში  
სად...  
სად...  
სად უნდა შევხვდეთ?!

წამო, გავიქცეთ ანტარქტიდაზე,  
ერთმანეთს სუნთქვა  
გადავუფესვოთ,  
გადაფესვილ სუნთქვაში ცხელა.  
მართალია, დინჯი, ფუმფულა  
პინგვინები  
ველარაფერს გაუგებენ  
ჩვენს დინამიკას,  
სამაგიეროდ,  
ფრთაძლიერი ალბატროსები  
შეგვისვამენ  
და ფართქუნით გავჭრით სივრცეს  
ერთმანეთისკენ.  
თოლიები – ცის ნაფლეთები –  
შემოგვიქსოვენ  
შეხვედრების უცხო მაქმანებს.

წამო, გავიქცეთ ალიასკაზე,  
ესკიმოსებთან,  
ყინულის ქოხში,  
ტყავის სამოსში პირვანდელი  
ხიბლი აქვს კოცნას.  
რად...  
რად...

რად გვინდა შოპენჰაუერი  
და ან ფროიდი,  
უარი ტრფობის ოკეანის  
ყოველგვარ ლოცმანს!..

წამო, გავიქცეთ საჰარის უდაბნოში,  
გვერდი ვუქციოთ ოაზისებს,  
ფინიკის პალმებს,  
ცხელი დიუნი ვიგრძნოთ მუხლებში,  
ნუ დაგვაყენებს ალხი და ქროლვა,  
ქვიშის წყვილ ქარბორბალად  
ჩავქარიშხალდეთ ერთმანეთში...

.....  
ამ ასანთისკოლოფა  
კორპუსების ქალაქში  
წყლის სტიქიაც მოიშინაურეს –  
შადრევენებიც კი ზომიერია  
და ჩვენ... როგორღა?!

\* \* \*

გსტუმრებია სტუმართაგან ულამაზესი  
/არგუმენტი: ვარსკვლავები – შემოხედვიდან/  
შეუცნობელი  
/ჭკუამოჩლექით გალულლულებს/  
სიზმრისებრ მძაფრი  
/გმინავს ცხადში,  
ყიამეთში ჩაყავხარ და შარავანდად გესამოსება/  
სიცოცხლის პირველელემენტი  
/გშლის და გაშენებს,  
განგშნამავს და განგაბოროტებს/  
და ცხადად გრძნობ, გულისგულიდან  
ღერა-ღერა ამოიღერა  
ცარგვალივით მალალი ბგერა/.  
ფეხქვეშ ღრუბლის ბილიკი გაქვს  
და ხდები...  
ხდები...  
ხდები რეალურად ირეალური.  
ხვდები, სათანადო რითმაა  
„სიყვარული –სიტყვა „რული“,  
ოღონდ რად გინდა?  
ველურია შენი სტუმარი,  
რითმებს ვერ იცვამს,  
ხოლო რული სიფხიზლის უკულმა პირია.  
გადმოატრიალე ეგ თვლემა და ასე ჩაიცვი.  
სიცხადე ლიბრის გადაცლაა,  
/ვერ ლიბრი/.

\* \* \*

ენგურს დარდი გავატანე,  
წაილო და წავიდა.  
სად ვიყავი აქამდე!..  
ყოფნას ვიწყებ თავიდან.

ზეცა, თვალში ჩამსხვრეული,  
გამიმთელა ენგურმა,  
„სქანი ნარლიშა ღირუღუო“,  
ასე ჩამიმეგრულა.

ვარ პლანეტაზე, სადაც სიცოცხლეს  
შენი სახე აქვს,  
მთელმა სამყარომ

შენი ენა რომ ამოიღო.

გესაუბრები.

შემაგროვე ამ ლექსებიდან,  
ჩემს ჭრილობებს რომ ჩავჩურჩულე.  
შემაგროვე ამ ლექსებიდან,  
რომლებმაც მითხრეს:

– აქ მთები და უფსკრულებია.  
ნურც ერთი ნუ შეგაშინებს,  
მთა ფსკერამოტრიალებული

უფსკრულია,

უფსკრული – მწვერვალჩაბრუნებული მთა.

დავიარები ამ უფსკრულ – მთებზე  
და ფსკერა ფიქრებს ცის თაღისკენ  
ნელა მივდენი.

ზოგჯერ სიკვდილიც შემომეყრება  
და მომკლავს.

და ზუსტად ვიცი:

ადამიანი გზის დასასრულს

უახლოვდება

დიდად მდიდარი,

დიდად მდიდარი,

დიდად მდიდარი სხვათათვის დაუნახველი

თავისი სიკვდილებით.

### სურები

სად ვიყავ, სად რა მივსულვარ, –

არ გეცრუებით სრულებით, –

ტაბლაზე ჩამომედგმოდა

ლექსებშიაღა სურები.

რაც ამომშრიალებია,

სურიდან ამოსულები,

რადაცრა მისივ ნებით და

რადაცრა ამოსურვებით...

ამოასხვავვარგვარებდნენ

ამოსათქმელებს სურები,

ვითომდა განაბულები,

ვითომდა გასუსულები.

ყელჩასიზმრება სურები,

სურები დაისრულების...

ამოცისკრების უთქვამთ და

ჩადაისდაისურების.

პწკარების ამოსხურების

ყელმაჭრიანი სურები...

ჩავიქეიფე სიცოცხლე,

მივმივალ, მივიწურები.

ეგ არის, რაც მანიშნე  
წუთისოფლის მარილში?

ათივ თითის ბალიშზე

ათივ თითის ბალიში

და თითები – რითმები...

თითქოს რაღცნაირად

რაღაცგვარ რაიმეთი

ჩამოსხვანაირდება

შენი სხვანაირეთი.

სხვა–სხვა–სხვანაირეთი,

სხვა მხარე და მილეთი,

საითკენაც

ამ ჩვენს ოცდამეერთეს დაჰკარგვია ბილეთი.

ხმები ირგვლივ: ხა–ხა–ხა, რა თითები,

ან რა სხვანაირეთი,

აპოკალიპსის პირას

მოღაშია ზასები და მინეტი!..

ჰარლალალო ჰარალე და

ჰარი – ჰაიჰარადა,

მოსვლას მოვრჩი, წასვლას ვიწყებ,

მტვრად წავალთ და ქარადა,

ვარაიდა ვარადა,

არა და...

ეგ არის, რაც მანიშნე

წუთისოფლის მარილში?–

ათივ თითის ბალიშზე

ათივ თითის ბალიში


და თითები – რითმები...

ანაქრონიზმი –

ანაც – კომიზმი...

იღუმალო, ვიმღუმაროთ!..





დიადი ძმობა

რომ წაეკითხა ღონ კიხტს  
 პოემა ტარიელისა,  
 ცრემლებს მოჰგრიდა ამბავი  
 მიჯნურობისა ხელისა.  
 შეუძახებდა როსინანტს,  
 გაიყოლებდა სანჩოსა,  
 სად იდგა სამი რაინდი  
 ქაჯეთის ციხის ახლოსა.  
 ეტყოდა, ძმებო, მოვედი,  
 ჰა, ეს ეს გული და შუბიო,  
 მსურს თქვენს მხარდამხარ ქაჯებთან  
 ომი, ბრძოლა და ჩხუბიო.  
 თქვენი ჯიშის ვარ, თქვენებრ მწვავს  
 წმინდა გრძობათა ცეცხლიო,  
 თქვენებრ არც მე მსურს, ძმანებო,  
 სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლიო.  
 მინდა ან მოვკვდე თქვენს გვერდით,  
 მკერდი გამიჰოს ხმალმაო,  
 ან დავამარცხოთ ქაჯები,  
 ციხე წაიღოს წყალმაო.  
 გაულიძებდნენ რაინდნი  
 და ჩაიკრავენ გულშია,  
 ძმად შეიცნობდნენ სიკეთის  
 და ბრძოლის სიყვარულშია.  
 ქაჯეთის ციხეს ოთხის მხრივ  
 შეჰყრიდნენ შიშს და ძრწოლასა,  
 ნახავდა სანჩო იმა დღეს  
 უმაგალითო ბრძოლასა.  
 თუმც გულით ტოლს არ უდებდა  
 თევდორესა და ცოტნესა,  
 მკერდში დასჭრიდნენ ღონ კიხტს  
 ბრძოლის ნაკლებად მცოდნესა.  
 და მკერდში იგი იარა,  
 ხვედრი ნამდვილი გმირისა,  
 გამრთელდებოდა ცრემლებით  
 ნესტან და თინათინისა.

მანათობელი მემანქანე

დამირეკა მემანქანემ,  
 მითხრა, „ჩუქუ-ჩუქუები“,  
 ვკითხე, ვინ გყავს ახლა მგზავრად,  
 ჟირაფები თუ კუები?  
 მითხრა, ტბაზე თავფარავნის  
 ფარვანების მიმყავს გუნდი,  
 მოგიყვები ამათ ამბებს  
 უსათუოდ, თუ დავბრუნდი.  
 მე ვუსურვე კეთილი გზა,  
 ავუმღერე სალამური,  
 ეტყობოდა ჩემი დაკვრა  
 იყო მისთვის საამური.  
 ბევრი მითხრა „ჩუქუ-ჩუქუ“,  
 ქვითინებდა, ეტყობოდა,  
 იყო ისე სევდიანი,  
 ათ სევდიანს ეყოფოდა.  
 „ფარვანებმა ასე მითხრეს:  
 მემანქანე, სანაქებო,  
 თუმც არა ხარ შენ, ფარანი,  
 არა უმავს, ანათებო“.  
 ჰოდა, უნდა აგადევნოთ  
 მრავლად ჩვენი აგენტები.  
 უნდა გდიოთ, ვიდრე, მართლაც,  
 ფარანივით აენტები.  
 აენტები და ორთქლმავალს  
 გაუნათებ სავალ გზასო...  
 და ანათე მძლავრად, ვიდრე  
 შეერევი შუქით ცასო.!

\* \* \*

იასამანსა თავზედა  
 ჩიტუნა დაჰფრენს კოხტაო  
 და დასჭიკჭიკებს მშფოთვარე:  
 ალბათ რაღაცა მოხდაო.  
 იისგან იყო მოსული:  
 დაო, მათხოვე ფერიო,  
 მიშველე, ოღონდ მათხოვე,  
 მთხოვე თუნდ ყველაფერიო...  
 იასამანმა ათხოვა  
 თავისი ფერი იასა,  
 თან გაატანა შიკრიკსა –  
 კოხტასა ჩიტუნისა.  
 თვით თეთრი დარჩა – ქათქათა,  
 დგას და ანათებს მზეზეო,  
 ამ ნათელს, თუკი გული გაქვს,  
 წამოუდგები ზეზეო.

## ბიძაჩემი — ზურაბ ანჯაფარიძე

ჟურნალი „ანეული“ იწყებს დიდი ქართველი ტენორის — ზურაბ ანჯაფარიძის ძმისშვილის — ლელა ანჯაფარიძის მოგონებებს ბიძაზე. ლელამ ბავშვობა და სიყმაწვილე ბიძასთან ერთად გაატარა და ის, რაც მის მეხსიერებას ცხოვლად შემორჩა, ვფიქრობ, მართლაც რომ საინტერესო იქნება მკითხველთათვის, რაკი ამ მოგონებებში გაცოცხლდება დიდი მოძღვრული თავისი პიროვნული თვისებებით...

მინაწერი ფოტოზე:

ჩემს ცხოვრებაში სულ იყო  
ანჯაფარიძე ზურიკო...  
და რა კარგი იქნებოდა...  
საერთოდ არ წასულიყო...

ტან-ფეხ-მოჭუტულთვალიანი მსგავსება...

მუსიკალური არ მერგო ნიჭი...  
ანდა რაიმე მაგისდაგვარი...  
კიდევ კარგი, რომ არ გავჩნდი ბიჭი...  
არ შევარცხვინე მოძღვრლის გვარი...  
ორი რამ მხოლოდ გამოძევა, ვიცი:  
ხასიათები სულ არ რთულები...  
და ორივე რომ ვიწყებდით სიცილს...  
თვალები გვექონდა მოჭუტულები...

ისე კი, ზურიკოს რომ ეუბნებოდნენ: „როგორ გგავს ლელაო“... სერიოზულად პასუხობდა: „კი, სმენით და ტან-ფეხითო!“

დავით გამრეკელის და ზურიკოს  
თავგადასავლები...

ზურიკოს პირველი ძმაკაცი მოსკოვში იყო განუძემორებელი მოძღვრალი „დათკა“ — დავით გამრეკელი. იგი. ზურიკოზე გაცილებით უფროსი იყო, მაგრამ ორივე პატარა ბავშვებივით იყვნენ. ზოგჯერ ისეთ რაღაცებს იგონებდნენ და სჩადიოდნენ, შეიძლება არც დაიჯეროთ. მაგალითად, პიკის საათის დროს, გადიოდნენ მოსკოვის ქუჩებში, პოულობდნენ ყველაზე ვიწრო შესახვევს და... წარმოიდგინეთ... მოდის გამხდარი რუსი ინტელიგენტი სამსხურიდან, პორტფელით ხელში, ეჩქარება შინ და გზაზე ხვდება ზურიკო. ზურიკოსთვის გვერდის ავლა, ცოტა არ იყოს ძნელი იყო, თანაც ზურიკოც ართულებდა პროცესს... მოკლედ 10-წუთიანი „ბრძოლის“ შემდეგ, მოსკოველი ამოისუნთქავდა, გახარებული დაადგებოდა გზას შინისკენ და 2 წუთში ხვდებოდა დათკა (ზურიკოზე უფრო დიდი გაბარიტების ბიჭი) და ახლა ის აღარ უშვებდა იმ საცოდავ კაცს შესახვევში... ასევე პიკის საათებში შედიოდნენ მეტროში და ეს-კალატორის ჩასავლელის ბოლოს „ყოვნებდნენ“....

.....  
ზურიკო და დათიკოს ხშირად „დიეტობდნენ“: მთელი დღე ნარდს აგორებდნენ, თანაც „სუმეკებს“



და მანგოს წვეწვს მიირთმევდნენ. ჰოდა, ერთხელაც, ფანჯარაში გადაიხედეს და ზურიკოს ძველი მოსკვიჩი, რომელიც განვადებით ჰქონდა გამოყვანილი, მოუპარავთ... დარეკეს მილიციაში და მოვიდნენ გამოძიებლები „კლექტიანი მანქანით“ — „შავი ვორონით“ და შესთავაზეს დათიკოს და ზურიკოს ქალაქგარეთ გასვლა, სადაც თითქოსდა, უპატრონო მიგდებული მსგავსი მანქანა უპოვიათ.

ზურიკო და დათიკო დათანხმდნენ, წყნარად ჩავიდნენ მილიციის მანქანამდე და როცა ჩასხდნენ, ორივემ „კლექტიდან“ თავი გამოყო და ყვირილი დაიწყო: „პოლიციელებო“ და ეს ყველაფერი მოსკოვის ცენტრში ხდებოდა. ხალხი დასახმარებლად გამოიქცა.. და მილიციამ ძლივს დააწყნარა შეჯგუფული ხალხი...

.....

დათკა და ზურიკო ოპერაში მიდიოდნენ (ესეც მოსკოვში ხდება), დაიქირავეს ტაქსი. ჩასხდნენ და დათკამ დაიწყო „პოდმოსკოვნიე ვეჩერას“ სიმღერა, თან საშინლად უსმენოდ. ზურიკოც აჰყვა. ტაქსის მძღოლმა ცოტა ხანს კი ითმინა, მაგრამ ბოლოს მოუბრუნდა და ჰკითხა: „ვი ატ კუდა, რებიატაო“. ამათ უპასუხებს: „მი გრუზინი“... და ტაქსის მძღოლმა: „ნუ, შტო ვი, რებიატაო, ნეპრავილნო პოიეტო“ და დაუწყო სწავლა, დიდხანს არ „ემორჩილებოდნენ“. ბოლოს მძღოლმა ტაქსი გააჩერა, მრიცხველიც კი გამორთო და ისევ დაუწყო სიმღერა, მაგრამ... ამაოდ!

მერე, როგორც იქნა, დიდ თეატრს „მიაღწიეს“... და ჩასვლისას ორივემ სწორად იმღერა, თან მერე „დაუძრეს“: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებისა და დიდი თეატრის სოლისტების „ვიზიტები“.

მძღოლს დიდხანს უცინია: როგორ გამაბრყველებს ამ ქართველებმაო!

ღვანე საბუღალთაშვილი



\* \* \*

დღეს თიანეთში უნდა წავიდე,  
 იქ ბავშვობა დამრჩა,  
 ყრმობის ლექსებივით  
 გაცრეცილი,  
 იმ ბალახით, –  
 პაპას ჩემი გათიბული რომ  
 არ მოსწონდა...  
 მახსოვს, მუხა იდგა,  
 დამეხილი,  
 ხატის ნიშიაო, ბაღებს გვეშინოდა,  
 იმ ხის ნაფოტიც კი არ მოგვეკონდა...  
 ხანი გამოხდეს, რაც არ უნდა,  
 რამ გამიქარვოს,  
 არყოფნის სევდა, პაპაჩემის მზის,  
 ჩამავალის...  
 რამ დამავიწყოს ცხელ ხინკალზე  
 საკმევლის კმევა,  
 დამბალი ხაჭო, თონის თავზე,  
 ნაბოლავარი...  
 იმ თონის თავზე, რომელსაც დღესაც  
 (გეტყვი თავდახრით და მოწიწებით)  
 ამჩნევია და  
 დაე, კვლავ აჩნდეს, –  
 ნაჯაფარი ქალის თითები...  
 რომ არ ფეთქავდეს, გამიცოცხლდება,  
 გული, იორში ოდეს გაგრილდეს,  
 რადაც არ უნდა, ვფიქრობ, დამიჯდეს,  
 დღეს თიანეთში უნდა წავიდე!

\* \* \*

მე ის მაღონებს, მარიამო,  
 ცა რომ უძიებოდ  
 დარიანობს,  
 იქნებ სადმე დავლანდო ბაბოჩემი,  
 ვინძლო, პაპაჩემმა  
 ჩამიაროს...  
 აღარც სისხამ დილის სანახირო,  
 აღარც თეკლე ბაბოს  
 მარწყვის ბაღა...  
 აღარც ლუკა პაპას „შემოგვევლე...“ –  
 ის სითბო, – ბაღებს რომ  
 გულში დამრჩა...  
 ყველანი აიმ მთის შვილები ვართ,  
 სამშენისები ვართ აიმ ბუდის...  
 გული სულ ტყუილად ავდრიანობს...  
 დროა, დავიხურო პაპის ქუდი...

ვერ დაგპირდები!

ვერ დაგპირდები,  
 არ დამათრობს მზერა ქალღმერთის,  
 როცა დაღევას არ მამალებს  
 მთვარე – თამადა...  
 მაინც ვერ გითხარ,  
 ფშავლის ქალავ,  
 რარიგად გეტრფი,  
 ტიალ გულში რომ უშენობა  
 გამიავდარდა...  
 ვერ დაგპირდები –  
 არ ვემთხვევი შენს სათაურას,  
 ნანდაურს შენსას მომხვდურად  
 არ გადავეყრები...  
 შენმა თოლებმა  
 გამატყიურ-გამა-მთა-ურა,  
 უშენოდ ღრუბლებს  
 ხევ-ხუვებში  
 ჩავესეტყვები...  
 ვერ დაგპირდები –  
 არ დაგიშლი მოჯარულ ნაწნავთ...  
 არ დაგიჩოქებ,  
 უგონოდ არ გავწარმართდები,  
 დაცლილ ფიალას გადავუგდებ  
 მთვარეს – თამადას,  
 მერე მაგ თმების უკუნეთში  
 დავსამარდები!

რუსული პოეზია

Игорь Северянин

ЭТО БЫЛО У МОРЯ...

Это было у моря, где ажурная пена,
Где встречается редко городской экипаж...
Королева играла – в башне замка – Шопена,
И, внимая Шопену, полюбил ее паж...
Было все очень просто, было все очень мило:
Королева просила перерезать гранат,
И дала половину, и пажа истомила,
И пажа полюбила, вся в мотивах сонат...
А потом отдавалась, отдавалась грозово,
До восхода рабыней проспала госпожа...
Это было у моря, где волна бирюзова,
Где ажурная пена и соната пажа.

Николай Гумилев

\* \* \*

Застонал я от сна дурного
И проснулся, тяжело скорбя;
Снилось мне — ты любишь другого,...
И что он обидел тебя.
Я бежал от моей постели,
Как убийца от плахи своей,
И смотрел, как тускло блестели
Фонари глазами зверей.
Ах, наверно таким бездомным
Не блуждал ни один человек
В эту ночь по улицам темным,
Как по руслу высохших рек.
Вот стою перед дверью твоею,
Не дано мне иного пути,
Хоть и знаю, что не посмею
Никогда в эту дверь войти.
Он обидел тебя, я знаю,
Хоть и было это лишь сном,
Но я всё-таки умираю
Пред твоим закрытым окном...



ივორ სევერიანინი

„ეს იყო ზღვასთან“

ეს იყო ზღვასთან, სადაც აყურულია ქაფი
და იშვიათად მოსჩანს ქალაქის ეკიპაჟი,
იქ დედოფალი – კომპი –
შოპენს უკრავდა მსწრაფი
და ამ მუსიკის ჰანგზე გაუმიჯნურდა პაჟი.
რაც მოხდა, იყო ისე მარტივი, საამური:
ინდომა დედოფალმა, რომ გადაეჭრათ ლალი
და ნახევარი მისცა. პაჟს გაელია გული,
სონატის მოტივებში ქალი პაჟისგან მთვრალი
ავდრული გატაცებით მას ეძლეოდა მერე
და მონად ქცეულ ბატონს
უსწრებდა გარიჟრაჟი.
ეს იყო, სადაც ტალღა არის ფირუზისფერი,
აყურულია ქაფი და სონატაა პაჟის.

ნიკოლაი გუმილიოვი

\* \* \*

ამომაკვნესა სიზმარმა მწარემ
და გამოფხიზლდი დამძიმებული;
მესიზმრა, თითქოს სხვა შეიყვარე...
და იმ სხვამ თითქოს გატკინა გული.
საკუთარ საწოლს გამოვექეცი,
ვით მკვლეელი – თავის კუნძს საჯალათოს.
ვუცქერდი, მრუმე თვალებით მხეცის
ლამპიონებმა რომ მომანათეს.
აჰ, მიუსაფრად ასე, ჩემსავით
ქვეყნად არავინ ეხეტებოდა
იმ შუალამეს, ქუჩებით შავით –
– მშრალ მდინარეთა კალაპოტებით.
აი, შენს კართან უწინდებურად
ვდგავარ, მე სხვა გზა არ დამებედა.
მაგრამ ვჩერდები დარწმუნებული,
რომ შიგ შემოსვლას ვერ გაგიბედავ.
ვიცი, მან მძიმედ გატკინა გული,
თუმცა ეს მოხდა მხოლოდ სიზმარში,
მაგრამ მე ვკვდები მიტოვებული,
შენი დახშული ფანჯრის წინაშე...

**Анна Ахматова**

\* \* \*

Широк и желт вечерний свет,  
Нежна апрельская прохлада.  
Ты опоздал на много лет,...  
Но все-таки тебе я рада.  
Сюда ко мне поближе сядь,  
Гляди веселыми глазами:  
Вот эта синяя тетрадь -  
С моими детскими стихами.  
Прости, что я жила скорбю  
И солнцу радовалась мало.  
Прости, прости, что за тебя  
Я слишком многих принимала.

**Марина Цветаева**

\* \* \*

Легкомыслие! – Милый грех,  
Милый спутник и враг мой милый!  
Ты в глаза мне вбрызнул смех,  
и мазурку мне вбрызнул в жилы.  
Научив не хранить кольца,...  
с кем бы Жизнь меня ни венчала!  
Начинать наугад с конца,  
И кончать еще до начала.  
Быть как стебель и быть как сталь  
в жизни, где мы так мало можем...  
– Шоколадом лечить печаль,  
И смеяться в лицо прохожим!

**ანა ახმატოვა**

\* \* \*

შუქი მწუხრის – ყვითელი და ფართო  
და აპრილის სიგრილეს ნახი,  
დაგვიანდი. წლობით ვიყავ მარტო...  
მაინც, მოსვლით გამახარე ასე!  
მომიჯექი, მომაპყარი სახე,  
ახალისე თვალი საკითხავზე;  
ლურჯყდიანი ეს რვეული ნახე –  
ამ ბავშვური სტრიქონებით სავსე.  
მაპატიე, მწუხარებას ვენდე,  
მზისა გულს ვერ მიხარებდა ძალა,  
მაპატიე, მაპატიე, დღემდე  
ძალზე ბევრი შენში შემეშალა.

**მარინა ცვეტაევა**

\* \* \*

დაუფიქრებლობავ! – ტკბილო შეცოდებავ,  
თანამგზავრო ტკბილო, ტკბილად მემტერები!  
თვალეში სიცილი შენგან მომედება  
და მახურკით ტოკავს ძარღვები და მხრები.  
შენ მასწავლე,  
ბეჭდებს რომ არ გავუფრთხილდე,  
სულ ერთია, ვისთან შემაუღლებს ბედი  
და ბოლოდან ვიწყო მე კიდევ და კიდევ,  
დავასრულო, ვიდრე რამეს დავიწყებდე.  
ვიყო როგორც ღერი, ფოლადივით ვიყო  
ცხოვრებაში, სადაც ძალგვიძს ასე მცირე.  
შოკოლადით ვკურნო დარდი, დავივიწყო.  
გამველეგ-გამომველეებს ისევ შემოვცინებ!

*თარგმნა ნინო დარბაისელმა*



დაიბადა 1956 წლის 16 აპრილს, თბილისში. 1977 წელს დაამთავრა თბილისის 77-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სპარსული ენისა და ლიტერატურის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თანამშრომლობდა მწერალთა კავშირთან არსებულ მთარგმნელობით კოლექტივთან.

1996 წლიდან არის გაზეთ „ფანტაზიის“ და მასთან არსებული გამოცემლობის მთავარი რედაქტორი. არის მთარგმნელთა კლუბის ხელმძღვანელი.

პირველი თარგმანი დაბეჭდა სტუდენტობის პერიოდში, 1975 წელს, უნივერსიტეტის გაზეთში. 1995 წლიდან დღემდე გამოცემული აქვს არაერთი კრებული, სადაც შესულია რუდაქის, ფირდოუსის, ხაიამის, რუმის, პეტრარკას, შექსპირის და სხვა პოეტთა ლექსები.

გამოცემული აქვს „უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (სამ ტომად), სპარსულ - ქართული ლექსიკონი და მთარგმნელის ბიბლიოთეკის ექვსი წიგნი.

**ფირდოუსი**

**სპარსული პოეტი (940-1020)**

**ზურაბის ამბის დასაწყისი**

თუ ქარიშხალს წესადა აქვს მარად მტრობდეს კაცთა სამყოფს, რატომ ერჩის ასე ხშირად ჯერ უმწიფარს ნეტავ ნაყოფს?! ნეტავ ამას რა სახელი ერქვას უნდა ან რა წესი?! ნეტავ მისმა შემოქმედმა სხვა ვერ შექმნა უკეთესი?! ან რად არის ეს სიცოცხლე სიკვდილისგან სამართავი, ან რას მართავს და რას ხლართავს მთელი მისი სამართალი?! ყველა პასუხს ამაო და იღუმალი ფარავს ფარდა, და არ რჩება არაფერი, ეჭვისა და ფიქრის გარდა. ყველა კარი დახშულია და იღება მაშინ მხოლოდ, სიცოცხლეს რომ დავასრულებთ, თუნდ გაწევილს უთავბოლოდ და იქ, სადაც დასრულება წუთისოფლის გზას ენება, ეგებ ჩასწვდეს საიღუმლოს საუკუნო განსვენება?! და იქ, სადაც ყრმას თუ მოხუცს ერთად უწევთ გადამალვა,

სადაც აღარც ტკივილია, აღარც წვა და აღარც ალვა, იქ სიკვდილის ერთი წამი თითქოს რაშად, თითქოს ჰუნედ იქცევა და მოაგელვებს დროს უდროო საუკუნედ. სულ ეს არის ამ საწუთროს მთელი ზნე და არსი მთელი, უსამართლოდ მოგექცევა, თუ სამართალს მისგან ელი, ბებერსა თუ ახალგაზრდას განურჩევლად წარჰკვეთს სასოს, რაგინდ გული უძგერდეს და სულით თავი გაიხასოს.... და შენც სხივი ნუგეშისა საამქვეყნოდ უნდა ნახო, მღუმარების ტყვეობაში შენს გონებას უკარნახო, რომ მიწისქვეშ სანამ ჩახვალ, განერიდო ავს და გრძნეულს და მისდო ცისქვეშეთის განჩინებას სიბრძნისეულს: უფლის ნებით ყოველი დღე გითენდება იმის გამო, რომ სიკეთე დათესო და სიკეთითვე დაიღამო.

## ჯალალ ედ-დინ რუმი

### სპარსელი სუფი პოეტი (1207-1273)

\* \* \*

ეჭა, შენ სულო, სრულთაგან სრულო,  
ხარ სულთა სული და კიდევ რაღაც;  
ჰე, სასწაულთა დღესასწაულო,  
ხარ სასწაული და კიდევ რაღაც.  
ჰე, მწდეთა მწდე და ხარ მზეთა მზე შენ,  
მარადის ზეობ ზეთაგან ზე შენ,  
უსაზღვროეთში ხარ ზნეთა ზნე შენ,  
ხარ ზნესაზღვრული და კიდევ რაღაც.  
ეჭა, შენ მართალ გზათა მპყრობელს და  
ხილულ სანახთა წარმომშობელს და  
საწყისსა შინა თავად მყოფელს და  
თვით ხარ სასრული და კიდევ რაღაც.  
ეჭა, შენ უფლის სახეც და ხატო,  
ცის შარავანდო და ანდამატო,  
ყოვლთა შესაქმნელს შენ შეიქმ მარტო,  
ხარ ყოვლადსრული და კიდევ რაღაც;  
თავადვე ზრახავ ფარულ ზრახვას და  
ფარული არსის ძალგამს ნახვა და  
ზრახულის სახეს შენში სახავ და  
თვით ხარ ზრახული და კიდევ რაღაც.  
შენ აქამანდებ ტრფობის თრიაქებს,  
ლეილ-მაჯუნს რომ აფორიაქებს,  
ასეთ განგებას თუ ზოგი აქებს,  
ზოგია კრული და კიდევ რაღაც.  
ჰე, შენ მფარველობ იღბლით დიადს და  
მასაც, ვინც ებრძვის თმენის წყვდიადს და  
ღრუბელთა მიღმა გცნობენ ზვიადს და  
ხარ ჯერართქმული და კიდევ რაღაც.  
ჰე, მოციქულთა სიამაყეც და  
ეჭა, ვინც ბრძენთა სულებს არყეც და  
შენეულს ცხადი ზრუნვით აჰყეც და  
კვლავ ხარ ფარული და კიდევ რაღაც.  
ჰე, შეწყალების დასახამო და  
წყალობის ზღვათა ნაპირს ჰბანო და  
ხან უსახლო ხარ სახლის ბანო და  
ხან სახლში რგული და კიდევ რაღაც.  
ჰე, შენი სახის მჭვრეტელი თვალი  
თუ არის მხოლოდ მშვენებით მთვრალი,  
დაკარგოს იმან ცოდვებში კვალი,  
დაკარგოს რჯული და კიდევ რაღაც;  
შენში ვეძიე უძიროს ძირი  
და მოვიძიე ფუძეთა მიძვი,  
მაგრამ სევდისგან დავკარგე ძილი,  
დავკარგე რული და კიდევ რაღაც.  
ნეტავ შენს ბაგეს ველტვი რისთვის აწ?  
არღარა შემრჩა მე იმისთვის აწ,  
მე უსხეულო სიკვდილისთვისაც  
ვარ განწირული და კიდევ რაღაც.

## ომარ ხაიამი

### სპარსელი მეცნიერი, პოეტი (1048 - 1131)

\* \* \*

თუ ვარ ფხიზელი, გამლილი მაქვს  
ფიქრის დავთრები,  
დავლევ და ჭკუა არ შემრჩება, ისე დავთვრები;  
და არის წამი სიმთვრალეს და  
სიფხიზლეს შუას,  
როცა საწუთროს მე არაფერს არ ვემართლები.

\* \* \*

რადგან ამქვეყნად გზაც კი არ მაქვს  
არსად ნანახი  
მარადისობის კარიბჭეთა გადასალახი;  
ასი ათას წელს შავ მიწაში გაგატარებ და  
მანც ამოვალ მიწის ზემოთ, როგორც ბალახი.

\* \* \*

შენს ნაფეხურებს რომ მოსდია ჩემთან აისმა,  
ღვინის დასხმის და სიმღერის ხმა მაშინ გაისმა;  
გახსოვდეს, მიწა მუდამ ელის  
გლენსა თუ მეფეს,  
რომ აღსასრული დეკემბერში ჰპოვოს მაისმა.

\* \* \*

ცოცხლად რომ დაგვწვა ამ ცხოვრებამ,  
კვამლი სად იყო?!  
თუ წასასვლელად გვამზადებდა,  
მოსვლა რად იყო?!  
საწუთროს ნეტავ ვინ დაარქვა  
„ღვინის სარდაფი“?! –  
სანამ გავიგეთ, თვით სარდაფიც აღარსად იყო.

\* \* \*

რაც გავიცან, მეგობარო,  
მუდამ ჭკვიან კაცად ჩანდი,  
ჰოდა, რად ხარ მოწყენილი,  
რად შეგიჩნდა სევდის ლანდი?!  
ამ საწუთროს ვერ გარდაქმნის  
შენი შნო და შენი ფანდი,  
მაშ, ილხინე, სანამ გაღვას  
თავს სიცოცხლის შარავანდი.

\* \* \*

შენ, ვარდო ჩემო!.. სატრფოს მსგავსად  
მუდამ კარგი ხარ,  
შენ, ღვინოვ ჩემო!.. განა ღვინოდ? –  
ლალად ვარგიხარ,  
შენ, ბელო ჩემო!.. მტარვალი ხარ  
და თითო წამით  
მშორდები, მაგრამ მანც არსად დასაკარგი ხარ.

## ბაბა თაპერი

სპარსელი პოეტი (1000 - 1055)

\* \* \*

მე შენთან თეთრად დაპენტილი ატმის ხე ვიყავ,  
შენი თვალების მზეობისას მეც ხომ მზე ვიყავ;  
მარად გლოცავდი –

ავი თვალი მოგშორდეს-მეთქი...  
ო, ჩემო კარგო! – ავი თვალი ნუთუ მე ვიყავ?!

\* \* \*

მოდო და ნახე, რა ნაღველის ზღვაში ჩავეშვი,  
რა ცეცხლი ელავს ჩემთა თვალთა საბუდარებში;  
ლამაზი ვარდი შენ თუ თმებში ჩაგიბნევი,  
მე სიჭაბუკის ლამაზ ვარდებს ვაბნევ ქარებში.

\* \* \*

მე რომ საფლავში ჩამკეტავენ, იმ დღეს დიდება!  
ჩემს სასთუმალთან მაშინ ქვა და ლოდი იდება...  
შენ, ჩემო სულო, უდაბნოში გაინავარდებ,  
ხოლო სხეული ჭია-ლუას შეეჭიდება.

## რუდაქი

სპარსელი პოეტი (მე-9-10 სს)

\* \* \*

ერთხელ ცხოვრებამ გადამიშალა  
გული და მითხრა: „ისმინე რჩევა!  
ცხოვრებას კარგად თუ დაუკვირდი,  
სიბრძნის შეცნობის გექნება ჩვევა.  
შენ ბედში მყოფებს შურით ნუ უმზერ,  
ბოლმას არ ანდო ღამეთა თევა,  
ბევრს ნახავ ისეთს, ვინც შენ შეგნატრის  
და შენს იღბალში შენს ნაცვლად შევა“.  
ბოლოს ეს მითხრა: „სიტყვებს უფროთხილდი!  
იცოდე, მათი სადაც ღირს ფრქვევა...  
ვინც თავის ენას ბორკილს არ ადებს,  
ფეხით მოუწევს ბორკილთა თრევა“.

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა



Сергей Есенин

\* \* \*

Голубая кофта. Синие глаза.  
Никакой я правды милой не сказал.  
Милая спросила: „Крутит ли метель?  
Затопить бы печку, постелить постель“.  
Я ответил милой: „Нынче с высоты  
Кто-то осыпает белые цветы.  
Затопи ты печку, постели постель,  
У меня на сердце без тебя метель“.

3 октября, 1925

სერგეი ესენინი

\* \* \*

ლურჯ თვალების შუქი და ცისფერი კოფთა.  
მოვატყუე სატრფო, განა რამე მოხდა!  
„ქარბუქია?“ – მკითხა შეჩვეულმა ლოდინს,  
„შეუკეთებ ღუმელს, გავამზადებ ლოდინს“.  
ვუპასუხე სატრფოს, რომ მაღალი ციდან  
თოვლს კი არა, ვიდაც თეთრ ყვავილებს ყრიდა...  
„ლოგინიც და ცეცხლიც გაამზადე, მიდი!  
უშენობით გულში ქარბუქია დიდი“.

თარგმნა თამაზ თევდორაძემ



# უმუშევრის სიზმარი



– შებრძანდით! – თქვა ახალგაზრდა ქალმა, დასაქმების მინისტრის მეორე მოადგილის მესამე თანაშემწის მდივანმა. თქვა კი არა, კბილებში გამო-სცრა. „ბრძ“, „ბრძ“, – ავად გაიმეორეს კედლებმა მდივნის მიერ აქცენტირებული თანხმობები.

ახალგაზრდა შეიშმუშნა, მაგრამ თავდაჯერებულად კი შებრძანდა დასაქმების მინისტრის მეორე მოადგილის მესამე თანაშემწესთან. ოთახი იყო დიდი, დიდი... ჩინოსანი იყო პატარა, პატარა... პატარა ჩინოსნის დიდ მაგიდაზე საქართველოს დროშა ამაყად ფრიალებდა კონდენციონერისაგან მონაბერი ხელოვნური სიოს ფონზე.

– დაბრძანდით! – „ბრძ“, „ბრძ“, – ზიზღნარეკად გაიმეორა ექომ. ჩინოვნიკს თავი არ შეუწუხებია და არ აუხედავს ახალშემოსულისათვის, ისე შეეკითხა:

– სახელი, გვარი...

– შოთა რუსთაველი – გაისმა მოკრძალებულ იპასუხი...

– რა ნაცნობი სახელი და გვარია, ღმერთო, სად გამიგია? – ხმამაღლა გაიფიქრასავით მესამე თანაშემწემ და დაამატა – შევარდნაძის დროს ფინანსთა სამინისტროში ხომ არ მუშაობდით?

– არა, ბატონო!

– რაზე შეწუხებულხართ?

– სამსახურს ვეძებ... რაც შემიძლია... რაშიც გამოვადგები საშობლოს ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით – დარცხვენილად წარმოთქვა შემოსულმა.

– რა პროფესიისა ხარ? – უპირატესობა იგრძნო თანამდებობის პირმა და შენობითზე გადავიდა.

– პოეტი ვარ.

– პოეტი? მეტი არაფერი? პოეტები რაში გვჭირდება? – სათვალეებიდან გადმოხტა დამხვედური – რა განათლება გაქვთ (კიდევ მისცა შანსი)?

– იყალთოს აკადემია მაქვს დამთავრებული.

– აი, აი... ახალგაზრდა კაცი ხარ, არ გრცხვენია? რა დროს იყალთოა?! რა დროს იყალთოა, გეკითხები?! ევროპასა და ამერიკაში ნასწავლი ხალხის სია აგერ მიდევს სარეზერვო განყოფილებაში. იყალთო, კმ... – უკმაყოფილო ნოტებმა იჩინეს თავი ჩინოვნიკის მონოლოგში.

პოეტი შეიშმუშნა. მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა, ერჩივნა, მაგრამ მიწამდე თორმეტი სართული ამორება და რა ექნა.

– მე... მე... – წამოიწყო და დაღუძდა.

– რამდენი წლის ხარ? – შეურაცხყოფელმა ნოტებმა დიეზის ხარისხი შეიძინეს.

რუსთაველი ყურებიანად გაწითლდა.

– იქნები ორმოცის – განაჩენი გამოუტანა ოცდაერთიოდე წლის თანაშემწემ – შე კაცო, პენსიაზე უნდა დარბოდე, ხომ იცი პენსიები გავ... – გავზარდე-თო უნდოდა ეთქვა, მაგრამ პოეტმა შეაწყვეტინა:

– ვიცი!

სიჩუმემ დაისადგურა. გულმოწყალებე აღმოჩნდა ჩინოვნიკი, კიდევ მისცა შანსი პოეტს:

– რომელ ენებს ფლობთ?

– ხატაელთა, ინდოელთა, ბატონო, – გამოცოცხლდა პოეტი.

– როგორ, ინგლისური არ იცით?! ნწ, ნწ, ნწ, – განაწყენდა დიდმოხელე.

პოეტმა განსაკუთრებული, მხოლოდ ხელოვანთათვის მისაწვდომი ინტუიციით იგრძნო, როგორ გასკდა მიწა თორმეტი სართულის ქვეშ. თითქოს ჯიბრზე, პატარა ჩინოვნიკი ახალ-ახალ კითხვებს იგონებდა:

– თქვენ გატყობთ, კომპიუტერიც არ გეცოდინებათ! მდაა, ასე შორს ვერ წახვალთ, ბატონო შოთა, შორს ვერ წახვალთ! მომიწერეთ აგერ ხელი, რომ ჩემი სამუშაო საათის თითქმის ოცი წუთი დავითმეთ და მიბრძანდით!

რუსთაველმა ქუდიდან ბატის ფრთა ამოაძრო და მორჩილად მოაწერა ხელი.

ოთახში მდივანი ქალი შემოვიდა. პოეტმა შენიშნა, ქალბატონის სახიდან მკაცრი იერი სადღაც გამჭრალიყო და მისი ადგილი ძალღური ერთგულების გამომხატველ ნიღაბს დაეკავებინა. მდივანი უფროსთან ახლოს, ძალიან ახლოს, დასამკვირვებზე უფრო ახლოს მივიდა, დაიხარა და ერთობ სექსუალურად წასჩურჩულა:

– ეს წუთია ქალბატონმა თამარმა დარეკა, ყუ-

რადღება მიაქციოსო — და თვალთ პოეტზე ანიშნა.

— ო, ო, ო, ქალბატონ თამარს ვერ ვაწყენინებთ — ათასმა პირმთონემ გაიღვიძა ჩინოვნიკის სულში და მოღუშული სახე ერთბაშად განათდა.

— ახლალა მომაგონდა, მგონი, უბედურთა და გამოსახლების სამინისტროში უნდა გვქონდეს ერთი ადგილი.

— დიახ, დიახ გვაქვს — ახლა მდივანსაც გაახსენდა.

— ბატონო, შოთა! რა უცნაურები ხართ ეს პოეტები, თავიდანვე გეთქვათ, ქალბატონი თამარის ახლობელი რომ იყავით. ახლა მიბრძანდით უბედურთა და გამოსახლების მინისტრთან. უთხარით, ვისგანაც ხართ, მანამდე მეც გადავურეკავ. ბედმა გაგიღიმათ, ჩემო შოთა, კანალიზაციის მიღების დამთვლელთა დეპარტამენტის უფროსის ვაკანსიაა, ხუმრობა ხომ არ გგონიათ?! თქვენისთანა ნიჭიერი პოეტი თუ გაართმევს თავს — ამ სიტყვებზე კიდეც წამოდგა ჩინოვნიკი და კოტიტათითებიანი ხელის გადახვევაც კი მოუნდომა პოეტს. არ გამოუვიდა. პატარა იყო ჩინოვნიკი, პოეტი დიდი. ვერ შეწვდა! შეგულისანებული რუსთაველი უბედურთა და გამოსახლების სამინისტროში მივიდა.

— საშვი და მოწმობა წარმოადგინე! — უღრიალა უნიფორმიანმა „სეკურიტიმ“.

— რისი მოწმობა? — გულწრფელად გაიკვირვა შოთამ.

— რომ უბედური ხართ!

შოთამ კი გაიფიქრა, ქართველს უბედურის მოწმობა რად უნდაო, მაგრამ თქმით მხოლოდ ეს უპასუხა:

— მე პოეტი ვარ!

— აფხაზეთიდან ხარ თუ სამაჩაბლოდან?

— მესხი ვარ.

— აბა, რა გინდათ უბედურთა სამინისტროში? უბედური რომც იყოთ, ბინები არ გვაქვს, რომ ჩაგასახლოთ და მერე გამოგასახლოთ, სამუშაოთი ვერ დაგაკმაყოფილებთ, ასლარიან დახმარებას კი მაშინ მიიღებთ, როცა გარდაიცვლებით. მომაკვდავს არ გავხარო, რომც გავდეთ — ჩვენ რა უნდა ვქნათ? ჰოდა, მიბრძანდით, — დამაჯერებლად წარმოთქვა „სეკურიტიმ“, გაზეპირებულივით.

— მინისტრს მინდა შევხვდე, — აღელდა პოეტი.

„ბიჭოს!“ — გაიფიქრა დამცველმა თუ დაცვამ (აი, უბედური ხალხის შემოსევისგან რომ იცავს ხოლმე მინისტრებს), თქმით კი ეს თქვა:

— ამხელა პოეტმა კაცმა არ იცით, რომ უბედურთა მინისტრი უბედურებს არ ხვდება?!

— შთამბეჭდავია! — თქვა პოეტმა და ბედნიერება-უბედურებაზე ფიქრმა შორს გაიტაცა...

— ზოოპარკშია, — მოესმა მოულოდნელად.

— რა ბრძანეთ?

— ზოოპარკშია ახლა ჩვენი მინისტრი, პატარა უბედურები ჰყავს წაყვანილი. არ უნდა მეთქვა, მაგრამ კარგი ტიპი ჩანხარ, გაიქეცი და მიუსწრებ — მეგობრულად წაუჯიკა დაცვის ბიჭმა რუსთაველს.

ზოოპარკთან პოლიციის ჯეოსელნომერა მანქანები მრავლად იდგნენ. ჭიშკართან მწყერზე დაგეშილი მიმინოსმზერიანი დაცვის ბიჭები შექუჩებულებდნენ. წამყვანი ტელეკომპანიების „ბოსტან-ქალაქი 2“-სა და „მთვარის“ ჟურნალისტები, ზოგი იღებდა და ზოგიც ეწეოდა. პოეტი მიხვდა, რომ ახლოს ვერ მივიდოდა მინისტრთან და ნაცნობ ოპერატორს ვიდეოკამერაში ჩაჭყეტის ნებართვა სთხოვა. ობიექტივში გამოჩნდნენ, დროებით გაღიმებული პატარა უბედურები, რომელთაც წინ ექსკურსიამძღოლივით მიუძღოდათ მინისტრი. პოეტი მიხვდა — წინასწარ ჩვენო კამპანია ეშხში შესულიყო.

— გაიგე? შენი მეგობარი, ქალბატონი თამარი ეს წუთია მოხსნეს, — მიახალა ნაცნობმა ოპერატორმა „ბოსტანქალაქი 2“-დან.

იმედის ერთადერთი ნათელი ყვაილი ხელში ჩააჭკნა და ჩააკვდა. მიხვდა, რომ მინისტრთან მიჭრას აზრი არ ჰქონდა. მიხვდა, რომ მის „ვეფხისტყაოსანს“ წელსაც არ ეწერა გამოცემა. მობილურის წკრიალმა გამოარკვია. მესიჯად წოდებული შეტყობინება მიიღო: „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენეო“, — წერდა ნესტანის პროტოტიპი.

— თუ ღმერთი გწამს... — გაიფიქრა მოშიებული პოეტმა, რომელსაც ხატაელებთან შებმის არაქათი უმოწყალოდ გამოსცლოდა.

მეორე მესიჯმაც არ დააყოვნა: „საქართველოს საგადასახლო ინსპექცია გატყობინებთ, რომ მეორე წელია არ იხდით კანონით გათვალისწინებულ გადასახადს, დედაქალაქის ჰაერის მოხმარებასთან დაკავშირებით. რისი გათვალისწინებითაც, დღეიდან დაყადაღდება თქვენი პირადი ქონება...“ მეტის წაკითხვა ვერ შეძლო...

— დამაბრუნეთ ჩემს საქართველოში! დამიბრუნეთ ჩემი საქართველო! — აყვირდა რუსთაველი, მაგრამ „მაკლონაღდისის“ წინ გაქვავებულის ხმა არავის ესმოდა.

პატარა აიშე

ქღვინება მათ, ვისაც სურს, გადაკვეთოს ჰორიზონტი...

ამ სამყაროში უცხო ვარ და მარტო. არავის გაუკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღესაც დავიკარგები. არავინ მომიკითხავს. ამიტომაც ბოლომდე შევსვი შარბათით სავსე ფიალა და მივყვი გულის წადილს, იღუმალ ხმას. მარტოობით მობეზრებულ, დაღლილ სულს სწადა გაქცევა რეალობიდან და აი, მიეცა შანსი. დასაკარგი უკვე არაფერია, უკან-დასახევი გზა მოჭრილია. წინ კი ხანგრძლივი და უსასრულო მოგზაურობაა. მშვიდობით, რეალობაზე!

შარბათის რეაქცია სახეზეა. თავბრუ მეხვევა, თითქოს გაორებას ვგრძნობ. ნელ-ნელა ვკარგავ რეალობის შეგრძნებას, გული ამოვარდნაზეა; ვგრძნობ, როგორ მიედინება ძარღვებში სისხლი. მავიწყდება აწმყო. აი, შევდივარ ლაბირინთში, თუმცა ვიცი, რომ ველარასოდეს დავბრუნდები უკან. უკვე აღარაფრის მეშინია. რაც აქამდე მაღიზიანებდა, სადღაც გაქრა, სივრცეში დაიკარგა.

ვხედავ, ვიღაცა ხარაჩოებზე ღვას. დამაინტერესა, რას ამენებდნენ. ცოტა ახლოს მივედი და ჩემ წინ აღიმართა მრგვალგუმბათიანი ულამაზესი კონსტრუქცია ღრმად შეჭრილი სარკმლებიანი თაღით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გვერდებზე ორი პატარა შენობა აქვს დამატებული. თაღის წინ გამოწეული სვეტების მსგავსი ორი კედელია. სადღაც უკვე მინახავს, მაგრამ ვერ ვიხსენებ, სად. უცნაური რამ არის გონება. შეუცნობელია მისი სიღრმეები. არავინ იცის, როდის რა ამოტივტივდება. აღარაფერი მახსოვს. ნეტავ ვინ ვარ? რას ვაკეთებ აქ? თითქოს ხალხში ვტრიალებ, მაგრამ ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ვერ მხედავენ, ვერ აღმიქვამენ. თითქოს მე მათთან არ ვარ, მათ არ ვეკუთვნი. უცებ ისევ რაღაც დატრიალდება ჩემ თვალწინ და დიდი სიჩქარით მიმაქროლებს. მესმის საშინელი ყიჟინის, ადამიანთა მოთქმისა და ტირილის

ხმა. ხალხი გარბის სადღაც. ნეტავ რა ხდება? მეც გადავწყვიტე, გავყოლოდი. ქალაქს ცეცხლი უკივია, ჩემ თვალწინ ქალები და ბავშვები ნაფოტებივით ეხეთქებიან მიწას, რომელიც ნელ-ნელა სისხლით იჟღინთება და უცნაური ფერით იღებება. ჩემ გვერდით მამაკაცის ბაგეებს აღმოხდათ: „ქალაქი დაეცა“.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს მე არ მეხება, არ მაღელვებს. ნუთუ ასეთი ინდიფერენტულობა უცნაური არ არის? უკვე მომბეზრდა უემოციობა, სიცოცხლე. მართლა ასეთი ვიყავი?

ისევ გაორება, უცნაური გადაადგილება გაურკვეველი მიმართულებით. შეწყვეტილი ხმები, შეჩერებული კადრები, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქცეული ისტორიები, ცხენების ფლოკების ხმაური, ყიჟინი, ჰაერში გაელვებული ხმლები... შემდეგ კი სიწყნარე, თითქოს ყველაფერი დასრულდა.

რა მშვიდია მზეზე მოელვარე ზღვა... ზევით, ცაში მერცხლები დაფრინავენ. ნეტავ საიდან მოდიან? თითქოს რაღაც მახსენდება, რაღაც იკვეთება ჩემს მესხიერებაში. გამიგონია, რომ მერცხლები თავიანთი სამშობლოდან თბილ ქვეყნებში მიფრინავენ; მერე კი, როცა გამოიზამთრებენ, ისევ უკან ბრუნდებიან. ნეტავ როგორ ხვდებიან, სად არის მათი სამშობლო?

ჰორიზონტზე გემი გამოჩნდა. უცებ ჩემ გარშემო ხალხი გაჩნდა და ხმაური დაიწყო. წამში ეს ადგილი უამრავი რჯულისა თუ სხვადასხვა კანის ფერის ადამიანებით გაივსო. მათში გავერიე. თვალები ამიჭრელდა, თრიაქის სუნმა გამაბრუა. ამ დროს ვიღაცამ დაიყვირა: „Geldiler, haydi gidelim“. უცნაურია, მაგრამ საიდანღაც მეცნო ეს სიტყვები. მეც გაქცეული ადამიანების მიმართულებით წავედი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან მინდოდა იქითკენ წასვლა. რაღაც მეწეოდა, ის, რაც ჩემს თითქოსდა



დავიწყებულ წარსულთან იყო დაკავშირებული.

გემმა ნაპირს მოაღწია. ღუზა ჩაუშვეს და ხის ღიდი ნაჭერი ნაპირს მიაგდეს. გემიდან გადმოვიდნენ ჩალმინი, განიერმარვლიანი კაცები, სქელ ქამრებში ჩარჭობილი მოლუნული ხმლებით. მათ გადმოჰყვნენ ბორკილდადებული, წელზევით შიშველი მამაკაცები, ფეხშიშველა პატარა ბავშვები და გრძელი კაბებით შემოსილი ქალები. ხელფენშეკრულები მაშინვე ბაზარში შეიყვანეს და დაიწყო გაცხოველებული ვაჭრობა. შემზარა ამ სანახაობამ. გაქრა სიცივე, რომელსაც მათ მიმართ ვგრძნობდი, თითქოს მეხსიერება დამიბრუნდა, ემოციებმა აიწყვიტეს. ცივმა ოფლმა დამასხა.

ჩემი მზერა ერთმა ადგილმა მიიპყრო. კუთხეში დაღლილობისა და წყურვილისაგან გათანგული პატარა გოგო იდგა, ალბათ შვიდი წლის იქნებოდა. ლამაზი სახის ნაკვთები, მაღალი შუბლი, თეთრი სახის ფერი, წელამდე თავთუხისფერი თმები, თაფლისფერი, სევდიანი თვალები, აწეული წარბები. აპრენილი წამწამები ცრემლებს დაესველებინა. როგორ მინდოდა, მივსულიყავი, ჩამეხუტებინა, მოფერებოდი და მენუგეშებინა; მაგრამ იმ მაცდურმა ძალამ, რომელმაც საუკუნეთა ლაბირინთში შემიტყუა, არ მომცა საშუალება, მივახლოებოდი; შემახსენა, რომ მე მხოლოდ დროში მოგზაური დერვიში ვიყავი. მივხვდი, რომ მოვტყუვდი, მაგრამ სინანული უკვე გვიან იყო. რა ვიცოდი, რომ ეს ჩემი ტანჯვის მხოლოდ დასასრულის დასაწყისი იყო.

ძალიან გამიტაცა პატარამ. რაღაც უცნაურ ნათესაობას ვგრძნობდი მის მიმართ. სევდიან თვალებში თითქოს ჩემს წარსულს ვკითხულობდი. ნელ-ნელა მახსენდებოდა, ვინ ვიყავი, რას ვაკეთებდი აქ. მივხვდი, რას მახსენებდნენ მერცხლები და საიდან მოფრინავდნენ. გულში გაიღვიძა უცნაურმა გრძობამ, რომელიც მე და იმ პატარას ვაკავშირებდა.

უცბად ვილაცამ იყვირა: „ამ ბავშვში რამდენს გადამიხდი?“ პატარა თითქოს მიხვდა, რომ ეს კითხვა მას ეხებოდა. უხეშმა ხელმა იგი წინ გამოათრია, შეაჯანჯლარა. ცრემლებმა გადმოხეთქეს მისი თვალებიდან. ალბათ, როგორ უნდოდა დედა, მისი აღერსი. უცნობმა მას ტკბილეული შესთავაზა, თავზე ხელი გადაუსვა, ცრემლები მოსწმინდა და მსახურებს უბრძანა, წაეყვანათ.

სალამო ხანი იყო. ქალაქის მზე ჰორიზონტს ეფარებოდა. სადღაც შორს ისმოდა მოლას ხმა. პატარას ეს ყოველივე ეუცნაურა. მისთვის ყველაფერი ძალიან უჩვეულო იყო. ლოგინიდან წამოდგა და გარშემო მიმოიხედა. მაგიდაზე ტკბილეული დაინახა, თუმცა ისე დაღლილიყო, რომ ჭამის თავიც კი არ ჰქონდა. სარკმლისათვის რკინის გისოსები დაეღოთ და სქელი ფარდა ჩამოეფარებინათ, რომ გარეშეს არ დაენახა, რა ხდებოდა შიგნით. აქ ცხოვრება ჰგავდა ციხეს, სიკვდილს სიკვდილამდე, სიცოცხლეშივე დასამარებას. უეცრად ზღვის ხმაური მოესმა. მიხვდა, რომ ის სადღაც ახლოს იყო. პატარა გაიბრუნა,

სარკმელს მიეყრდნო და ყური დაუგდო ზღვის ხმაურს, ესმოდა, როგორ ეხეთქებოდნენ ტალღები ნაპირს. თითქოს შორეული სამშობლოდან მოჰქონდათ ამბავი. პატარას იქვე ჩაეძინა. მისი ფიქრი სადღაც შორს წავიდა, გაარღვია გისოსები, სივრცე და გაჰყვა ხმას, რომელიც მას თავისკენ უხმობდა:

დიდ ეზოში ერთსართულიანი ლამაზი ოდა იდგა მაღალი კიბეებით. პატარამ აირბინა და ოთახში შეიჭრა, გულამოვარდნილი ბუხართან მჯდარ დედას ჩაეხუტა. როგორი სითბო იგრძნო! ფიქრობდა, რომ ის, რაც მანამდე ნახა – გემი, ბაზარი, გისოსებიანი სარკმელი – მხოლოდ საშინელი კოშმარი იყო. შვევით ამოისუნთქა, დედას გულზე მიაღო თავი, დედამ თავზე გადაუსვა ხელი, ეამბორა მის მაღალ შუბლს, ჩაუკოცნა აცრემლებული თვალები. ასე დიდხანს იჯდა დედა-შვილი. პატარას არ უნდოდა მისი გაშვება, ეშინოდა, ისევ არ მოეტაცებინათ.

ზღვის ჰაერმა ოთახში შემოაღწია. თოლიების ხმამ და გაუგებარ ენაზე საუბარმა გამოაღვიძეს პატარა. მას ვერ გაეგო, რომელი იყო რეალობა – დედის ტკბილი ამბორი თუ ეს გაურკვეველი ფუსფუსი. ამ დროს ვილაცამ შემოაღო კარი. გრძელ, შავ ძაძებში ჩაცმული ქალი მიუახლოვდა და დიდ სინზე ერბოში გაჟღენთილი ფლავი მიუტანა. ქალმა უცნაურად მიმართა: – „Küçük Ayşe“. – და ანიშნა, რომ შეეჭამა.

„პატარა აიშე“ ხშირად გამოდიოდა ზღვის ნაპირზე, ჩამოჯდებოდა და გასცქეროდა ჰორიზონტს. წვრილად გავლებული ხაზი მისთვის ზღვის დასასრულს ნიშნავდა, იქით ხომ მისი სახლი იყო! სიზმრებში აიშე ხშირად გადაუფრენდა ხოლმე ჰორიზონტს და აღწევდა იქ, სადაც მერცხლები ბრუნდებოდნენ. როგორ ნატრობდა მათ ადგილზე ყოფნას, ნეტავ შესძლებოდა, შეესხა ფრთები და...

აი, უკვე მეხუთეჯერ აჭყვივდნენ მის სარკმელთან მერცხლები. მათ ყოველ გადაფრენას პატარა სულმოუთქმელად ელოდა. სიამოვნებდა ნამცეცებით გამახანძმლება, მეგობრებთან საუბარი, წარსულიდან შემორჩენილი ამბების მოყოლა. მოდიოდა დრო, როცა თავისუფალი მერცხლები შინ ბრუნდებოდნენ, ბუდეებს იკეთებდნენ და კვერცხებს დებდნენ. აი, ახლაც დადგა გამოშვებულების დრო. აიშე ნაპირისკენ გაიქცა, ცაზე აიხედა და მერცხლებს მოჰკრა თვალი, ისინი ჰორიზონტისკენ მიფრინავდნენ.

აიშეს ბოლო დროს დასჩემდა ციება, ოფლიანობა, საშინელი ხველება, გაუთავებელი სიცხე და სისუსტე. ღამე ხშირად ბორგავდა, კოშმარები ესინძმებოდა. ერთი სიზმარი ჰქონდა აკვიატებული და მოსვენებას უკარგავდა: სისხლისფერ ზღვაში მიცურავს, ზევით კი მერცხლები მიფრინავენ. მას ძალა აღარ ჰყოფნის, ზღვა კი უფრო და უფრო წითლდება. აიშე ჰორიზონტისკენ მიილტვის. აი, სადაცაა, მიაღწევს მას, მაგრამ ზღვაზე გავლებული წვრილი ხაზი იცვლის ადგილს და წინ, ისევ შორს ინაცვლებს. პატარა იღლება, აღარ შეუძლია ცურვა,

ძალა გამოეღია. მერცხლები კი ჰორიზონტს კვეთენ.

აიშე საკუთარ ოფლში ცურავს. ძაბებში ჩაცმული ქალი გავარვარებულ შუბლზე ცივ ნაჭერს ადებს. უჭირს სუნთქვა პატარას. ხველება უფრო და უფრო ძლიერდება და მისი ლამაზი ტუჩები წითელი ფერით იღებება. გვერდით, პატარა მაგიდაზე ყურანი დაუდეს. მეჩეთიდან უხუცესი მოიყვანეს.

პატარა კი ისევ სიზმრებშია. შორიდან ესმის ზარის რეკვა. ბავშვები თამაშს თავს ანებებენ და ზარის ხმის მიმართულებით მირბიან. დიდ, ვრცელ მინდორზე აღმართულია ულამაზესი, პატარა, ერთგუმბათიანი ნაგებობა. უამრავ ადამიანს მოუყვია თავი. ისმის გალობა. პატარა კედელზე მშვენიერ ნახატს დააცქერდა, რომელზედაც მასავით გრძელნაწნავიანი პატარა გოგო იყო გამოსახული, მას ხელში ვაზის ჯვარი ეჭირა. ნეტავ საიდან ეცნობა? გონების სიღრმეებიდან ნელ-ნელა ამოტივტივდა მისი სახელი, დედის ნაამბობი ერთ პატარა კაპადოკიელ გოგონაზე.

აიშეს გააჟრჟოლა. ცივმა ოფლმა დაასხა. თვალები გაუფართოვდა. პატარამ ხელებით ზეწარი მოქაჩა, ამოახველა და მისი გედივით მოღერებული ყელი სისხლით შეიღება. ქალმა სისხლი მოსწმინდა.

აიშე ბორგავდა... ისევ ზღვა, ისევ მერცხლები და ისევ ჰორიზონტი. კვლავ შედის აღელვებულ ზღვაში, ახლა აუცილებლად უნდა გადაცუროს. ეს მისი ბოლო შანსია. უნდა მიაღწიოს ჰორიზონტს, რადაც არ უნდა დაუჯდეს. თუნდაც ამ უკანასკნელმა ათასჯერ წაიწიოს წინ, ის მაინც არ შეწყვეტს ცურვას. მას სულ აინტერესებდა, როგორ პოულობდნენ მერცხლები თავიანთ ბუდეებს. შეძლებს კი ის მშობლიური სახლის მიგნებას მათსავით? მაგრამ აღარ ეშინია, რადგანაც ეს ჭკვიანი ფრინველები მას გზას უჩვენებენ.

აიშემ ფეხები დაჭიმა, გულმა საშინლად დაუწყო ძგერა. რაც უფრო ჩქარა მიცურავდა, მით უფრო უფანცქალებდა გული; გრძნობდა, როგორ მიედინებოდა სისხლი ძარღვებში, აბობოქრებული ტალღები მას ჰორიზონტისკენ არ უშვებდნენ. ძალა ეცლება. ფილტვები წყლით ევსება. უცბად მერცხლების ჭყვივლი მოესმა, ამოყვინთა და მათ ხმას გაჰყვა. აი ჰორიზონტიც. აიშეს იმედი აქვს, რომ ის აღარ შეიცვლის ადგილს, სადაცაა, მიაღწევს და გადაკვეთს.

პატარამ ერთი გაიბრძოლა. თვალის გუგები ერთ წერტილს მიაცქერდნენ. წამოიწია, ხელები გაასავსავა ჰაერში, თითქოს რაღაცას უნდა ჩაეჭიდოს.

წინ ისევ ჰორიზონტია, რომელიც აღარ იცვლის ადგილს. და მან შეძლო, პატარა მეგობრებთან ერთად გაერღვია, გადაეკვეთა ზღვაზე გავლებული წვრილი ხაზი.

აიშე უსიცოცხლოდ დაენარცხა ლოგინზე.

ისტორიის ლაბირინთში დაკარგული დავექებ

გასასვლელს. შარბათს თავისი მიმზიდველობა დაეკარგა. მე ხომ დავთანხმდი, რომ თუ შევიდოდი ლაბირინთში, იქ სამუდამოდ დავრჩებოდი. ნუთუ ვეღარასოდეს დავბრუნდები უკან, ვერ გავარღვევ საუკუნეთა ჰორიზონტს? მშურს აიშესი. ის ერთ დროს მერცხლების ბედს ნატრობდა. ახლა მე ვნატრობ, რომ მასავით შევძლო და შევებრძოლო მოჩვენებებს ბნელ ლაბირინთში.

ვებრძვით ტალღებს, ზოგჯერ წვრილად გავლებულ ხაზთან მიახლოებისას გვეონია, რომ უკვე მივალწივით, მაგრამ ის უცბად ქრება და ისევ შორს ინაცვლებს. ვფიქრობთ, რომ ვერასოდეს მივალწევთ მას, ვერ ჩავეჭიდებით, თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, როგორ და როდის გადაკვეთთ მას, სიზმარსა თუ ცხადში, უკანასკნელად ხომ ყველა მაინც საკუთარი ჰორიზონტისკენ მიცურავს, მის იქით ხომ სამშობლოა, მედეას ქვეყანა!

ისევ ტრიალებს ჩემ გარშემო ყველაფერი. ისტორიის მოვლენები, საუკუნეები ერთმანეთს ენაცვლებიან. აქ არ არსებობს დრო და სივრცე.

უცნაურმა ხმამ გამომავლიდა. ნუთუ ეს სიზმარი იყო?! დროში ხეტიალი, საუკუნეთა ლაბირინთი, აიშე – ეს ყოველივე დამეისზმრა? ყველაფერი ხომ ასე ცხადი იყო! სასწრაფოდ ჩავიცვი და ქალაქში ზღვის ნაპირებს გაუყევი.

იმდენი ვიარე, რომ საკმაოდ გავცდი ცენტრს. უკვე საღამო ხანი იყო, მზე ჰორიზონტს მიახლოებოდა. მართლაც რა უცნაურია! უყურებ და გვინია, რომ მის იქით ზღვის დასასრულია. შორს მოჩანდა ტურისტებით სავსე, ძველებური გემი, რომლის ანძაზე ჩამწკრივებულიყვნენ მერცხლები. გამელმია, მოვტრიალდი და დაუყევი დაღმართს. ჩემი ყურადღება პატარა სახლმა მიიქცია. ეტყობოდა, რომ ძალიან ძველი იყო. მიტოვებული, ნახევრად დანგრეული, ჩამოშლილი სახურავით შიშს მგვრიდა. მართლაც საშინელია ნასახლარი. გავბედე და შევედი. ნესტის სუნი მეცა. პატარა მაგიდა, ძველი კარადა დაძვრეული სარკით. თვალში მეცა გისოსებიანი სარკმელი. უცნაური გრძნობა დამეუფლა. თითქოს აქ უკვე ვიყავი. შეუძლებელია! საკუთარი ემოციებით შემინებული გარეთ გამოვვარდი. სუფთა ჰაერი მჭირდებოდა. უკანმოუხედავად გავიქეცი. საკმაოდ დიდხანს ვირბინე. ქალაქს ლამპიონების ცხოვრება დაეწყო: განათებული ქუჩები, ხიდები, აია სოფია, მეჩეთები, ჩამწკრივებული ბარები, აღმოსავლური სურნელება – ყველაფერი ეს არაჩვეულებრივად მიმზიდველი და საუცხოოა. ვერც კი მივხვდი, ისე აღმოვჩნდი სასაფლაოზე, მხოლოდ მისი გავლით შეიძლებოდა მთავარ ქუჩაზე გასვლა. შიშმა შემიპყრო. ჩემ თვალწინ აღიმართა ძველი საფლავების პატარა ბოძები. უეცრად ჩემი ყურადღება ერთმა საფლავმა მიიპყრო. ძლივს გავარჩიე წარწერა. ჯიბიდან ტელეფონი ამოვიღე და გავანათე, დამარცვლით ამოვიკითხე სიტყვები – „Küçük Ayşe“.

## R. RATHKE



1700 წელს ბარტოლომეო კრისტოფორიმ გადაწყვიტა, გაეუმჯობესებინა კლავესინის ჟღერადობა, რომელიც, მისი აზრით, საკმაოდ მონოტონური იყო. ორი წლის მცდელობის შემდეგ, 1702 წელს, ინსტრუმენტი ჩაქუჩების რთული კომბინაციით აღჭურვა, რომლის მეშვეობითაც მისი აჟღერება შეიძლებოდა როგორც ხმამაღლა, ასევე ხმადაბლა, რაც დამოკიდებული იყო კლავიშებზე თითების დაჭერის სიძლიერეზე. თავის „შვილობილს“ ოსტატმა „ფორტე დე პიანო“ უწოდა. პირველი პიანინოს გამოჩენისას ვინ იფიქრებდა, რომ მუსიკის სამყაროში მოხდა ნამდვილი რევოლუცია.

გენიალური იოჰან სებასტიან ბახი მას უაზრო გამოგონებად მიიჩნევდა და ამბობდა – ეს ნივთი გამოუსადეგარია ჩემი ნაწარმოებების შესასრულებლად, მაგრამ, მიუხედავად ათვალწუნებისა, მან მაინც შეიძინა პიანინო და თავისი სახლის დიდ დარბაზში დადგა.

ახალი ინსტრუმენტი მისმა ვაჟმა – ქრისტიან-მაც იყიდა და თავის მეგობარს, ვოლფგანგ ამადეუ მოცარტსაც შეაძენინა – მოცარტს ანდამატივით იზიდავდა ყველაფერი, რაც კი მუსიკალურ ხმას გამოსცემდა.

XVIII საუკუნის ბოლოს პიანინო კიდევ უფრო დახვეწა მეორე იტალიელმა ოსტატმა – მუციო კლემენტიმ. იმ დროისათვის ბევრმა მუსიკოსმა შეაფასა პიანინოს შესაძლებლობა. პირველი იყო ლუდვიგ ვან ბეთოვენის, თუმცა ნამდვილ „პიტად ფორტეპიანო იქცა XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა მის კლავიატურას ფრედერიკ შოპენი მიუჯდა.

### მარია ალტენა-ბერგ

ჩემი ოთახის კუთხეში მდგარი შავი პიანინო 102 წლისაა. ვარყალით დასვრილი ჟანგისფერი შანდლები გრაციას ჰმატებენ მას. ოქროსფერი ორნამენტები ანათებს შავ ფონზე. სპილოსძელისფერ კლავიშებს ეტყობათ სიძველე, აქა-იქ სიყვითლე შეეპარათ და ბოლოებში ასძვრათ კიდევაც. ფეხის ძლიერი მოძრაობისგან პედალი ოხვრავს და ჭრიალებს. „ფორტე დე პიანოს“ გულში რომ ჩაიხედო, დაინახავ ლამაზ, ოქროსფერ გერბს, შუაში ორი ლომია გამოსახული, გარშემო სისხლისფერი „დრაპიროვკა“ ამშვენებს. ამ გერბში შერწყმულია სამართლიანობა, სიდიადე, ბრწყინვალეობა, ერთგულება, სიწმინდე, კეთილშობილება, რწმენა, მოწყალება, თავმდაბლობა, სითბო, სიყვარული, გულუხვობა, სიმამაცე და გამბედაობა,

რაც ნამდვილად ახასიათებს ამ პიანინოს. გერბის შუაში მისი ინიციალებია გამოსახული. მოშორებით კი ცის ფრად ამოტვიფრულია მისი სახელი R.RATHKE და დაბადების თარიღია მითითებული. გვერდზე უკვე გაყვითლებული ფურცელია დამაგრებული, სადაც მის მიღწევებზეა საუბარი. ოქროსფერ რეზონანსულ დეკაზე დაჭიმულ სიმებზე ჩაქუჩის დარტყმით არაამქვეყნიურ ბგერას, ხმას გამოსცემს.

მოდრაობა პირველი – სკამზე მოხერხებულად დაჯდომა.

მოდრაობა მეორე – თითების შეხება.

მოდრაობა მესამე – ღრმად ჩასუნთქვა და ამოსუნთქვისას ნოტების შეგრძნება და ფორტეპიანოს შესისხლხორცება.

როცა ვუკრავ, მგონია, რომ ვესაუბრები, ვუკრავ ისეთ ნაწარმოებებს, რომ ჩემი ხასიათი დავანახვო და ვუსმენ მას, რომ გავიგო, რას გრძნობს ის. ახლა მივხვდი, რა უყურადღებო ვყოფილვარ, ამდენი წლის განმავლობაში პირველად დაფიქრდი, რას გრძნობს ის. დაკვირვებას წარმოვიდგენ, რომ ჩემს წინ შავ სამოსში ჩაცმული მაღალი, სიმპათიური, განათებული არისტოკრატი, რიჩარდი დგას. მე შავი კორსეტი, წითელი გრძელი ქვედაბოლო მაცვია და ხელში მისი ნაჩუქარი გრძნობები მიჭირავს. ერთმანეთს თვალეში ვუყურებთ და უსიტყვოდ ვესაუბრებით. რამდენი ხანი ვგაქვს ასე გატარებული... არავინ მყვარებია ისე, როგორც მიყვარს რიჩარდი...

### რიჩარდ რატკე

რა სასიამოვნოა, როდესაც მისი თითები მეხება, ყოველთვის მოწესრიგებული ფრჩხილები, რომელიც ამშვენებს მუდამ, აქა-იქ მელნით ან ზეთის საღბავით დასვრილ გრძელ თითებს. მის ყოველ შეხებაზე მე ვგრძნობ მის ემოციებს, მის გულს და სულს, რომელიც მაცოცხლებს და მავიწყებს ჩემს წლოვანებას. მასხოვს ერთი პიანისტი და კომპოზიტორი

## უცნაური შეგრძნება

სოფია, გვარად მენტერი. ისიც ასე მშვენივრად უკრავდა და ქმნიდა შედეგებს, რომლებსაც ახლაც ეს მწვანეთვალეა გოგონა ასრულებს. ჯერ პოლკები, მარშები და ტოკატები დაუკრა, შემდეგ კი სევდიანი და უძლიერესი ნაწარმოებები კელიზე.

უსიტყვო სიმღერა, შოპენის პრელუდია №4, დოგის ვალსი და ბოლოს, ვივალდის ოთხი სეზონიდან – ზამთარი ისე ოსტატურად შეასრულა, რომ თვალწინ წარმომიდაგა გათეთრებული გარემო, ქარბუქი, როგორ მოწყდა ფიფქები ღრუბელს, ჰაერში ნაზად ფარფატებდა, სანამ მის თმაზე დაეცა. ვალსის დაკვრის დროს კი ოცნებებმა გამიტაცეს, წარმოვიდგინე დიდი დარბაზი, ოქროსფერი, მძიმე ატლასის ფარდებით მორთული, შუაში უზარმაზარი ჭალი, ასობით სანთლის სინათლე გვინათებდა გზას. ჩემ წინ იდგა ლამაზი გოგონა ზურმუხტისფერ კაბაში, ამ ჩაცმულობამ თვალეები გაუნათა, ვერ ვაცილებ თვალს მის ლავიწებს, რომლებზეც წაბლისფერი ლოკონი ნაზად დაესვენა. ხელს მადებს მხარზე, მე წელზე შევეხე, მთელ ტანში სითბომ დამიარა და რამდენიმე წამში ჩვენ გავხდით – „ერთი სხეულის შემადგენელი ცალკეული ორგანოები. დაე, გვიყვარდეს ერთმანეთი!“ ვტრიალებდით გრძნობების ქარბუქში, დავცურავდით სიყვარულის ტალღებში და ვნების წვიმაში ჩვენ ცვიკავდით „ვალსს“...

ჩემო მარია, არ შეჩერდე, არ მომაშორო შენი თითები, შენი სული, არ ადგე, გთხოვ, არ დამტოვო, არ დამივიწყო, მარია. შენ ხომ ჩემთვის ხარ შექმნილი, მარია... შენი მონა-მორჩილი რიჩარდი მუდამ დაგელოდება, მარია შემპირდი, რომ კიდევ ვიცეკვებთ „ვალსს“... მარია...

### მარია ალტენა-ბერგ

დღეს განსაკუთრებული დღე იყო, განსაკუთრებული რიჩარდი. მსურდა მთელი ცხოვრება მეყურებინა მის თვალებში. რა მალე გასულა დრო, საათს დავხედე და გაკვირვებისგან დაკვრაც კი შევწყვიტე. ექვსი საათია, რაც მე და რიჩარდმა სხვა სამყაროში გადავინაცვლეთ, სამყაროში, საიდანაც დაბრუნება არ მსურდა. ამ დროს მომესმა თითქოს ჩემთვის ნაცნობი, მაგრამ ამავედროულად უცნაური ხმა, ჩემო მარია, არ შეჩერდე, არ ადგე, გთხოვ, ყველაზე გასაკვირი კი იყო ის, რომ სახლში მე ვიყავი მარტო... შიშის შეგრძნებამ მთელ ტანში დამიარა, შევხედე რიჩარდს და მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

მოძრაობა პირველი – ღრმად ჩასუნთქვა, თვალებში ჩახედვა;

მოძრაობა მეორე – ჩემი ხელი რიჩარდის მხარზე, რიჩარდის ხელი ჩემს წელზე;

მოძრაობა მესამე – სამყარო სხვა... „ვალსი“ იგივე...

კვანტური გადასვლა. მატერია. სინათლე. განზომილება. სულიერი განვითარება.

ჩვენ ვცხოვრობთ სხვა განზომილებაში. ვინც ეწინააღმდეგება, კვდება. მე მივყვები ნაკადს. მე არ მოვკვდები. გამოძევები, არ ჩამომრჩე, არ მინდა დაგკარგო, არ მინდა, სიცოცხლის ბოლომდე შენს საფლავთან წოლა, მინდა სიცოცხლის ბოლომდე შენს საწოლში წოლა. ჩვენ ძველი წესებით ვცდილობთ ვიცხოვროთ. მოდი, ახალი წესები დავწეროთ, ჩვენი წესები, ვიცხოვროთ ახალ სამყაროში, სადაც ორივე ბედნიერები ვიქნებით. აი, ასე უეცრად, ერთ ღამეში შევცვალეთ ყველაფერი ჩვენ გარშემო. სიყვარული, სითბო და ერთგულება ვიშვილოთ და გავუფრთხილდეთ. უზენაეს მატერიებში, ბიოსფეროში იყო შავი ხვრელი, რომელიც ჩვენმა გალაქტიკამ გაიარა და ახალ დონეზე, ახალ განზომილებაში გადაინაცვლა. დროა, ჩვენც გადავინაცვლოთ. ნუღარ გვძინავს!! გავახილოთ გონება!!

ჩვენ უკვე სხვა განზომილებაში ვართ!! ვიცვი, გეშინია, გინდა დაივიწყო, დამალო ყველაფერი და გამოსავალი ისაა, რომ გაალო კარები, გაიარო, კარები გაიხურო და აღარ დაბრუნდე უკან. დაინახავ ახალ ცხოვრებას, სინათლეს, „მაგნიტარს“, მოციმციმე ვარსკვლავს, რომელიც გზას გაგინათებს. იცოდე სულის განვითარებისთვის, ზუსტად ეს კვანტური გადასვლაა საჭირო, ხელი მომიდე და არ გამიშვა. მინდა, რომ ეს გზა ერთად გავიაროთ, ეს უსასრულო გზა და დრო. ჩვეულებრივად ან ესმით ან ხედავენ და ჩვენ მინდა, რომ ვგრძნობდეთ. მაგნიტარი ცისფრად ანათებს და გვეძახის, „ვალსის“ რიტმზე მინდა, რომ გალაქტიკის ცენტრში მოვხვდეთ. გთხოვ, იფიქრე იქამდე, სანამ რამეს გაიფიქრებ. რასაც შეეჩვიე ბავშვობიდან, დაივიწყე! ყველაფერი ახალი, ყველაფერი განუმეორებელი, ვცხოვრობთ დღეს, ვცხოვრობთ ამ წამს, ჩვენ მეტი არავინ და არაფერი არ გვჭირდება. ყველა მხრიდან გხედავ და არ ვაპირებ განსვას, უბრალოდ გათვალისწინებ, როგორც ინფორმაციის წყაროს და ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. ტვინი იცვლება, ჩვენ უნდა განვაგვიტაროთ ახალი მგრძნობელობა, ჩვენ ვართ „ინსაიდერები“, აქ და ახლა. ასეთი ხანმოკლე სამყარო, სადაც ანგელოზებსაც უნდა უფრთხილდე, დაივიწყოთ და გადავიდეთ ახალ განზომილებაში. გამოძევები?

სონეტი 4

წმინდა ხარ, წმინდა, ვით მთის კალთას  
 წყარო ანკარა,  
 არ მიწვდომია ჯერ რომ ქვეყნის ბინძური ხელი,  
 შენმა კისკისმა თვალს მოხუჭვა არ მიაკარა,  
 შენმა კეკლუცმა შემაყვარა ღამე ოხერი.

წმინდა ხარ, წმინდა, ვით ზაფხულის  
 ზეცა კრიალა,  
 სპეტაკ თოვლივით პირველად რომ ფაფუკი მოვა,  
 ამნაირ გრძნობას სიყვარული ჰქვია კი არა,  
 უფრო მუდმივი, უფრო წმინდა,  
 ღმერთმა რომ გვთხოვა.

და ვინ გაბედა? ვინ ჩააქრო შენში ლამპარი,  
 ვინ გაგახსენა? ვინ გიბიძგა ტანჯვის დინებას,  
 როგორც პატარას, ვინ მოგისპო  
 წმინდა ზღაპარი,  
 ვინ დაგიმსხვრია ოცნება და მომლოდინება.

არ იღელვო, თუ ფოთლებივით ქრება ოცნება,  
 ყოველ გაზაფხულს ის სიმწვანით  
 კვლავ იმოსება.

სონეტი 5


მოსვლა ამგვარი გაზაფხულის ფეთქვას ვამგვანე,  
 ფერებს ზამთრისას რომ გარდაქმნის  
 სულ სხვა მხარეთი,  
 ვინ იცის, იქნებ მზესაც უნდა თბილი სავანე  
 და შენს თვალებში ჩაესვენა სიელვარეთი.

ასე სიმშვიდე ვინ გიბოძა, ვინ გითავაზა,  
 ნუთუ შენს ხელებს დაავიწყდათ  
 ფრთების მორგება,  
 მე რად მეჩვენა ეგ თვალები, როგორც ავაზად,  
 რომ მიმონებენ და სუსტ მსხვერპლთან  
 უნდათ მოგება.

როგორ სხვაგვება სილამაზით ბედი წამიერ,  
 გადიქცევიან წამად როგორ დრონი ცივები,  
 ნებას თუ დამრთავ დამაბერე მე შენს მაგიერ,  
 თუ დამრთავთ ნებას, მე სიკვდილშიც  
 შეგეცილები.

არაფერია დიდებული უფრო იმაზე,  
 შენ რომ ჩემს გულად გამოგძერწე ღელამიწაზე.

ლევან ქაჩიძე



ე ფ ე მ ე რ ა

სიზმარი მქონდა „მისტერ“,  
 როს თვალს ეღირსა დალლა,  
 წინ მიმიძლოდა ქრისტე  
 და მივდიოდით მაღლა.

უკან რჩებოდა მიწა,  
 ტკბილი ბავშვობის „დელა“,  
 მენანებოდა ვფიცავ,  
 მენანებოდა ყველა.

შორს კაშკაშებდა ცაზედ,  
 მაღლით მოსილი ჯვარი,  
 გული მიწუხდა რაზედ?  
 რის მიმყებოდა ჯავრი?

სიზმარი ვნახე „მისტერ“,  
 ქვებზე ეფინა ბზები,  
 მიმაცლებდა ქრისტე  
 და მივდიოდით ზევით.



ჩემი სალოცავი

მთებს იქეთ პაწაწინა საქართველო,  
ჩემი საფიცარი ჰერეთია,  
მე მისებრ თვალხატულა მთა და მდელი  
არსად არასოდეს შემხვედრია!..

ფერდებზე შეფენილი ტაძრებიდან,  
ანგელოზები რომ ჩამოდიან,  
გვლოცავენ, მერე ისევ მალღებთან,  
ჩვენთან მოსულები სამოთხიდან!..

ჩემი კავკასიის მწვერვალები,  
მზესავით ბრწყინავენ ცის კაბადონზე,  
ღმერთო, მამულის სველ თვალების,  
ნახვას, არ მომასწრო არასოდეს!..



ცხოვრების ირონია

ფიქრებში ჩაკარგულან წლები და მომენტები,  
მაგიჟებს ეგ შენი ირობი ირონია,  
ფიქრები უტყუარი, შენ როგორ მოგენდები,  
ცხოვრება წამხდარია, ცხოვრება მირაჟია..

გულში სევდა მაქვს და გულს აღარ ეხუმრება,  
ისეთი სიცივება, ციმბირი მიმიქარავს,  
აღარც ამ ცივ კედლებში არავინ მეგულება,  
სახეზეც უბრალო ქალური მიმიკა მაქვს..

ასეა, წახვედი და როგორც სხვა პოეტები,  
ღამეებარულ ღლებზე ვიყიდები,  
ვენებში გამიჯდები, მთელს სხეულს მოედები,  
შენი ნამთვრალევი პატარა ღიმილებით...

გახსოვს, რომ ამობდი, ღამეებს გაგითევო,  
სად დაიკარგე და საიდან მოენტები?!  
იქნებ ერთხელ კიდევ ღიმილი გაიმეტო,  
ტყუილს ვერ იტანენ ძვირფასო პოეტები...

ღამდალა ცხოვრების ირობმა ირონიამ,  
ცრემლებით გაიჟღინთა ეული სარეცელი,  
ღაწვებზე შეუმშრალი ცრემლები – მირონია,  
რა ჩემდა ბედად და ჯანდაბად ამეცერი...

ღელა

მოვალ შენამდე,  
უსასრულო სითბოს მოგიტან,  
მოვალ და იებს  
ჩაგექარგავ თმებში ბავშვივით,  
ეს მონატრება  
მექცა, დედი, სევდის მოტივად  
და ძალიან გთხოვ  
ნულარაფერს ნულარ დამიშლი!..

მენატრები და მონატრებამ ფიქრი არია,  
გაგაბრაზე და  
პატიებაც ბევრჯერ ვითხოვე,  
ღლეს შენი გზები  
ჩემთვის ისევ მიუვალაია,  
ვიცი, ღელა რომ  
მეყვარები, სანამ ვიცოცხლებ!..

მოვალ შენამდე  
აპრილში და იებს მოგიტან,  
ნუ გამიწყრები,  
შენი თბილი თვალების მაღლმა,  
დედი მე ახლა  
შენს კალთაში ძილი მომინდა,  
რამდენ ფიქრსა და  
სევდას მაღავს ეგ თბილი კალთა...

## ჭიაფერი მზე

მე დღემდე მიყვარს, ღრუბელ-ღრუბელ,  
მირაჟის ცქერა.

ისევ ბავშვურად, გულუბრყვილოდ,  
ვუჯერებ ზღაპრებს...

ლურჯი ფრინველი არ ჩანს ჯერაც,  
ზღვის მიმოქცევას

უზურგო ქარში მოფარფატე ოცნების ბარტყებს  
ვავედრებ და მზეს ჰორიზონტზე

ჭიაფრად ვანთებ...  
მე დღემდე მიყვარს ღამ-ღამობით

მნათობთა ხომლში  
ხეტიალი და უპასუხოს პასუხის ძებნა...

ღუმს გალაქტიკა და რანდევ  
„ა მოურე“-თან ქოხში,

ან სასახლეში, ან ხის ტოტზე,  
ან სულაც ძნებთან,

განუსაზღვრელი სიმარტოვის ვადით იღება...  
მე დღემდე მიყვარს შენს კლდე გულთან

ლექსების თქეშში  
ედელვაისთა სევდის ვალსით გაბაასება...

ასეთი შლეგი სიყვარული სცოდნიათ ჩვენში  
ქალ-პოეტებს და ნუ გაშინებს ახლა მსგავსება!

...  
მზე ჭიაფერობს!..  
სიყვარული ვიპოვე ღმერთში...

## მ ა ჩ ნ ი ხ ა რ !

*(ანატორი – თვითღამარხული სოფელი  
პირიქითა ხევსურეთში)*

უი, მაჩნიხარ, – უჩურჩულა კაცმა ქალბატონს,  
გავიგონე და გამიცოცხლდა თითქოს პეპერა.

ის მიდიოდა აკლდამისკენ, ალბათ, ანატორს  
დანატოვარი ჯვარს ავედრა და მოეფერა

(მიუკარებლად!) ატირებულ, ახალგაზრდა ცოლს,  
ფარაგას ღილი ააწყვიტა შიშამდგარ მზერამ...

ჯვარგამწყვრალ ვაჟის თვითსამარხის  
ჟამიან საწოლს,

ვაი, რომ ავი განაჩენი შავად ეწერა!..  
– მაჩნიხარ, ჩემო! – უჩურჩულა

კაცმა ქალბატონს,  
თბილისში, თბილად, ხევსურულად

და ამაცრემლა...  
მარიამწმიდის მოსალოცად ავალ ანატორს,

ხატს შევავედრებ, არიდოს ერს ჟამი და წყევლა!

\* (მაჩნიხარ – მიყვარხარ. ხევს.)

## ნანა ქახიანი



## ფ ი ქ რ ი – ა ფ თ ა რ ი

იჩქარე! გესმის ავბედითი ქარის ხარხარი?  
სიკვდილი ასაკს არა გკითხავს –

არ ენაღვლება...  
თუ გუშინ ნუშის ყვავილობამ გულში ხანძარი

აატკარცალა, ხვალ არ იცი, თავნება ვნება  
სად დამარცხდება... ჰმ, დაიჯერე,

ნუთუ, ზღაპარი –  
ცხრა მთის გადაღმა ცხრაკლიტული

რომ გაიღება?  
ღრუბელი ღამეს გააღვიძებს, ღამე – წკვარამი

მწუსხარე წვეთებს დაგაწვიმებს რობაიებად...  
კარგს რას ელოდი – გაგაფითრებს

ფიქრი-აფთარი!  
მარცხნივ თუ მარჯვნივ, სულერთია,

ცრუა ცხოვრება...  
უფალო, იცი, დავიღალე აღმართ-დაღმართით,

გაღმა ნაპირიც უკვე მოჩანს... უახლოვდება  
უკანასკნელი ამოსუნთქვა, როგორც ავღარი

ბოლო სამსჯავროს. უნაპირო იღუმალეზად  
ულევი ცოდვა მიაქვს ლეთას... რჩება საყდარი –

სიყვარული და არჩევანი არადანს ნებად  
უცხადებს შამათს... ელავს სადღაც...

ხელავ აქ არის  
ორი ნაპირი: დაბადება – გარდაცვალება...

ჰო, ვჩქარობ, მესმის ავბედითი ქარის ხარხარი,  
გამარჯვებული სიკვდილია,

რა ენაღვლება...

მსურს, ქარაფებში გადავჩეხო ავი ზარები,  
 მზეო, იმძლავრე,  
     სიყვარულის შეგთხოვ ზეობას!  
 გულს, წავარნებში აზმორილი შავი ავაზის  
 ალერსის ჟინით აურჟოლებს და... ექო ხეობას  
 უკანასკნელი ამორძალის დაღეწილ ტაბუს  
 ნისლთა ქარავენად ჩაუტბორავს...  
     ელავს ცარგვალი,  
 გამლღვალი სალბი მკერდზე დასდის  
     ქარების ნაბუქს...  
 დავეძებ ჭაბუკს, ნაისრაღს და,  
     ნეტავ, გზაკვალი  
 აღარ ავრიო!.. ცხრა მთის გაღმა  
     შევხვდები წარსულს, –  
 გაცრეცილს გამხმარ ღიღილოთა  
     ბაცი სიცისფრით.  
 ქარაშოტებო, მიმაცილეთ!  
     ბოლოს, დიახ, მსურს,  
 თქვენ დარჩეთ კვლავაც თანამგზავრად  
     ჩემი სისხლითცლის...  
 მოვადექ წავარნს, წარბაზიდულ  
     ზეცის სამსჯავროს  
 ბოლო სურვილად გავუბედე წამი-ხანძარი!  
 ოხრავს ხეობა, მზე არ მძლავრობს –  
     უნდა დამსაჯოს  
 და როცა ვნების ნაკვერჩხლები  
     ცრემლად დავძარი –  
 შეკრა კამარა ავაზამ და  
     შეკრთა სამყარო,  
 შეწყდა წყვდიადში წამიერი  
     წაწლობა წყვილის...  
 ...  
 ფერიცვალობას,  
 ქარაფებში,  
 ჩემს სასაფლაოს  
 ცვარავს ცისფერი ღიღილო და  
 ბაც ქობას იცვლის..

წუხელ, სათოფურს მოდარაჯე  
     თვესრული მთვარე  
 მწუხარე ღრუბელს შეფარული  
     შუქს ფენდა იორს.  
 მუხებს ჯადოსნურთ მოქანდაკე  
     (ხევესური, მთვრალი,)  
 მგლური სურვილით მოუხმობდა  
     და თურმე, იმ დროს  
 სპილოსძვლისფერის აგიჟებდა  
     ჟინი მის სკალპელს,  
 ისე, ვით ჭაბუკ მეფე-მხატვარს,  
     ოდესღაც, კვიპროსს...  
 კიპარისების კუშტი მზერით კრთოდა სამარე,  
 ირემი თითქოს მის ბინადარს მოენადიროს...  
 მინდოდი,  
 ივრის ხავსმოდებულ ქვა კი არა, მდედრს!  
 დააბიჯებდი ჩემს მკერდზე და  
     ხატავდი მითოსს...  
 გათენდეს, თორემ ნიაღვარი ქარის რექვიემს  
 ეპიტაფიად ჩაუტვიფრავს მალაქიტის ტორსს...  
 შემოათენდა ქვაფენილზე გაცრეცილ ღამეს,  
 შეაურჟოლა და შეატოვა ცრემლი ალიონს.  
 გაცრუებულმა მოლოდინმა შეჰყეფა მთვარეს...  
 ივრის ქვა ვარ და ველოდები ჩემს პიგმალიონს!

რითმების გაცვლა

იცვალა ფერი დედამიწამ და იწვა აქ ცა –  
 იაგუარი, დალაქული ღრუბლის ფთილებით...  
 ფრთხილად შევეხეთ, ერთდროულად,  
     ბედის იალქანს,  
 ერთმანეთში რომ გაგვეცვალა  
     (სუნთქვით!) რითმები.  
 „მიყვარხარ!“ –  
 მოწყდა უნებურად ბაგეს...  
     არა, ქარს  
 არ მოაქვს უკან წასაღებად მუდამ სიტყვები.  
 დაე, ვიყო ტყვე სიყვარულის, – არსად გავატან,-  
 სენტიმენტები გადავკარგე! ჩუმად ვირთვები  
 მარგალიტებით, – თეთრი ფერი შვენის იანვარს.  
 „ჰავს იაგუარს“, –  
 ვუცქერ ცას (მას) ურჩი ფიქრებით.  
 ვნებით ვეხებით, ერთდროულად, ბედის იალქანს,  
 რომ ერთმანეთში გადავჯაჭვოთ  
     (სუნთქვით!) რითმები...

## დ ე ლ ო – ზ ა რ ი

„ადამისა და ევას დაცემის შემდეგ ყოველი  
ადამიანის გულზე გაყოფის ბზარია,  
რამეთუ, მარად მიმდინარეობს ბრძოლა  
კეთილსა და ბოროტს შორის“.

### ილია II

მნათეკ, დარეკე დელო-ზარი!

მე მგზავრი მქვია,  
მქვია მგზავრი და ჟამ-ჟამობით  
ცოდვით ვმძიმდები...

მაინც იმედით ვისაგზლებ და ძეძვიან-ქვიან  
აღმართ-დაღმართზე დაცემულიც  
არ დავმცირდები!

არ არის გვიან სინანული, არ არის გვიან, –  
სიყვარულით და სათნოებით თუ აინთები.  
„ნუ დაუყრიო“ – მარიგებდი, – ტალახში ყრია,  
გალილეველო,

გათელილი მარგალიტები...  
გრაალის თასი დანთხეული შენი სისხლია,  
სულის სიწმინდის გადამრჩენი აღთქმა-მცნებები...  
გვედრი: ერესის გზა ჩახერგე, ტადარ-ბიბლიას  
მაზიარე და ამომტვიფრე „ნაზარეველი“  
გულის ნაზარზე,  
დელო-ზარად,  
ცოდვილ ქრისტიანს!

## ა გ ო ნ ი ა

...და ცივ საწოლში გულწასული  
გდია წარსული,  
დაღლილი ღამე აღარ ელის  
გიჟმაჟ გარიჟრაჟს...  
ხარხარით დახტის რუხი ლანდი  
ჩია ავსულის,  
ქვესკნელის დამლა ულაპლაპებს  
შუბლზე მახინჯს და  
ჟღალი თვალების ცრუ ციმციმით  
ცდილობს მაცთური,  
სასუიციდო საწამლავი უხმოდ გავსინჯო...

## წოთი ლექსი

## თამაჩ შანიშვიანი

\* \* \*


თემურ ჩალაბაშვილს

მზით გერგო პაპის ხალათი  
და ფრენა იალალებზე,  
მზერით ქართულ ცას ჰქარგავდი,  
გულით დარდს მიალალედი...

ჰგავდი ვაზს ცრემლით მოლხენილს,  
სევდათრობიან რთველობას,  
კაკლის შრიალა ფოთლებით  
და თრობით ღამისმთევლობავ...

ბედს აპრილივით ხატავდი,  
ვით გაზაფხული მდელოთა  
იის ნაღვლიან ნატვრათი...  
და ლექსიც რქაწითელობდა...

ლექსს მტრედის ფრთებზე ეძინა,  
სამშობლოსავით გულჯავრო...  
თბილხავერდობის ბედილბლავ,  
მაღალო გვეუთის ჯვარო...



# კიდევ ერთი შთამბეჭდავი პოეზიის საღამო



უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლში.

12 აპრილს გვესტუმრობდნენ ამავე საზოგადოების პოეტები: ბატონი ამირან ლოლაძე, უსინათლო შემოქმედთა ჟურნალ „სინათლის“ რედაქტორი, უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლის დირექტორი, ქალბატონი ცირა ვეფხვაძე, ამავე საზოგადოების პოეტი, ქალბატონი ნათია ჯიქია.

ქალაქ თბილისის 142-ე საჯარო სკოლის ლიტერატურული სალონის წევრებისგან არაერთი შთამბეჭდავი დღის მომსწრე გამხდარან ჩვენი სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, თუ ღირსეული სტუმრები.

ამჯერად, ლიტერატურულმა სალონმა ჩვენი სკოლის შემოქმედი პედაგოგის, მაყვალა გერმანოზაშვილის პოეზია გამოიტანა სამზეოზე.

ღონისძიების ინიციატორი იყო ჩვენი სკოლის გეოგრაფიის პედაგოგი და მე-5 მეორე კლასის დამრიგებელი, ქალბატონი ნაზი ბეჟანიშვილი, რომელსაც სიხარულით აუბა მხარი ისტორიის პედაგოგმა და მე-8 მეორე კლასის დამრიგებელმა, ქალბატონმა ნინო ჯიქიმე.

სწორედ მე-5 და მე-8 კლასის მოსწავლეები კითხულობდნენ მაყვალა მასწავლებლის ლექსებს. მათი გულიდან ამოსული ხმა, თითოეული სიტყვა მსმენელის გულში იმკვიდრებდა ადვილს.

ღონისძიებას ამშვენებდა და ტკბილხმოვანებას ჰმატებდა ჩვენი სკოლის მუსიკის პედაგოგის, იზა ტყემელაშვილის მიერ შექმნილ მელოდიებზე ამღერებული მაყვალა გერმანოზაშვილის ლექსები, რომელსაც ასრულებდა ჩვენივე ლიტერატურული სალონის მომღერალთა გუნდი.

ღონისძიება საზეიმო იყო, რადგან ინიციატორმა პედაგოგებმა და მონაწილე მოსწავლეებმა სწორედ მაყვალა გერმანოზაშვილის იუბილეს, 12 აპრილს დაამთხვეეს. ასე თბილად და დიდი სიყვარულით მიულოცეს დაბადების დღე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ღირსეული სტუმრები, პოეტები: ქალბატონი თამარ გაბროშვილი, ქალბატონი ქეთევან დოლიძე, რომლებიც არაერთი ღონისძიების მხილველნი ყოფილან სკოლის ლიტერატურული სალონის მიერ ჩატარებული საღამოებისა, მხედველობაში გვაქვს 2014 წელს ჩატარებული პოეტ ზურაბ ჯაფარიძის პოეზიის საღამო და 2015 წელს გამართული პოეზიის საღამო, მიძღვნილი 5 უსინათლო, მაგრამ სულიერი თვალთ მაყურებელი პოეტისადმი, რომელიც ჩატარდა ფონიჭალის

ღონისძიებას ესწრებოდა ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი პედაგოგი, ქალბატონი ნარგული ფირცხალაიშვილი. აგრეთვე, დღეს უკვე ცნობილი, ასაკით პატარა, მაგრამ უამრავ კონკურსში გამარჯვებული, 3 მუზის მფლობელის, ლიზი ბუდალაშვილის დედა, ქალბატონი მაია ლობჟანიძე. აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტ ლიზი ბუდალაშვილის პირველი კრებულის „ფიქრობანას თამაშის“ პრეზენტაცია სწორედ ჩვენი სკოლის ლიტერატურული სალონის წევრებმა მოაწვეეს.

საღამოს ესწრებოდა უზუცესი ქალბატონი, ეთერ ნონიაშვილი, ღონისძიების ღირსეული გმირის დედა, რომლის სტუმრობამაც დაუვიწყარი განადა ეს საღამო.

თბილი და სიყვარულით სავსე სიტყვით გამოვიდნენ მოწვეული სტუმრები. ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები, ქალბატონები: ლია გვიჩია და ლელა საური, რომლებმაც საკუთარი ლექსებით მიულოცეს კოლეგას დაბადების დღე.

შთამბეჭდავი სიტყვით მიულოცა იუბილე თავისივე მე-10 პირველი კლასის მოსწავლემ ანა თავაძემ. ღონისძიება დაავიწროვინა სკოლის დირექტორის, ქალბატონ შორენა ცნობილაძის ორიგინალურმა გამოსვლამ, რაც გამოიხატა უზუცესი სტუმრისადმი სიყვარულისა და სიტბოს გამოხატვასა და მონაწილე მოსწავლეების დიპლომებით დაჯილდოებაში.

დაუვიწყარი იქნება ეს დღე, როგორც ლიტერატურული სალონის წევრებისათვის, ასევე იქ დამსწრე საზოგადოებისათვის.

სკოლის დირექტორი, პედკოლექტივი, მეგობარი კოლეგები ვუსურვებთ მაყვალა გერმანოზაშვილს შემოქმედებით წარმატებებს და ლიტერატურულ სალონს კიდევ მრავალი საინტერესო და შთამბეჭდავი ღონისძიების ჩატარებას.

**ლილიანა გვიჩია,**

თბილისის 142-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

# ძეგლი ონის ნიგნაყიდან

## ჯამბაჯი ჯიშხაჩიანი



### გახსენება

...ხელთ მაქვს ლევან გოთუას წიგნი „ხდედალეულნი“, რომელიც დიდი ხნის წინ მაჩუქა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა დავით წერეთელმა. ბატონი დავითი კრილენკოს ექსპედიციაში მონაწილეობდა პამირში. ქართველ მთაშველელებს შორის ბატონ დავითს პირველს მიენიჭა სსრკ სპორტის ოსტატის წოდება.

გეოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობს სსრკ სპორტის ოსტატი, ქვეყნის ორგზის ჩემპიონი რეზო ხაზარაძე. იგი ყოველწლიურად საქალაქო ალპინადებში მონაწილეობდა, რომელიც ხდეს ხეობაში მარწყვიჭალაში ეწყობოდა. მისი მეშვეობით მრავალი ცნობილი მთაშველელი გავიცანი.

ბატონმა დავითმა იცოდა, რომ მთებით ვიყავი გატაცებული, ამიტომ ლევან გოთუას წიგნი „ხდედალეულნი“ მაჩუქა. თავად წიგნი კარგად იყო შენახული, თუმცა ყდა დასძენილია.

ერთხელ საქართველოს ალპიურ კლუბში მივედი, რომელიც ყოფილი კიროვის პარკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო გოლიათური აღნაგობის მამაკაცმა, რომელსაც მოწიწებით ესალმებოდნენ, ებასებოდნენ. იგი მისალმებაზე მორიდებით პასუხობდა. ლომის ფაფარივით აშლილი, შევერცხილილი ხუჭუჭი თმა ამშვენებდა. დარბაზში შესვლამდე გაგებდე და მეც გამოველაპარაკე. ვუთხარი, მთაშველელობაზე წიგნი რომ მქონდა.

– „ხდედალეულნი“, ხელნაწერებთან ერთად, ჩემს შფოთიან ცხოვრებაში სადღაც გამეზნა, – ბრძანა მან.

სინარულით ცას ვეწიე. დავპირდი, რომ წიგნს მივართმევდი. ბატონმა ლევანმა მისამართი და ტელეფონი ჩამაწერინა. იმხანად ვახუმტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილებაში ვმუშაობდი, ამიტომ გარეკანი, შრიფტი,

ფერები ზუსტად აღვადგინე. წიგნი ყდაში ჩავსვი. მაშინდელი პლენხანოვის 115-ში, მეორე სართულზე ავედი. კარი ბატონმა ლევანმა გამიღო. სასტუმრო ოთახში შემიძღვა და ჩემი თავი მეუღლეს წარუდგინა.

– შეხედე, ამდენი წლის შემდეგ „ხდედალეულნი“ დამიბრუნდა, – ღიმილით უთხრა მეუღლეს. ეს შემთხვევა უნდა აღვნიშნოთო.

უფალს მადლობას ვწირავ. იმ დღიდან ბატონი ლევანის სიახლოვეს გატარებული ტკბილ-მწარე დღეები უძვირფასეს მოსაგონრად მექცა.

\* \* \*

ოცდათორმეტი წელი განისვენა ბატონმა ლევანმა არმაზში, თავის ნასათუთევ ეზო-გარემოში; მისი გარდაცვალების შემდეგ ბევრი რამ მოხდა საქართველოში, იმდენად შემზარავი და დაუჯერებელი, რომ თვით მრავლისმომსწრე ბატონ ლევანსაც გაუკვირდებოდა.

კიდევ კარგი, თავად ვერ მოესწრო ყოველივეს, თორემ მასზე უბელური კაცი არ იქნებოდა საქართველოში.

ოცდათორმეტი წლის შემდეგ არმაზიდან, თავისთავად ღირსეული და დალოცვილი ადგილიდან, სამთავროს უწმინდეს სავანეში მისი გადმობრძანება ღვთიკურთხეულ საქმედ მიმანჩია.

მადლი უფალს, რომ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სწორედ სამთავროს წმინდა სავანეში მიეჩინა სამუდამო განსასვენებელი ერისთვის გარჯილ დიდ მამულიშვილს.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს, ავთანდილ ხარაიშვილმა ბატონ ლევანს ლექსი უძღვნა. იმ ლექსში ასეთი სტრიქონები იყო – მადლობელი ვარ, ჯვარო და მცხეთავ, ჩემი წარსულის გადარჩენისთვის.

მართლაც, – ყოველი ჩვენგანისათვის წმინდაა და სათაყვანო ქართლის უძველესი ქალაქი მცხეთა.

ყოველი ჩვენგანისათვის წმინდაა და სათაყვანო სამთავროს სავანე, რომლის შემოგარენს მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ნატერფალი ახსოვს.


ჰგავს წმინდა ნინოს ნაფეხურები დილის სისხამზე დაკრეფილ იებს, – ნიკო სამადაშვილი გამახსენდა.

ყოველი ჩვენგანისათვის წმინდაა და სათაყვანო სამთავროს მიწა, სადაც მეფე მირიანი და დედოფალი ნანა განისვენებენ.

აქვეა დაკრძალული ბრძენი მამა და მოძღვარი, არქიმანდრიტი გაბრიელი. მისი გარდაცვალების შემდეგ იმდენი სასწაული მოხდა, შორს არაა ის დღე, როდესაც საქართველოს ეკლესია მამა გაბრიელს წმინდანად შერაცხავს.

აი, ასეთ წმინდა სავანეში, წმინდა გარემოში განისვენებს ამიერიდან „მურსა და ცილზე“ ამალღებული, დიდი კრწანისელი მეომარი და უბერებელი მთაშველელი, სიკვდილის მრავალგზის დამთრგუნველი რაინდი ლევან პართენის ძე გოთუა.

# ვულოცავთ ჯუმბერ ჯიშკარიანს!



ცნობილი სპელეოლოგის, „პრომეთეა“ და სხვა არაერთი მღვიმის აღმოჩენის, ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორის, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტიკის ჯუმბერ ჯიშკარიანისათვის ღირსსახსოვარი აღმოჩნდა 2016 წლის 21 მარტი – ქართული ჟურნალისტიკის დღე. მას, მნიშვნელოვანი ეროვნული ღვაწლისა და ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა სერგეი მესხის საპატიო პრემია.

ჯუმბერ ჯიშკარიანი ნახევარ საუკუნეზე მეტია ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. იგი, ათასხუთასამდე პუბლიკაციის ავტორია, რომლებიც წლების მანძილზე ქვეყნდებოდა ქართულ, რუსულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების 10 წლის განმავლობაში, იგი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი იყო და საინტერესო მასალებს აგზავნიდა ოკეანის გაღმობიდან. ასევე თანამშრომლობდა ლონდონში გამოშვებულ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ჟურნალში

„თანამემამულე“, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები სხვადასხვა თემაზე. ამერიკაში მომზადებული წერილები დაედო საფუძვლად წიგნს „ფიქრები საქართველოზე – ფრაგმენტები ამერიკული დღიურებიდან“. მასალები ჯერ დაუსტამბავი წიგნიდან ხშირად იბეჭდებოდა ნიუ-იორკში გამოშვებულ გაზეთ „დავითის ფარისა“ და ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ ფურცლებზე.

ჩვენი ჟურნალის რედაქციის, ლიტერატურული გართიანებისა და მკითხველთა სახელით ვულოცავთ ბატონ ჯუმბერს საპატიო პრემიას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## მწერლის სიცოცხლე

მწერალ ოტია იოსელიანთან შეხვედრის შესაძლებლობა ერთხელ მომეცა, – 128-ე სკოლაში მოსწავლეებმა მისი პიესა დადგეს, პრემიერაზე, რა თქმა უნდა, ავტორიც მოიწვიეს. მაისის თვის ბოლო დღეები იდგა, უჩვეულოდ ცხელოდა, სპექტაკლი კარგა ხანს გაგრძელდა. ბატონი ოტია კოპებშვილი იჯდა, განუყრელი ჩიბუხით ხელში (მის შემოქმედებას კარგად ვიცნობდი, მწერალი კი ასე ახლოს არასოდეს მენახა), წარმოდგენის დასასრულს დიდი ოვაცია გაიმართა, დამსწრე საზოგადოება ავტორისადმი განსაკუთრებულ აღფრთოვანებასა და პატივისცემას გამოხატავდა. ბატონმა ოტიამ გულთბილი მადლობა გადაუხადა პატარა მსახიობებს, და ბოლოს, თითქოს თავისთვის, ხმადაბლა ჩაილაპარაკა: „რამ სიგრძე პიესა დამიწერია, დავილაღე კაცი, აუცილებლად შევამოკლებო“... და ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი გადაისვა...

მეორედ კი მწერალს ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანის წიგნში „ჩვენი ოტია“ შევხვდი. „გვიშტიბელი ბრძენკაცის“ ცხოვრებამ, რომელიც სხვადასხვა

დროს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილებით, ერთი შეხედვით, ფრაგმენტულად იხატება, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოხდინა. რატომ? ვფიქრობ, ერთია, როცა მწერალზე წარმოდგენა მისი შემოქმედების მიხედვით გექმნება, „მწერალი ხომ თავის ნაოცნებარს, ნაფიქრალსა და განცდილს აღწერს, რომ ყველა მისი გმირი თვითონაა – ამაზე ბატონი ოტია გვიამბობს თავის წიგნში „ჩემი ასავალ-დასავალი“, მაგრამ მეორეა, როგორია შემოქმედი ადამიანი რეალურ ცხოვრებაში... „ჩვენი ოტია“ სწორედ იმ სამყაროში გვამოგზავნებს, რომელიც მწერალმა დაუზარელი შრომისა და გარჯის შედეგად შექმნა.

საქართველოს უმშვენიერესი კუთხე იმერეთი, წყალტუბო, სოფელი გვიშტიბი, იქ დგას სახლი, სადაც ერთნაირად მიუხარიათ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და ეროვნების ადამიანებს, მიუხარიათ, რადგან მათი მასპინძელი თვით ოტია იოსელიანია, რომლის შემოქმედებაზე თაობები იზრდებიან და რომლის ცხოვრებაც, თურმე არანაკლებ „საცოდ-

## მიხეილ ჯავახიშვილის მონოლოგი

კაცი ვიყავი ჭკვიანი,  
 სიტყვა დავლათიანი.  
 ბევრი ვინმე მისმენდა,  
 ბევრიც, ალბათ, მისტკენდა.  
 ბევრს ვფიქრობდი წარსულზე,  
 აწმყოთ გული მტკიოდა,  
 ჩემს ქვეყანას ეძინა,  
 დრო კი, დრო... გადიოდა.  
 გველემშაპად გრაგნილი  
 უვიცობის ზემით,  
 უტიფრობის იმედით,  
 ტყიდან გამოვარდნილი  
 ჯაყოს წინამძღოლობით  
 მოდიოდა ის ძალა,  
 რომელმაც რომ იმძლავრა  
 და დაამხო იმედი.  
 რწმენას ხელი შეახო,  
 ფიქრობდა, რომ სუყველას  
 მისაგები მიაგო.  
 ბევრი, ვფიქრობ, გაჩუმდა,  
 ბევრი, ალბათ, დაყრუვდა,  
 თუმცა ვისაც სტკიოდა,  
 მას ცრემლი დასდიოდა.  
 ყველა ხევისთავივით  
 თავს ქვიშაში არ რგავდა,  
 მამა-პაპის სახსოვარს  
 უახროდ არ ფანტავდა.  
 ყველამ მარგოც არ დათმო,  
 რადგან არ ეთმობოდა,  
 მეც მათ შორის ვიყავი,  
 მამულის მზეს ვფიცავდი.  
 ბევრჯერ ხორციტ გამთელეს,  
 მაგრამ სულს კი ვიცავდი.  
 ხვალინდელ დღეს ვხედავდი,  
 მუნღზე როდი ვდგებოდი,  
 მჯეროდა, რომ ოდესმე  
 თქვენთან დავბრუნდებოდი.

**მავლინა კოპლატაძე,**

მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის 124-ე საჯარო სკოლის  
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ნარია“... რადგან თვალნათლივ გვაჩვენებს, რომ არ  
 უნდა შეჩერდე, რომ არ შეიძლება წუთისოფელს  
 „თვალის მოუხუჭო“, დრო არ იცდის... თვალწინ  
 ოთარაანთ ქერივის სახე წარმომიღვა, „კაბაგადაც-  
 მული ილიასი“, როგორ ჰგავს ოტია იოსელიანის  
 ამ „საქმით მეტყველ სულს“, ილიას საოცნებო  
 ქართველს, თავისი მწარე, მკვახე, გამომაფხიზლე-  
 ბელი შემახილებით, თავისი სამართლიანობით,  
 პირდაპირობით. ერთი შეხედვით, უხეში „ღვუ კაცი“,  
 რომლის მკერდში „სიკეთითა და სიყვარულით სავსე  
 გული ძგერს“.

ვეცნობით ბატონ ოტიას, როგორც პოეტს,  
 „ოთხმოცდაცხრამეტი ლექსის“ ავტორს, მამულიშ-  
 ვილს, რომელიც იქ არის, სადაც ამის საჭიროებაა,  
 გაემაყება მისი ნაჯაფარი, დაკოჟრილი ხელები,  
 რომელსაც ისევე ოსტატურად შეუძლია ააშენოს  
 სახლი, გამოკვეთოს დედაბოძი, დაამუშაოს მიწა,  
 როგორც უნაზესი ადამიანური განცდების აღწერა,  
 უმშვენიერესი პეიზაჟის დახატვა, გაუმხელელი  
 სიყვარულის ისტორიის მესაიდუმლოება...

ბატონო ჯუმბერ, ამ წერილის დაწერა მას შემდეგ  
 მინდა, რაც თქვენი წიგნი „ჩვენი ოტია“ წავიკითხე,  
 ვყოყმანობდი, რადგან არ ვიცოდი, მოვახერხებდი თუ  
 არა ჯეროვნად გადმოქცა ის შთაბეჭდილება, რაც  
 ამ დიდებული მწერლის ცხოვრების ასე ცოცხლად  
 წარმოჩენამ მოახდინა. მწერლის სიცოცხლე, რა  
 თქმა უნდა, მისი შემოქმედებაა, ანუ ის „რაც რჩება“.

ბატონი ოტია იოსელიანის ნაღვაწი მსოფლიოს  
 ხალხთა ოცდაათ ენაზე თარგმნილი, შვიდი მილ-  
 იონი ტირაჟით გამოცემული რომანები, მოთხრობები,  
 ნოველები, პიესები... დაგვრჩა... „მართლაც, რომ „მას  
 უცოცხლია, როგორც უნდოდა“.

P.S. ამ რამდენიმე წლის წინ, ჩემს მე-11  
 კლასელებთან ერთად, ყუმისთავში „პრომეთეს  
 მღვიმეს“ ვეწვიეთ. ნანახმა გავონილს გადააჭარბა.  
 შევეცქეროდით ბუნების ამ საოცრებას და ხმის  
 ამოღებას ვერ ვახერხებდით. ექსკურსიამძღოლმა,  
 ახალგაზრდა ქალმა გვითხრა, რომ მღვიმის აღმომ-  
 ჩენი ცნობილი სპელეოლოგი ბატონი ჯუმბერ ჯიმ-  
 კარიანია, მე მაშინ ნამდვილად ვიცოდი, რომ თქვენ  
 არაერთი მეცნიერული შრომისა და პუბლიცისტური  
 წერილის ავტორი იყავით, რომ მიწისქვეშეთის ზღა-  
 პრულ სამყაროს ამერიკაშიც კი იკვლევდით, მაგრამ  
 არ ვიცოდი, თუ ასე ღამაზად, დამაჯერებლად  
 წარმოაჩენდით ამ დიდებული მწერლის ცხოვრების  
 ეპიზოდებს, ისე, რომ მკითხველსაც განაცდევინებ-  
 დით იმ დიდ სიხარულსა და ბედნიერებას, რასაც  
 თქვენ გრძნობდით ამ საოცარ მწერალსა და  
 პიროვნებასთან ურთიერთობით.

**ნუნუ მილორაძე,**

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,  
თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა



# ქალთა საბჭოს იონილე

„ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ხალხთან,  
მათ ფიქრებთან, მათ ჩუმ დუმილთან“...

„ანეულის“ სტუმარია

ქალთა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი – ქეთევან გაბრუაშვილი



– საქართველოს ქალთა საბჭო მრავალწლიან ისტორიას ითვლის და უანგაროდ, შემოწირულობებით არსებობს დღემდე. გვიამბეთ ქალთა საბჭოს დაარსების ისტორიაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე...

– ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში ქალები იბრძოდნენ მშვიდობიანი დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოებისათვის, უნდოდათ საზოგადოება აგრესიული პოლიტიკის, ეროვნული სიძულვილის, ტერორიზმის, სამხედრო კონფლიქტების გარეშე. ქალთა მოძრაობა მამაკაცებთან თანასწორუფლებიანობას ითვალისწინებდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში.

პირველად ქალთა უფლებების შესახებ ჩრდილოეთ ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს წამოაყენა მოთხოვნა საზოგადო მოღვაწემ მერსი უორენმა და აბიგაიდ ადამსმა. 1775–83 წლებში მათ მოითხოვეს საარჩევნო უფლებები და თანასწორობა მამაკაცებთან.

1789 წელს საფრანგეთის რევოლუციამ დაუდო სათავე ორგანიზაციულ ქალთა მოძრაობას. ქალები გამოჩნდნენ სახალხო გამოსვლებში. გამოდიოდა ქალთა ჟურნალები, რომლებიც მიეძღვნა ქალთა ბრძოლას თანასწორუფლებიანობისათვის. გაჩნდა ქალთა პირველი ორგანიზაციები, ქალთა კლუბები.

1904 წელს დაფუძნდა სუფრაჟისტების საერთაშორისო ორგანიზაცია (სუფრაჟისტკა – ასე ეძახდნენ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალთა მოძრაობის მონაწილეებს ევროპაში)... საერთაშორისო აღიანსი ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის. ამ მოძრაო-

ბაში ჩაბმულნი იყვნენ კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი. მათივე მონაწილეობით 1910 წელს კოპენჰაგენის სოციალისტ ქალთა მე-2 კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება ქალთა საერთაშორისო დღის – 8 მარტის აღნიშვნის შესახებ.

1921 წლის 21 მაისს თბილისში, „წმიდა ნინოს“ სახელობის დარბაზში, ეროლოვის ქუჩაზე (დღევანდელი ჩიტაძე) გაიხსნა სრულიად საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ინტერნაციონალური, ყრილობა, ესწრებოდნენ სომხები, რუსები, ქურთები, აზერბაიჯანელები, ბერძნები.

1924 წლის 18 ივლისს შეიქმნა აჭარის ქალთა, ბათუმისა და ჭოროხის მაზრის კომიტეტი. 1929 წლის 8 თებერვალს ბათუმში მოეწყო სრულიად საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება ჩადრის ახდის თაობაზე. პირველმა მასობრივმა ქალთა ორგანიზაციების კლუბებმა და კომიტეტებმა იარსება 1935 წლამდე, შემდეგ ქალაქებსა და რაიონებში ფუნქციონირებდა ქალთა საოლქო და რაიონული კომიტეტები...

– როგორც აღმოჩნდა, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის არქივის განსნის შემდეგ (ქალბატონმა ნინომ ქალთა კომიტეტი 1945 წელს, საფრანგეთის ერთ-ერთი კონფერენციიდან დაბრუნებისთანავე დააარსა) იწყება ქალთა საბჭოს ისტორია. მაისში თქვენ საბჭოს დაარსების 70 წლის ისტორიას იზეიმებთ...

– 1946 წელს პარიზის ქალთა კონგრესიდან დაბრუნებულმა ქალბატონმა ნინო ჯავახიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში შექმნილიყო ქალთა კომიტეტი, რომელსაც მალე გადაერქვა სახელი, რადგან მსოფლიოს ქალების სურვილი იყო, საქმიანობასა და სახელწოდებაში არ ყოფილიყო პარტიულობის ელემენტები. ამიტომ მას საქართველოს ქალთა კომიტეტი ეწოდა. აქედან იწყება ქალბატონ ნინოს და ქართველი ქალების ურთიერთობა ქალთა საერთაშორისო მოძრაობებთან, რომელსაც გარდაცვალებამდე სათავეში ედგა მეცნიერი აკადემიკოსი, ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი.

საქართველოს ქალთა საბჭოს საფუძველი ჩაეყარა მეორე მსოფლიო ომის დროს, ომის დამთავრებისთანავე სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობით შედგა საინიციატივო ჯგუფი. მოწვეული იყო ქალთა საერთაშორისო

დემოკრატიული კონგრესი და ჩამოყალიბდა ქალთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც მშვიდობის დასაცავად გამართული აქციის ინიციატორი და მშვიდობის საბჭოს ერთ-ერთი შემქმნელი გახლდათ.

1954 წლიდან შემუშავდა ქალთა კომიტეტების მუშაობის დებულება.

განსაკუთრებით აქტიური და მრავალფეროვანი იყო ქალთა კომიტეტების საქმიანობა 1975 წელს, რომელიც გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით ქალის წელიწადად გამოცხადდა.

1988 წლის ოქტომბრიდან შეიქმნა ქალთა საბჭოების ერთიანი სისტემა. საქართველოში, ისე როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბოლო პერიოდში რადიკალური ცვლილებები მოხდა. საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო გახდა. წარმოიშვა დიდი სირთულეები – ომები შიდა ქართლსა და აფხაზეთში. დაიღუპა ათასობით სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე. უამრავმა ადამიანმა დაკარგა საცხოვრებელი და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა, რამაც ქალებზე დიდი გავლენა მოახდინა.

ამ წლებში ქალთა რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ ქალთა დანმარების ფონდი დააარსა. ფონდს შემოუერთდა საქართველოს ყველა რეგიონის ქალთა საბჭოები. საქართველოს ქალთა საბჭოს მიზანი ყოველთვის იყო და არის ზრუნვა ქალებზე, ბავშვებზე და უპოვართა. 1995 წლის 9 მარტიდან საქართველოს ქალთა საბჭო დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. აქვს მედალი, დროშა და ჰიმნი.

**– რატომ არის მნიშვნელოვანი 70 წლის იუბილე ქალთა საბჭოსთვის და როგორ ემზადებით ამ დღისთვის? როგორც ვიცი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სულ 6 ქალია და 6-ივე არის ქალთა საბჭოს წარმომადგენელი. აქედან, მგონი, სამი ქალბატონის იუბილეა წელს...**

– მიმდინარე წელს ქალთა საბჭოს 70 წელი შეუსრულდა და გადაწყვიტეთ, საზეიმოდ აღვნიშნოთ. ამას ხელი მუწყო იმან, რომ საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის აკადემიაში დღეისათვის 6 აკადემიკოსი ქალია და ყველა ქალთა საბჭოს წევრია. აქედან სამ აკადემიკოს ქალს: მზექალა შანიძეს (ქალთა საბჭოს თავმჯდომარე), ეთერ ქემერტელიძეს 90 წელი შეუსრულდათ, ხოლო ნანა ხაზარაძეს – 85 წელი და გვინდა ღირსეული ქალბატონებს, ღირსეულად აღვუნიშნოთ წელს დამსახურება და ღვაწლი.

**– ქალთა საბჭოში გაერთიანებულნი არიან პოეტები, მწერლები, მსახიობები, მოქანდაკეები, მხატვრები, მეცნიერები... ასევე ის დედები, რომლებიც რეგიონებში ცხოვრობენ და საქართველოსთვის თავდადებულ შვილებს ზრდიან... ეს არის მთლიანად ჩვენი საზოგადოება და მე ვფიქრობ, ღირსეული ნაწილი...**

– ქალთა საბჭო დაარსებიდან გამოირჩეოდა

დიდი წარმომადგენლობით, გაერთიანებით, სადაც წევრებად იყვნენ მწერლები, მსახიობები, მოქანდაკეები, მხატვრები, მეცნიერები, თვით შემოქმედნი, ხელოვანნი, საზოგადო მოღვაწენი, რომელთა ხელშეწყობით და თანადგომით ტარდება უამრავი, ხალხის საკეთილდღეოდ აქცია თუ სადამო, – როგორც თბილისში, ასევე მთელს საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს ქალთა საბჭო თავს ვალდებულია თვლის, ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოკვეთილ ქველმოქმედ ადამიანებს მადლობა უთხრას და თავისი სიგელით დააჯილდოვოს, ასეთი, ჩვენდა სასიკეთოდ, უამრავია და ჩვენ, როგორც დედები, ვხედავთ, ვაფასებთ და მადლობას ვუბნებით. ეს დიდი სტიმულია ადამიანებისათვის და ჩვენ ამას გავაგრძელებთ. მოგიწოდებთ, ვაკეთოთ სიკეთე... ეს ჩვენც გვჭირდება.

**– თქვენ ხშირად ატარებთ საქველმოქმედო საღამოებს, აქციებს. ამას წინათ, თქვენ სიგელებით დააჯილდოვეთ ყველა მწერალი და მხატვარი, ვინც მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთი ახალგაზრდისთვის სამკურნალო თანხის შეგროვებაში... ეს დიდი თანადგომა იყო თქვენგან, ასევე ეხმარებით მწერლებს წიგნების გამოცემაში, პოპულარიზაციაში, ეხმარებით ჟურნალ „ანეულსაც“... დიდი მადლობა ამისთვის... გამორჩეულია ქალთა საბჭოს მოღვაწეობა რეგიონებში, სადაც რეგიონალური ქალთა საბჭოები არსებობს, რომლებიც ეხმარებიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს, უღელმამო ბავშვებს, მარტოხელა ქალებს... მთლიანად ჩართულები არიან ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ბოლო დროს თქვენ გქონდათ აქციები გომბორსა და კოჭბანში.**

**გვიამბეთ გამორჩეულ საქველმოქმედო აქციებზე? რას გეგმავთ სამომავლოდ?**

– საქართველოს ქალთა საბჭო მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და გვყავს წარმომადგენლობები რეგიონებში, სადაც ეხმარებიან სოციალურად დაუცველ, უღელმამო ბავშვებს, მარტოხელა ქალებს, ხანდაზმულებს, – საქართველოს ქალთა საბჭოს მხარდაჭერით და თანადგომით. საქართველოს ქალთა საბჭო სისტემატურად ვანხორციელებთ საქველმოქმედო სამედიცინო გამოკვლევებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მაღალმთიან სოფლებში და საზღვრისპირა სოფლებში. ამ საკითხში გვეხმარება ქალთა საბჭოს ამგდარი, ქომაგი, დედათა და ბავშვთა დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორი, ქალბატონი ლალი გუჯაბიძე, რისთვისაც მადლობას ვუხდით მოსახლეობის სახელით.

ასევე ამ აქციებს დიდი რაოდენობით წამლებით უზრუნველყოფს „ავერისის“ საქველმოქმედო ფონდი. ხელმძღვანელი პაატა კურტანიძე, მადლობა მას. ბოლო დროს ვიყავით საგარეჯოს რაიონის (ქალთა საბჭოს თავმჯდომარე თამარ საგინაშვილი. ლეილა არჩემაშვილი) მაღალმთიანი სოფლების სამედიცინო გამოკვლევებზე, სადაც სოფლის მოსახლეობას გა-

დავეციოთ ტანსაცმელი, კვების პროდუქტები. ამავე დროს, სოფლის მოწინავე ღვაწლმოსილი ქალები დავაჯილდოვეთ ქალთა საბჭოს სიგელებით და საჩუქრებით.

გავითვალისწინეთ რა რეგიონებში სოფლის მაცხოვრებელთა სოციალური მდგომარეობა, მიმდინარეობს სოფლად ოთახების – „სოფლის ქომაგის“ გახსნა, სადაც სურვილი გვაქვს, ოჯახისათვის ყველა საჭირო ნივთი, ჩასაცმელი, წიგნები, მედიკამენტები იყოს სისტემატურად. ასეთი გაიხსნა თიანეთის რაიონში და ვაპირებთ საგარეჯოს რაიონშიც, მოსახლეობის დაინტერესებამ დაგვანახვა, რომ ეს წამოწყება დროულია, ვთხოვთ ყველას, შემოგვიერთდეს.

– **წელს საქართველოში ჩამოსული იყო გერმანიის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე სანდრა ცეგლა.**

– საქართველოს ქალთა საბჭოს მსოფლიოს 12 ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლობები, რაც ძალიან საინტერესოს და საქმიანს ხდის ჩვენს მუშაობას. ემიგრანტები, რომლებიც სამშობლოდან წასულნი არიან ოჯახების სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დიდი მონდომებით და ერთგულებით, ყურადღების გარეშე არ ტოვებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ერთგულებით ეხმარებიან გაჭირვებულთ და დაზარალებულებს და დიდ ქველმოქმედებას ეწევიან მათთვის. მაღლობა მათ. არ შეიძლება, არ აღინიშნოს 13 ივნისის სტიქიის დროს იმ დიდი შემართების და დახმარების შესახებ, რომელიც გამოიჩინეს ჩიკაგოდან (წარმომადგენელი მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზერი, ნათელა სანიშვილი), ისრაელიდან (ლია კრიხელი), შვედეთიდან (მაია როდონაია), მოსკოვიდან (მედეა ნიკოლეიშ-



**ეს ორგანიზაცია დიდ ისტორიას ითვლის... რამდენად საინტერესო იყო შეხვედრა ქალბატონ ცეგლასთან? რა გეგმები დაისახა?**

– მიმდინარე წლის მარტის თვეში საქართველოში იმყოფებოდა გერმანიის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე სანდრა ცეგლა. ეს ორგანიზაცია 150 წელს ითვლის და საქართველოს ქალთა საბჭო 1970 წლიდან თანამშრომლობს. 1990 წელს გერმანიის ქალთა საბჭოს აქტიურ საზოგადო მოღვაწე ქალს, გიზელა რაინერს 80 წლის იუბილე აღვუნიშნეთ თბილისში. მომავალი გეგმები დაისახა, შედგება კვლავ საქმიანი შეხვედრები, გააცნობს რა ჩვენს შესახებ ახლად არჩეულ ქალთა საბჭოს წევრებს და თანამშრომლობას გავაგრძელებთ გერმანიაში ჩვენი ქალთა საბჭოს წარმომადგენლობის ხელშეწყობით. ეს შეხვედრა გაცნობით საინფორმაციო ხასიათს ატარებდა და გადაიცა რადიოქსელითაც.

– **გვიამბეთ თქვენს დიასპორულ ორგანიზაციებზე... მიზნებზე...**

ვილი), სალონიკიდან (თამარ სოლოლაშვილი), ნიუ-იორკიდან (ცუცა კაპანაძე), ასევე ნიუ-იორკიდან იმ დროისათვის საქართველოში მყოფმა ბავშვებმა კონცერტი გაუძარტეს სტიქიით დაზარალებულთ და ვინც სტიქიის დროს ქველმოქმედება გასწია, აღნიშნული მაღლიერების საღამო გაიმართა ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

აღსანიშნავია საახალწლო ნობათი სალონიკიდან (თამარ სოლოლაშვილი). ნაძვის ხე თავისი მორთულობით და ტკბილეულით, რომელიც გადაეცათ დედა ბარბარეს სახლის ბავშვებს. ასევე ზამთარში მაღალმთიან სოფელში შემა შევუძინეთ ორ ოჯახს და საჭირო საოჯახო ნივთები ფეხშიძე ქალს – ჩიკაგოდან, ნიუ-იორკიდან და ფილადელფიიდან (ცუცა კაპანაძე, ლალი მეტრეველი) გადმოგზავნილი თანხით. სააღდგომოდ შვედეთიდან (მაია როდონაიამ) საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ ბავშვებისათვის პასკები, კვერცხები, ტკბილეული შემოსწირა. მაღლობა თითოეულ მათგანს ასეთი

გვერდში დგომისათვის და ქველმოქმედებისათვის. თითოეული მათგანი ქალთა საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს ქომაგებად დასახელდა და გადაეცათ სიგელები.

**– საქართველოს ქალთა საბჭოსთან 16 სხვადასხვა ეროვნების კომიტეტი თანამშრომლობს...**

– დიას, მათთან ერთად ვაწარმოებთ მრავალ პროექტს, მიმდინარეობს მოსმენა ქალთა საბჭოსთან არსებული 16 ეთნოსის პროექტის – „ისტორია, კულტურა, ტრადიცია.“ მოსმენილი იქნა აზერბაიჯანელების – მარნეულში, სომხების – სომხურ ეკლესიასთან არსებულ კულტურულ ცენტრში, გერმანელების – ლუთერანულ ეკლესიაში, ტერენტი გრანელის ქუჩაზე, ლატვიელების – ლატვიელთა კულტურულ ცენტრში, ჩეხების – „კავკასიურ სახლში“, ებრაელების – ებრაელთა მუზეუმში. პროექტის მოსმენა გრძელდება, სადაც მკაფიოდ გადმოსცემენ ისტორიას, მათი ერის შემოსვლას და დაფუძნებას, მართავენ გამოფენებს და ტრადიციების შესახებ საუბრობენ, ეს ყველაფერი შეჯამდება პროექტის სრულყოფილად დამთავრების შემდეგ. გამოვლინდება გამარჯვებული, რის შესახებაც ვაცნობებთ საზოგადოებას.

ასევე ეთნოსებთან ერთად ქალთა საბჭოში „მრავალეროვანი თბილისის“ ფარგლებში სისტემატურად ტარდება კვირეულები, გამოფენები, ლიტერატურული კონკურსები. საქველმოქმედო აქციები. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ტაძრების მონახულება – გაცნობა რელიგიური წესჩვეულებების, გვინდა ვიცოდეთ ბევრი, რომ ნაკლებ გაუგებრობებს წავაწყდეთ ურთიერთთანაცხოვრების პირობებში, რაც ერთმანეთის მიმართ ურთიერთნდობის, მოკრძალების და რიდს გაგვიღვევებს... გვინდა გავეცნოთ და მოვინახულოთ ეთნოსების ღვაწლმოსილი ადამიანების საფლაავები და მოვაწყოთ გამოფენები მათ შესახებ.

**– შარშან ორგანიზაციას „ტოლერანტის ქომაგის“ წოდება მიენიჭა... რამდენად საპატიოა ეს ჯილდო თქვენთვის?**

– ჩვენი ქვეყანა საქართველო – გამოვიჩინეთ სხვა ეროვნების ხალხთა პატივისცემით, თანადგომით, მიმტევებლობით. ამიტომაც საქართველოს ქალთა საბჭო, ცდილობს რა, რომ ეს ერთობა იყოს მყარი და დამაჯერებელი, თითოეული ერისადმი მოკრძალებული მიდგომით და თანამშრომლობით გამოიჩინევა.

2014 წელს სახალხო დამცველის აპარატის უმცირესობათა საბჭოს მიერ ქალთა საბჭომ „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება მიიღო. ეს ძალიან საპატიო ჯილდოა და იმ დიდი მუშაობის და ერთად დგომის შედეგია, რასაც ეწევა ქალთა საბჭო ეთნოსებთან. მადლობა თითოეულ ეთნოსს, ვინც ასეთი ნდობა და ერთგულება გამოგვიცხადა.

**– ქალთა საბჭო, მისი აღმსარებელი დირექტორის, ქალბატონ ქეთევან გაბრუაშვილის დიდი ძალისხმევით უამრავი სასარგებლო საქმის ორგანიზატორია... როგორ ახერხებს ამას ქეთევან გაბრუაშვილი ამ დუნჭირ დროში?**


– და ბოლოს, ვპასუხობ კითხვას, როგორ აკეთებს ქ. გაბრუაშვილი ყოველივე ამას. დიას, ჩემო მეგობრებო, 1991 წლიდან მე ვასრულებ რწმენადაკარგულთა, გაჭირვებულთა, უპოვართა იმ გზაწილს, რასაც მათი ცხოვრება მავალებს... ყოველგვარი ანაზღაურების, ქველმოქმედების სახით. დღევანდელ დუნჭირ ცხოვრებაში აკეთო კეთილი საქმე, ეს ღვთის წყალობა და მადლია. ნაწილობრივ მხვდა წილად ამ მოვალეობის აღსრულება.

ამ თვისებით საბჭოს ყველა წევრი ქალია დაჯილდოებული, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ სიკეთე აკეთონ. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ხალხთან, მათ ფიქრებთან, მათ ჩუმ დუმილთან და ეს ყველაფერი უდიდესი ვალდებულებაა მათ წინაშე. ეს ზომ ის დიდი მადლია, რასაც სიკეთის კეთება ჰქვია, რომ ჩასწვდე მათ ჭირ-ვარამს და ხვალისათვის არ გადასდო.

მივხედოთ ასეთ ხალხს, ვიყოთ მათთან ახლოს, ნუ დავიზარებთ ერთ ნუგეშს, მოფერებას, გაღიმებას და თვითოეული თქვენგანი მათ გასაჭირს მორალურად მაინც გადაჭრის... ეს ყველაფერი უნდა განიცადო და გიყვარდეს, რასაც აკეთებ, არ უნდა იყო განმსჯელი – ეს რატომ. ოჯახში რომ თბილ კერძს გააკეთებ, თვალწინ დაგიდგეს უმუქოდ და უგაზოდ მყოფი შენი მეზობელი – გაეცი, არ დაიზაროთ. თუ მე ოჯახის წევრებს სადილის გარეშე დავტოვებ და ამ დღეს ვატარებ საქველმოქმედო აქციას, ეს არ დამენანება – ჩემი ოჯახის წევრებიც ქველმოქმედნი არიან ამ დროს. და, საერთოდ, პირადალზე წინ ამ საქმეს ვაყენებ, ვმალდები, როცა კეთილ საქმეს ვაკეთებ და მინდა ყველამ აკეთოს ეს. მაშინ ჩვენს ირგვლივ აღარ იქნებიან გაჭირვებულნი. ვიყოთ თბილნი, მოსიყვარულენი, ყოველ წუთს ხალხის გვერდით მდგომნი.

სწორედ ეს მაძლევს ძალას, ენერგიას და არცთუ სრულყოფილ ჯანმრთელობას, რომ ვაკეთო დიდებული საქმე, რომელსაც, დამეთანხმებით, დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება. და რაც მთავარია, აღვნიშნე და ვიმეორებ, თუ არა ქალთა საბჭოს წევრი ყველა ქალის აქტიუობა საზღვარგარეთ, წარმომადგენლობების, ეთნოსების აქტიუობა და საკითხის ჩემი ხედვით დანახვა, ქალთა საბჭო არაფრიდან ვერაფერს ვერ გააკეთებდა. მადლობა თითოეულ მათგანს.

საქართველოს ქალთა საბჭო 2005 წლიდან თავმჯდომარე გახლავთ ენათმეცნიერი, აკადემიკოსი მზექლა შანიძე, ქალთა საბჭოს წარმატებული მუშაობის ერთ-ერთი გარანტი.



### ესმა ონიანის დაბრუნება

ხალხით გადაჭედვილ მწერალთა სახლში გაიმართა დიდებული ქალბატონის, მოაზროვნის, ფილოსოფოსის, არაჩვეულებრივი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის ხსოვნის საღამო, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი უძღვევდა.

საღამოზე წარმოდგენილი იყო ესმა ონიანის ორი ახალი წიგნი, რომელთაგან ერთი გერმანიაში გამოსცა ქართველოლოგმა შტეფი იუნგერმა, რაც ესმას ნიჭიერებისა და შემოქმედების მასშტაბურობის კიდევ ერთი დასტურია და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ დასტამბული „ესმა ონიანი – ისევ მე ვარ?!“ ისევ მოვსულვარ!“

ესმა ონიანი ღრმად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ, რომელმაც იცოდა საკუთარი ნიჭისა და შემოქმედების ფასი, ამიტომაც არ ხმაურობდა, მუდამ ჩრდილში იდგა, არასდროს ილტვოდა წინა რიგებისკენ, – დამინახეთ, მეც აქ ვარო. ასეთი რამ მისთვის უცხო და მიუღებელი იყო.

კომუნისტური იდეოლოგიის ხმაურიანი გარემოდან გარიდებულმა, საკუთარ სახლში შექმნა საოცარი სამყარო, სადაც განათლებული, წიგნიერი, შემოქმედებით წვაში მყოფი მეგობრები სულის მოსათქმელად, სულის საოხად იკრიბებოდნენ და მსჯელობასა თუ კამათში იბადებოდა ახალი მიმართულებები, ახალი ტენდენციები, ახალი სახეები მათ შემოქმედებაში.

ეს მეგობრები იყვნენ: გურამ რჩეულიშვილი, დათო ჯავახიშვილი, ერლომ ახვლედიანი, ანდრეი ვოლკონსკი, ოთარ იოსელიანი, სხვანი და სხვანი.

საღამოზე აჩვენეს ვიდეორჩანაწერი, სადაც ესმა ონიანი კითხულობს საკუთარ ლექსს და ოთარ იოსელიანის მოგონება, რომელშიც იგი უდიდეს შეფასებას აძლევს ესმა ონიანის ფენომენს, მის მხატვრობასა და პოეზიას.

ესმას დამ, ქალბატონმა ირინე ონიანმა, რომელიც მუხლჩაუხრელად, თავდადებით იღვწის საამაყო ღის უნიკალური შემოქმედების მოსაწესრიგებლად და ამ, მართლაც, ეროვნული საგანძურის მსოფლიოსათვის გასაცნობად, მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისა და ესმას განხილვისათვის.

საინტერესო იყო ესმა ონიანის მანანა გაბაშვილისეული შეფასება: „წლების წინ რუსთაველზე, ცნობილ ცისფერ გალერეაში, მხატვართა ერთ-ერთ საგაზაფხულო გამოფენაზე, ჩემთვის უცნობი მხატვარი ესმა ონიანი აღმოვაჩინე. მაშინ მას პირადად ჯერ არ ვიცნობდი და რაიმე არც მის ლიტერატურულ ინტერესებზე მსმენოდა. მოგვიანებით, როდესაც მისი ფართო შემოქმედებითი ინტერესები საყოველთაოდ გახდა ცნობილი, ესმა ონიანი ქართული საზოგადოების წინაშე წარდგა, როგორც მრავალმხრივი, ფართო მასშტაბის შემოქმედი.

მაშინდელ თბილისში მხატვართა საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები ნამდვილი მოვლენა იყო, ხელოვნების ერთგვარი დღესასწაულიც კი. ცისფერი გალერეისკენ მთელი ქალაქი დაიდრებოდა, შემდეგ კი იყო გარჩევა-განხილვები და მსჯელობები, სრულიად განსხვავებული პროფესიების ადამიანების მიერ. ამ გალერეაში წარმოდგენილ მაშინდელ უნიჭიერეს შემოქმედთა შორის, ჩემთვის არაერთი საინტერესო და საყვარელი მხატვარი იყო გამოფენილი და ერთ მშვენიერ დღეს, ესმა ონიანის ფერწერის პირისპირ აღმოვჩნდი. არ შეგეძინია მისი მხატვრობა, ეს უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. ისინი ფერთა განსაკუთრებული გამითა და სითბოთი, მასშტაბურობითა და, ამავე დროს, უჩვეულო ინტიმით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ახლაც მასსოვს გამოფენის დათვალიერების შემდეგ, როგორ მიგბრუნებულვარ მის ტილოებთან, რომელშიც ორ ურთიერთგამომრიცხველი მომენტი უცნაურად თანაარსებობდა – სევდა და სილალე. მიზიდავდა ის მაგიაც, ამ ტილოებიდან რომ გადმოდიოდა და მატყვევებდა.



ერთ მშვენიერ დღეს ესმა ონიანი გავიცანი. მას შევხვდი თენგიზ შერვაშიძის სტუმართმოყვარეობით გამორჩეულ ოჯახში. შერვაშიძეებთან, სადაც საინტერესო ქართული საზოგადოება იკრიბებოდა, არაერთ ლამაზ, მშვენიერი გარეგნობის ქართველს შეხვდებოდი, რითაც მაშინდელი თბილისი ცნობილი იყო. თუმცა ესმა ონიანის დაჩრდილვა, რომელიც სილამაზისა და ქართული ჯიშის განსახიერებას წარმოადგენდა არ აღმოჩნდა იოლი. მაგრამ იგი საოცრად მორიდებული იყო. მას რომ ვუყურობდი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ეს იყო საკუთარი სილამაზისგან დამფრთხალი ქალი, რომელსაც თითქოს უნდოდა თავისი სილამაზე და მშვენიერება იქ მყოფი ადამიანებისაგან რამენაირად დაემალა. შესაძლებელია მისი ამ ხასიათის გამოცაა, რომ ესმა ონიანის შემოქმედებას ჭეშმარიტ აღიარებამდე დიდი და რთული გზის გავლა უწევს.

ესმა ონიანი ნამდვილი პატრიოტი იყო. იგი თავის პოზიციას დაუფარავად გამოხატავდა მაშინ, როდესაც ეს იოლი არ იყო, როდესაც სამშობლოს მოყვარული ქართველები, ვისაც საქართველოს თავი-

სუფლება სურდა, იდევნებოდნენ. მაგრამ იმ საშის დროში, თავისი ამ პოზიციის გამოხატვისას, იგი აღარ იყო საკუთარი სილამაზისგან დამფრთხალი ქალი. ესმა ონიანი უკვე გამბედავსა და ისეთ ლაღ პიროვნებას წარმოადგენდა, რის გარეშეც ვერ შეიქმნებოდა მისი მხატვრობისა და ლიტერატურული შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი თავისუფლება“.

## დაუვიწყარი ესმა ონიანი

ესმა ონიანი ყოველმხრივ გამორჩეული ადამიანი იყო, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული. იყო ბრწყინვალე მხატვარი, უძლიერესი პოეტი, ლიტერატორი, პუბლიცისტი, ესეისტი, მთარგმნელი და, რაც მთავარია, ყველგან, ყველა საქმეში უძლიერესი და უაღრესად წარმატებული.

დიდმა ქართველმა ხელოვანმა რეზო გაბრიაძემ ესმა ონიანს მეოცე საუკუნის უდიდესი მხატვარი უწოდა, ხოლო დახვეწილი გემოვნების უბრწყინვალესმა ლიტერატორმა, პროფესორმა რეზი თვარაძემ „უკვდავებასთან წილნაყარი“ ადამიანი.

ამჯერად მე მასზე, როგორც დიდებულ პოეტზე ვისაუბრებ:

ესმა ონიანს გამორჩეული ადგილი უჭირავს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, იმ პოეზიაში, რომელსაც ამშვენებს დიდი გალაკტიონისა და ქართული პოეზიის დეოფლის, ანა კალანდაძის სახელები. მისი ორიგინალურობის, სხვათაგან გამორჩეულობის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მან ქართულ პოეზიაში მძლავრ ნაკადად შემოიტანა ფილოსოფიური პრობლემატიკა, სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების, ცხოვრების საზრისის, პიროვნების თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის თემები და მათი ფილოსოფიური ხედვა. როგორც პროფესორი რეზი თვარაძე ბრძანებდა, იმ პერიოდში ასე არავინ წერდა, ადრეული გალაკტიონისა და ანა კალანდაძის გარდა.

ეს თვალსაზრისი, ცხადია, სწორია, მაგრამ აქ, ალბათ, იმის დამატებაც შეიძლება, რომ იგი იმ ტრადიციების, იმ ხაზის გამგრძელებელია ქართულ პოეზიაში, რომელიც უფრო ღრმად რომ არ ჩავიდე, XVIII- XIX საუკუნეებში იღებს სათავეს და რომელსაც ფილოსოფიური ლირიკა ჰქვია. ვგულისხმობ დავით გურამიშვილს,

ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. ვგულისხმობ, მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს: „მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან, შვილნი სოფლისა“.. ან ვაჟა-ფშაველას „რამ შემქნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმად“...

ესმა ონიანის გამორჩეულობას ისიც განაპირობებს, რომ იგი ხელოვნების დანიშნულებას სინამდვილის მხატვრულ ასახვაში კი არ ხედავს მარტო, არამედ საგნებისა და მოვლენების არსის წვდომაში, მათ სიღრმისეულ ანალიზში, ანუ იმაში, რაც ჩვეულებრივი თვალთ არ დაინახება და რასაც „გონების თვალთ“ უნდა ჭვრეტა (სხვათა შორის, გონების თვალთ არსის ჭვრეტაზე ჯერ კიდევ გენიალური პლატონი ლაპარაკობდა). გონების თვალი კი ის თვალია, რომელიც წყალში მარტო იმ სითხეს კი არ დაინახავს, რომელსაც ყველა თვალხილული ადამიანი ხედავს, არამედ ორ ნაწილ წყალბადსა და ერთ ნაწილ ჟანგბადს, ძირს დავარდნილ და გატეხილ ჭიქაში – მიზიდულობის კანონს, ხოლო მზის ამოსვლა-ჩასვლაში მზის გარშემო დედამიწის ბრუნვას, ანუ ხედავს ერთეულში ზოგადს, შემთხვევითში აუცილებელს, შედეგში მიზეზს და ა. შ. (არსის ჭვრეტა სწორედ ესაა).

გონების თვალი ის თვალია, რომელსაც ესმის, რომ ვაჟა-ფშაველას „მოხუცის სიმღერაში“ მართლა ის კი არაა მოთხრობილი, რასაც ჩვეულებრივი თვალი კითხულობს (როგორ დაიძინა ახალგაზრდა, უწვერულვაშო ჭაბუკმა და გაიღვიძა ღრმად მოხუცმა, ბამბის ქულასავით თეთრი წვერით), არამედ ის, თუ რა სწრაფწარმავალი და „სწრაფმედინია“ ამქვეყნიური ცხოვრება (იგივე „წუთისოფელი“). აი, ეს ლექსიც:

„დამძინებო ჩაბუკსა პირტიტველს უწვერულასა,  
გამომღვიძა, თმა-წვერი მიჰგვანდა ბამბის ქულასა“...

როგორც უკვე ვთქვით, ფილოსოფიურ-არსისმიერი ხედავ ჩვეულებრივი ადამიანისათვის (ვგულისხმობთ არა ფილოსოფოსს, არა მეცნიერს, გულუბრყვილო თვალსაზრისზე მდგომ ადამიანს) რთული და ძნელი მისაღწევია რომ არის, ეს ფაქტია. არადა, ესმა ონიანის პოეზიასაც და მხატვრობასაც ამგვარი გონების თვალთ უნდა ჭვრეტა, ამიტომ უჭირს მისი გაშინაურება-გათავისება მკითხველთა დიდ ნაწილს, ამიტომაც მიაჩნიათ მათ ესმა ონიანი რთულ, ძნელად გასაგებ ავტორად.

ეს, რასაკვირველია, იცოდა ქალბატონმა ესმამ. ამიტომაც არ უკვირდა მისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება და, შეიძლება ითქვას, მაინცადამაინც არც აღიზიანებდა. უფრო მეტიც, იგი ერთგვარი ირონიითაც კი ლაპარაკობდა იმ ადამიანებზე, რომლებიც ან საერთოდ არ ბეჭდავდნენ, ან აბრკოლებდნენ (თანაც მთელი 30 წელი – ეს მისი სიტყვებია, ცხადია, ირონიით ნათქვამი) მისი სტატიების დაბეჭდვას ან მისი ნახატების გამოფენას.

მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. როგორც იტყვიან, საბოლოო-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავდა. დარწმუნებული იყო, რომ დადგებოდა ნანატრი თავისუფლება, უგემოვნობის, უმეტრების, უხნობის, უღმერთობის ეს ღვარცოფი გადაივლიდა და ჭეშმარიტი მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება კვლავ აღდგებოდა იმ უფლებებში, რომელიც მას რეალურად ეკუთვნოდა. ეს ყველაფერი აუცილებლად მოხდება, ოღონდ მოგვიანებით. მანამ კი იგი თვითონ ახდენს თვითიზოლაციას და თავად იკეტება თავისი მეგობრების, საზოგადოების ელიტარული ნაწილის, რჩეული უმცირესობის ვიწრო წრეში, რომელთა შეფასება, როგორც ჩანს, მას უფრო ღირებულად მიაჩნდა, ვიდრე არაინტელექტუალური ფართო მასების მოწონება ან დაწუნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისთვის მთავარი იყო არა ინდური და თურქული სერიალების, ან „კომედი შოუს“ მაყურებელი ადამიანების, არამედ ინტელექტუალების ვიწრო წრის აზრი და პოზიცია. იგი წერდა: „ერთი ჭეშმარიტი დამფასებელი გაუგებართა მთელ არმიებს გადასწონის“ (აქაც და ქვემოთაც გვერდები დასახელებულია მისი წიგნის „ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ!“ მიხედვით. გვ. 278). ხოლო ბრბოს შესახებ იგი ამბობდა: „მერე რა, რომ მეტნი არიან. ეს ჭეშმარიტების მაჩვენებელი სულაც არ არის“ (გვ. 278).

ესმა ონიანის პოეზიის თემატიკა, გარდა ფილოსოფიური პრობლემატიკისა, მოიცავს ღმერთის, სამშობლოს, ადამიანთა ურთიერთობების თემებს. საოცარია ესმა ონიანის სვანური ციკლის ლექსები. აქ ჩანს ნიჭის თუ გენის ყვილი, სიყვარული ყველაფერი მშობლიურისადმი. გავიხსენოთ ლექსი „სვანების სიმღერა მზეზე“:

„ამოვიწვევთ ქვევიდან, ამოვიშლით მხრებს, ამართულებს ზევიდან დაგვეცემა მზე“.

მზეო, დიდო მზეო, მზეო, მზეო, საოცარო მზეო, სალოცაო, ჩვენო მბრძანებლო“...

ან ავიღოთ ულამაზესი ლექსი „ლემ“, უმდიდრესი მხატვრული სახეებით, მეტაფორებით, შედარებებით, ეპითეტებით, საოცარ განწყობას თუ განწყობილებას რომ გვიქმნის, სვანური მთების სიდიადეს რომ გვაზიარებს, მათსავით გვაძაღლებს, მათსავით გვაძლიერებს. ნახეთ როგორი კინოკადრებით გაივლევს ჩვენს თვალწინ ულამაზესი სვანური პეიზაჟი. აი, ერთი უმოკლესი ამონარიდი ამ ლექსიდან:

„მშრალ მხუილით მორბის ქარი,  
მაღალ მთებზე გადმომხტარი“...

ვიცი, რომ ყველა შედარება მოიკოჭლებს, ისიც ვიცი, რომ ბევრი არ გაიზიარებს ამ აზრს, მაგრამ მაინც ვიტყვი: ლექსის „ლემ“ დაწერას, გალატიონის გარდა, ვერავინ შეძლებდა (გალაკტიონი კი იმიტომ შეძლებდა, რომ მისთვის პოეზიაში შეუძლებელი არაფერია).

საოცარია მისი საბავშვო ლექსები. ბავშვის ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის რა ღრმა ცოდნა იგრძნობა მათში, ან როგორი თბილი და მზრუნველი დამოკიდებულება ჩანს პატარებისადმი. პოეტმა იცის, რომ აზროვნების სახეებიდან ბავშვებისათვის ხატოვანი აზროვნება, ანუ ხატებით აზროვნებაა დამახასიათებელი. ამიტომაც სწორედ ასე, მათი ასაკისთვის მისაღები ფორმით ელაპარაკება. აღარაფერს ვამბობ მის რითმებზე. რომლებსაც იგი ამ ლექსებისთვის იყენებს. როგორ ბუნებრივად, ლაღად მიჰყვებიან ისინი ერთიმეორეს, თითქოს თავადაც ასკინკილას თამაშობენო. მრავალთაგან მხოლოდ ორ ნიმუშს დავასახელებ:

„თუ გაკვნიტე დიდი თხილი და აგტიკვდა უცებ კბილი,  
აიხვიე რამე თბილით, დაიძინე ტკბილი ძილით“, –

ასე არიგებს კურდღელი ციყვს (გვ. 162).

ან მეორე:

„დაარიგა დედამ დათვის ბელი ბედო,  
ბუნაგიდან, ბედო, გასვლა არ გაბედო,  
დაიძინე ტკბილად, პირში თათი გედოს“... (გვ.165).

განსაკუთრებული გამოყოფის ღირსია ესმა ონიანის წერილები ხელოვნებაზე, პოეზიაზე, მუსიკასა და მხატვრობაზე. მისი სტატიები ფიროსმანზე, ტერენტი გრანელზე, დავით კაკაბაძეზე, ველასკესზე. ისინი (საგანგებო განხილვას რომ საჭიროებენ) კარგად მიუთითებენ ესმა ონიანის საოცარ ერუდიციასა და ღრმა ფილოსოფიურ განსწავლულობაზე.

მარტო მისი ნეოლოგიზმები და კომპოზიციები რად ღირს. სათქმელი რაც შეიძლება ზუსტად და ყველა ნიუანსის გათვალისწინებით რომ გამოხატოს, იგი ქმნის ახალ კომპოზიციებს და ისე აერთებს განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებს დეფისით, როგორადაც ჯერ არავის შეუერთებია. აერთებს თავისებურად, ორიგინალურად, ესმასებურად, ამკვიდრებს სტილს, რომელიც, ალბათ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში „ესმას სტილის“ სახელით უნდა შევიდეს. ბუნებრივად ჩნდება სურვილი: იქნებ ჩვენც მივბადოთ ქალბატონ ესმას და ვისწავლოთ მისგან. ჩვენც ამგვარად დავიწყეთ წერა. არა, არაფერი გამოგვივა. ასე რომ წერო, ესმა უნდა იყო. სიტყვასთან იმგვარი სათუთი, მზრუნველი, დედაშვილური დამოკიდებულება უნდა გქონდეს, როგორც მას აქვს. ან როგორ გინდა მიბადო მის ყოვლად უწყინარ, სიკეთით სავსე თვითირონიას, „ესმას ესმა“-ს.

ესმა ონიანისადმი მრავალი წერილია მიძღვნილი. და ეს იმიტომ, რომ მასზე აზრის გამოთქმა, მისი პროფესიული შეფასება ერთგვარი საჯილდოო ქვაა ლიტერატურის კრიტიკოსებისათვის (შეძლებენ კი ამას?!). ამის მიუხედავად, როგორც უკვე ითქვა, იგი ჯერჯერობით, არათუ სრულად, ნაწილობრივაც კი არ არის შესწავლილი. მომავლისათვის აუცილებლად მიმაჩნია მისი ტექსტის (აქ მხატვრული ნაწარმოებებიც იგულისხმება და ნახატებიც) ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ანალიზი, იმის მსგავსი, მან თავად რომ ჩაატარა დავით კაკაბაძის შემოქმედების შეფასებისას.

დასასრულ, მინდა კვლავ ესმა ონიანის პოეზიისა და მხატვრობის გაგების სირთულის საკითხს მივუბრუნდე. ესმა ონიანი რომ რთული ავტორია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი გავაკეთოთ ხალხთა ფართო მასებისათვის მის გასაცნობად. მის გაგებაში ჩვენ, ფილოლოგები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები ჰერმენევტიკოსები უნდა ჩავეერთოთ და დავეხმაროთ ადამიანებს მის გაგებაში, შეთვისება-შეგვარებაში, როგორც ამას უცხოელები აკეთებენ თავიანთი რთულად გასაგები პოეტების, მხატვრების, რეჟისორების მიმართ (გვულისხმობ კაფკას, კამიუს, თომას მანს, ჰერმან ჰესეს, ფელინის, ბერგმანს, მიქელანჯელო ანტონიონის). უნდა ავამაღლოთ მასების მხატვრული გემოვნება. ყველამ უნდა გავიცნობიეროთ, რომ ესმა ონიანი მსოფლიო დონის პოეტი და მხატვარია, რომელსაც სათანადო წარმოჩენა და დაფასება სჭირდება არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. და არა მარტო პირადად მისთვის, არამედ ჩვენი ეროვნული კულტურის წარმოსაჩენად და საამაყოდ. უნდა გავიცნობიეროთ, რომ ესმა ონიანი „ჩვენი ეროვნული განძი, ეროვნული სიმდიდრე და სიამაყეა!“

**რეზო ბალანჩივაძე,**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



# ნელსევიანიანად მბრწყინავი თანავარსკვლავედი დავით წერედიანის „ორიონის“ გააზრებისათვის

## თანამდევნი გარსკვ ლანი უხედაშვილი

სიკვდილ-სიცოცხლის ერთარსი, კოსმიური სიმრთელე, მარადიული წრებრუნვა და ყოველივეს განმეორებადობა... იქნებ არცთუ რაიმე ახალი, ძველი – სიახლის უცხო ფერწერითა და სურნელით მოწოდებული... სტრიქონებს შუა ისმის წუხილი ამსოფლიური... წუთისოფელში ადამიანად ყოფნის სევდა-ვარამი. ყველა ფიქრიანი კაცის განუყრელად თანამდევნი განცდა. ეს დარდი პოეტის სულის ქურაშიც ეძებს თავის ყალიბს, რათა შენივთდეს და ყრმობის „უფურცლებო სათავისკენ“ დაბრუნდეს, რომ კვლავ და კვლავ განმეორებული შეუერთდეს უსასრულო ცის კაბადონს:

„მწუხარე სიყრმეც, დაკარგული სახელებიც,  
ჟღალით და მრეშით,  
განმეორდება, წამისწამად შემოსული სინათლის  
წრეში“.

სიცოცხლის უწყვეტობის, ერთიანი მთლიანი ჯაჭვის მუდმივობად ქმნილი სურათია წარმოჩენილი გაზაფხულის დაბადებაში და ეს არ არის ოდენ გაზაფხულის დაბადება. ეს არის სამყაროს მარად განახლებადი ბიბლიური მისტერია:

„უკუმიდგება და ხელახლა ფესვთა ჟრიალით,  
ამ ეკლის ბარდით, ამ ბებერი ხით ნუჟრიანით  
წუხანდელ ქუხილს, გადავლილი წვიმების ხასხასს  
მიწიდან წვეთ-წვეთ ამოჟურავს, ფოთლებად  
გასხამს“.

პოეტურ ხილვებს ფილოსოფიური დაფიქრება ახლავს. სიკვდილ-სიცოცხლის არსის წვდომის სურვილი რიტორიკულ კითხვა-მახილად სწვდება ავტორის ბაგეებს და მკითხველსაც აღუძრავს წადილს წყევლაკრულვიანი საკითხავის გააზრებისას:

„მიადწევს ცხედრებს ვარსკვლავეთის შორი ღინება,  
რომელ მქრეჩზე უნდა გავრჩეთ? რა ზღვრამდე  
მივალთ?“

ხან ადამიანური იჭვნიეულობაც შეეპარება სათქმელს:

„ნუთუ სიკვდილიც ფუჭია,  
არსით გვედება კარი?“

და იქვე ახლოს პასუხიც... პოეტის მიერ მიგნებული, ღრმა ფიქრისა და რწმენის გამომხატველი...

„...გასწი, იარე,  
ნურას ეჭვობ,



უქმეა ზრახვა,  
ზღაპარმა შენმა  
თავად იცის,  
რა მხარეს წახვალ,  
უფლის პერანგზე  
დათვლილია ყოველი ღილი“...

მაგრამ ვიდრე ჰხვალ, ვიდრე ამქვეყნად დაიარები და კაცი გქვია, რამდენი ოცნება ნისლად აჰყვება ცას, რამდენი იმედი კვამლად იქცევა, რამდენი ცრემლი ადამიანის გულიდან მონაწურ ყომრალ სითხედ და არა უბრალო წყლად წარმოდინდება. რამდენჯერ მოგიწევს ცხოვრების უღრან ღამეში მარტოსულს დგომა და ამათრთოლებელი განცდა იმისა, რომ:

„ამ ბნელეთით და მკვდრეთით,  
სხვა რა გააღწევს ნამდვილი,  
მწარე ძახილის მეტი“.

ამ ძახილისა და წყვილად ღამეში დგომის ფარული სიბრძნის ძალას ევედრება პოეტი ღმერთს და ეს ვედრება საყოველთაოა, ზოგადად ადამიანურია.

სინათლის, ზოგადად, ნათლის ესთეტიკა მსჭვალავს დავით წერედიანის პოეტურ სივრცეს:

„ისევ ანთიხარ, წყვილო ნათელო,  
მითხარი, ჩემგან რა გენატრება?“

ეს ნათელი ხან „სხივთალხიც“ არის, მაგრამ მაინც „სალაზარობო ნათლით“ ელვარებს. ამ ნათელშია გახვეული პოეტის „მაცოცხლებელი დარდი“ – „ქართლი, გვირგვინი ეკლისა“ და „არგანი მწირის“. ვაჟას დარად, ამ მაცოცხლებელი დარდის და მწარე სახმილის არჩაქრობას ნატრობს პოეტი. დ. წერედიანის პოეტურ თვალსაწიერში მთელი მითოსური სამყაროა ამოზიდული. მითოსური ეპოქის მაჯისცემა ფეთქავს

ლექსთა სტრიქონებში. ამ შეგონებას აძლიერებს ლექსიკური ფერადოვნება – პოეტისეული ჯადო – სიტყვები, ჯადო – რიცხვები, ჯადო – ბეჭდები.

უძველესი ხალხური რწმენის გამოძახილით გასერილია პოეტის ნაფიქრ-ნააზრევი. ელი გორდელიანის მიმქრალი სახება ამოტივტივდება მკითხველის ცნობიერებაში შემდეგი ტაეპების კითხვისას:

„აღისფერ ნაწნავს, სარკვევ, სარკვევ, ორლესულო, ელევა ბრწყინვა, თუ დარი დამყვა, გამოლოცვით დავიბრუნებ, გამონატრებით“.

ამ სტრიქონებში ბრწყინავს „ყამარის თეთრი საკინძეც“ და „შავი აღმასის შიბიც“, თრთის „ნელმ-წვანედ მზინავი გველემაპის ტანიც“ და ზღვის სიღრმეში ინთქმებიან ქვისა და ბრინჯაოს ღმერთები.

ოქტომბრის, როგორც სულიერი სავსეობის, განცდა განსაკუთრებულია დ. წერეთლის მხატვრულ სამყაროში. ოქტომბერი – ოქროსფრად სხივოსანი, მარჯანივით კრიალა და ქარვასავით სავსე... პოეტის წარმოსახვაში სხვადასხვა რაკურსით გარდატყდება და თითოეული სახისმეტყველური გააზრება მკითხველის გულზე აღბეჭდილი „პოეტური სასწაულია.“

„ვეცვლი უკანასკნელ სინანულზე ოქტომბრის დამლევს, მოღებულ სარკმელს, ორიონის ვერცხლოვან დარანს“.

ანდა:  
„მწირმა აკეცა მზის საათი, ოქტომბერი ჩატენა სხივში“.

სიცოცხლისა და სიყვარულის მარადიულობის დასტურად ჟღერს გ. ლეონიძის ყივჩაღთან შეხმიანებული სტრიქონები:

„...გაივლის წელი ათასი და, გზად, მაისის დილით, შევხვდებით როგორც სწორები, როგორც ჩათქმული წყვილი“.

პოეტისათვის სიყვარული სიკვდილივით შემარყვევლი ქარიშხალია, სიყვარულია დედა სიცოცხლისა, სიცოცხლე კი თავისთავად სიკვდილს გულისხმობს. ამიტომაც:

„ერთი კარი აქვს ორივეს, სიყვარულსა და სიკვდილს“.

დ. წერეთლიანი ის მრავალწახნაგოვანი და ღრმაზროვანი შემოქმედია, რომელსაც არა აქვს უფლება, განაცხადოს:

„ფუჭი რითმების მალხენს რაკუნ“.

მისი სიტყვათხელოვნება ლეთიური მადლით ამეტყველებული მუზის საუფლოა.

## „მე დათოვლილ მზიდან მოკედი“

### თამარ შაიშველაშვილის „სულალები“

თითებთ ჩურჩულით წაკითხული ახალი ალთქმა... თითებში მოქცეული დარდი, თითებში მოქცეული ვედრება... პოეტის გულში დაწურული სითბო და მადლი მისსავე თითებში ენთება საღვთო სანთლებად... ხელისგულებიდან ამოსული ვარსკვლავები გრძნობებად, განცდებად, ფერებად, დიდ, მზიან სევდად, ფრესკის ყაყაჩოდ, ბზის დათოვლილ კვირტებად გარდაისახება... თითოეულ მხატვრულ სახეში ჩამალულა პოეტის გულისთქმა, გარინდებულა მზიანი მთვარე – სურვილად, ნატვრად, ოცნებად და პოეტურ ფრაზებად გარდაქმნილი მკითხველის გულამდე შუქიან გზასავალს იკაფავს.

თ. შაიშველაშვილის პოეტურ სამყაროში ყველგან და ყველაფერში უფალი მზებუდობს. ცის ლაჟვარდიდან ლეთისმშობლის ყვაილის მომლოდინე სული – ლილიებად აყვავებული სასწაული – უსამანო სივრცეებს ერთვის და „ცამშობიარე თოვლის შრიალში“ თოვლის სარეცელს უმზადებს სულ სხვა ჟამიდან მოვლენილ „სიძეს.“ ეს ზეარსთან ზიარებული უმაღლესი სულია, რომელიც თრთოლვით შესცქერის „აღმოსავლეთის ვარსკვლავს“. ამ სიყვარულის განწირულებით მოდის მკითხველამდე პოეტის გულისთქმა „არყოფნის დიდი იღუმალების შესაგრძნობად და საზიარებლად.“ თითოეული სტრიქონი პოეტის გულის მონაწურია, გულისა, რომელიც „თებერელის ვაზივით თბილი და ნაღვლიანია“. ამ გულიდან გადმონაჟური უფაქიზესი განცდა მუდმივად დასტრიალებს სვეგამწარებულ, ათასგზის წამოჩოქებულ, მაგრამ დღემდე მაინც ფეხზე მდგარ სამშობლოს. ეს სამშობლო პოეტისათვის სხივმოშრიალე ვაზის ლერწებად და შინდის ნათელად აღიქმება, შორს, იმედივით შეყუჟული საყდრის კონტურებად ისახება, უდაბნოში გადარჩენილ ერთადერთ საქსაულად მოიაზრება, მეფე დემეტრეს გოდებად და არაგველების კვნესად ისმინება... ქეთევან დედოფლის სისხლით შეღებილ შირაზის ვარდებად ელვარებს, ხელაპყრობილი ერეკლეს ლოცვა-ვედრებად საღვთო ყურისკენ მიემართება... უსასობას ზღვრამდე მიულწევია პოეტის სულში.

„დაკარგულია ყინწვისის თვალმეუღეამი მშენება“, ანდა:

„უთქმელად კვდება ყაყაჩო – სამშობლოს სისხლის ნაწილი“.

იმედითა და რწმენით, ცნობიერი თუ ქვეცნობიერი სასოებით ეხმიანება პოეტი დიდთა მათ ჩვენთა აჩრდილებს: წმინდა ნინოს, თამარს, რუსთველს, ილიას... მათთან ერთად ყველაფერ იმას, რაც ქართულისა და ქართველობის ღირსება, საძირკველია, სიმყარე და სალი კლდისებური სიმტკიცეა... იმას, რაც გვასაზრდოებს, რაც ყოფიერებას გვისპეტაკებს...

ისევ და ისევ ძალა უფლის სიყვარულშია. ეს სიყვარული ფენიქსივით აღადგენს პიროვნულ ძალმოსილებას და კვლავ ხელისგულზე აყვავდება უფლის ყვავილი – ეს ერთადერთი სიყვარული მარადჟამილი.

ერთობ ადამიანური, ქალური სისუსტისა და სიძლიერის თანაბრად გამომხატველია გრძნობა, რომელსაც იის ძალა აქვს, საოცრად ნაზი და თან კლდის გამრღვევი. ამ სტრიქონებს ნესტანური ცხოველმყოფელობა მოაქვს და გრძნობ, რომ ყველა სიტყვა მიზანს მოხვედრილი ისარია.

„არყოფნიდანაც არ მოგაკლებ ფერადსანახავს – დავიწყებასაც გაზაფხულად აგიყვავილებ“.

მარტოობის „ფოთლებმთროლავე შემოდგომა“ სულს სუსხად მოსდებია და აღსარებასავით ჩურჩულით გამხელილი გრძნობის ამოძახილი სივრცეში გაბნეულა:

„გულზე ცეცხლისფრად მზე მატყვია – ჩემმა სურვილმა შენ გინდომა“.

„პალმის რტობად გაშლილ სულში“ ბრიალებს სიყვარულის მაყვლოვანი. ეს გრძნობა ყველაფერზე აღმატებულია. მზესა და ცრემლზე, თვით სიკვდილზეც კი... ის ყველა ტკივილს უთქმელად უძლებს და მაგიურობით გრძნეულებას უტოლდება.

თ. შაიშმელაშვილის პოეზიაში განსაკუთრებული დატვირთვით მნიშვნელობს მზე. მზის სახისმეტყველება ნაირფერადოვანია პოეტის მხატვრულ წარმოსახვაში. მზეალუბლები, მზე-საფერავი, მზეწვიმა, მზელაფეარდი, მზემარტი, მზელამარია, მზეშობლიური, მზენაღვლიანი, მზედაკარგული... თითოეულ კომპოზიტს თავისი ზუსტი სემანტიკური მიზანსწრაფვა აქვს, რაც გემოვნებით მორგებული სამკაულივით შეენის სალექსო ტაეპებს.

და მაინც, პოეტის საზოგადოებრივი ვალი თ. შაიშმელაშვილისთვის მინიმას სტილით გადმოცემული რამდენიმე ხაზით განისაზღვრება:

„მე ბორანი ვარ,

თეთრი ღამეების უტყვი მოდარაჯე

და აღლევებულ მდინარეზე

გადამყავს ახლა მარტოსულები“.

სწორედ ეს დიდი დანიშნულება აქვს თამარ შაიშმელაშვილის შემოქმედებას – გადაიყვანოს ადამიანთა სულები აღლევებული, ბობოქარი ცხოვრების მდინარეზე მშვიდობიანად.

## გული ყველს – „ჩაკვასიოლ სხლში“

### ნაზი სარჯველაძე – „ანეულის“ დასახმარებლად!

მომღერალმა ნაზი სარჯველაძემ გააოცა „ანეულის“ შემოქმედებითი გავრთიანების წევრები... მან გადაწყვიტა, დაეხმაროს ჟურნალს... თავისი კონცერტით!

„კაკასიური სახლის“ და მიხო ბეროშვილის დახმარებით დარბაზი უკვე გამოინახა.

29 მაისს, კვირას, 17 საათზე, „კაკასიურ სახლში“ გაიმართება ნაზი სარჯველაძის კონცერტი, სადაც მომღერალი 10 რომანსს შეასრულებს.

საღამოს გაუძღვება და ლექსებს წაიკითხავს ისნის მოსწავლეთა თეატრ „თაობას“ ხელმძღვანელი. ხელოვნების სკოლა „პოლუსის“ ხელოვნებისა და მეტყველების პედაგოგი ირინა შიუკაშვილი; კონცერტმაისტერია გიორგი ცაბაძის სახელობის მუსიკალური სკოლის პედაგოგი, ღირსების მედლის კავალერი თინათინ ონაშვილი; გიტარისტი – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივნის იაკობ მანსვეტაშვილის მემკვიდრე – დავით ცერცვაძე.

არაერთი საქველმოქმედო კონცერტისა და ლამაზი საღამოს ინიციატორი, ნაზი სარჯველაძე, ამავდროულად, გადაცემას უძღვება ტელეკომპანია „ახალ საქართველოში“, რუბრიკით – „საინტერესო ადამიანები“.



ნანა ღვინეფაძის ახალი ლექსები

გულნაზ გვალთა „აოაზი ბიხიანი“

ნოდარ პაპუაშვილი —  
მოგონებები ნინო თარიშვილზე

ლელა ანჯაფარიძე —  
ბიძანაში ზურაბ ანჯაფარიძე

ივანე ჯაფარიძე —  
ესმა ონიანის დაბრუნება

„საში სავარძელი“  
ხელოვნათათვის და...  
იდეის ავტორი ქეთევან შენგელთა

ივორ სევერიანიანი,  
ნიკოლაი გუმილიოვი,  
ანა ახმატოვა,  
მარინა ცვეტაევა —  
თარგმნა ნინო დარგაიხელმა

საარსული აოაზია — თარგმნა  
ალექსანდრა ელარდაშვილმა

ლელა თოთაძის  
მოთხროვა — „დაუქვრივებელი“

თამარ გაბროშვილი —  
სულთობა



ახეული — გაბათხულის ხეული